



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

645-ფ /
1983 / 3

+

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

4. 1983

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1988, № 4

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



4. 1983

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

• თბილისი
ТБИЛИСИ

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), გ. თევზაძე, ვ. კეშელავა,
ზ. მიქელაძე, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე
(რედაქტორი), ო. ჯიოევი (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джioев О. И. (зам. редактора),
Кешелавა В. В., Микеладзе З. Н., Натадзе Р. Г., Надирашвили Ш. А.,
Прангишвили А. С., Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор),

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შიკნე“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1983.

რ ე დ ა ქ ც ი ა ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

გაღებულა წარმოებას 27.9.83; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.12.83; შიკ. № 2994;
ანაწილების ზომა 7×111/2; ქალღლის ზომა 7×1081/16; მალალი ბეჭდვა; ნაბეჭდი
თაბახი 10.5; საარტიტვო-საგამომცემლო თაბახი 8,8; უე 08388; ტრაჟი 750;
ფასი 85 კაბ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

ფილოსოფია

ბ. ფაცაცია, სოციოლოგიური ცოდნის დონეების თანაფარდობის პრობლემისათვის	5
ნ. ლეჟავა, საბჭოთა ახალგაზრდის სოციალიზაციის ზოგიერთი საკითხი	20
ზ. სარაძე, ხელოვნების სოციალური მისია პერბერტ რიდის მიხედვით (კრიტიკული ანალიზი)	29
ი. სემიშინა (ტომსკი), სულიერი მოხმარების ინფორმაციული ასპექტის პრობლემა	48
მ. რაშკოვსკი (მოსკოვი), კულტურა, ისტორია, პიროვნება პ. ლავროვის ნაშრომებში	56

ფსიქოლოგია

თ. ბჟალავა, ზოგიერთი ექსპერიმენტული მონაცემები განწყობის ინტერმოდალური ერთიანობის შესახებ	69
ი. გმრსამია, მუსიკოს-შემსრულებლის შემოქმედებით პროცესში განწყობის აქტივობის პრობლემისათვის	75

ახალი თარგმანები

ფ. შელინგი, სპინოზა, ლაიბნიცი, ვოლფი	90
--------------------------------------	----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ. თევზაძე, ა. გულიგა. შელინგი	111
ჩვენი ავტორები	117
ახალი წიგნები	118
უურნალ „მაცნე“ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერიის 1983 წლის შინაარსი, № 1—4	119

СО Д Е Р Ж А Н И Е

ФИЛОСОФИЯ

Г. Г. ПАЦАЦИЯ, К проблеме соотношения уровней социологического знания	5
Н. К. ЛЕЖАВА, Некоторые вопросы социализации советского молодого человека	20
З. О. САРАДЗЕ, Социальная миссия искусства по Герберту Риду (критический анализ)	29
И. Б. СЕСЮНИНА (Томск), Информационный аспект проблемы духовного потребления	43
Е. Б. РАШКОВСКИЙ (Москва), Культура, история, личность в трудах П. А. Лаврова	56

ПСИХОЛОГИЯ

Т. И. БЖАЛАВА, Экспериментальные данные относительно интермодального единства установки	69
И. Е. ГЕРСАМИЯ, К проблеме активности установки в творческом процессе музыканта-исполнителя	75

НОВЫЕ ПЕРЕВОДЫ

Ф. ШЕЛЛИНГ, Спиноза, Лейбниц, Волф	90
------------------------------------	----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. В. ТЕВЗАДЗЕ, Арсений Гулыга, Шеллинг	111
Наши авторы	117
Новые книги	118
Содержание серии философии и психологии журнала «Мацне» за 1983 год, № 1—4	119

ფილოსოფია

გერმან ფაცაძე

სოციოლოგიური ცოდნის დონეების თანაფარდობის პრობლემისათვის

ცოდნის დონეების დამოკიდებულების პრობლემა სოციოლოგიაში წინ წა-
მოსწია სოციალური შემეცნების სპეციფიკის გარკვევის საკითხმა, რომელიც
მეთოდოლოგიური სიმწვავეთ პირველად ნეოკანტიანელობის ბადენის სკოლაში
დაისვა. თუ ნეოკანტიანელობის მარბურგის სკოლა ძირითადად მაინც მათემა-
ტიკური ბუნებისმეცნიერების საკითხებით იყო დაინტერესებული და სპე-
ციალურად არ შეხებია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროს, სოციალურ
მეცნიერებებს, ბადენის სკოლა და მისი ძირითადი წარმომადგენლები —
ვილჰელმ ვინდელბანდი და ჰენრიხ რიკერტი — სწორედ ამ ხარვეზის გასას-
წორებლად იყვნენ მოწოდებულნი.

1894 წ. ვ. ვინდელბანდი გამოვიდა საპროგრამო სიტყვით — „ისტორია
და ბუნებისმეცნიერება“, სადაც იგი შეეცადა გავრკვია ისტორიული, სოცია-
ლური შემეცნების სფერო, დაედგინა ასეთი სახის შემეცნების ლოგიკური და
ფორმალურ-მეთოდოლოგიური თავისებურებანი. იგი ამოდიოდა მეთოდის მი-
ხედვით მეცნიერებათა განსხვავების პრინციპიდან და ასეთი დაყოფის საფუძ-
ვლად მიიჩნევდა მეცნიერების შემეცნებითი მიზნების ფორმალურ ხასიათს.
ვ. ვინდელბანდი მიიჩნევს, რომ „ზოგი მეცნიერებანი ეძებენ ისტორიულ ფაქ-
ტებს..., ...ცდისეული მეცნიერებანი რეალური სამყაროს შემეცნებაში ეძებენ
ან ზოგადს ბუნების კანონის სახით, ან ერთეულს, მის ისტორიულად განპირო-
ბებულ ფორმაში; ისინი ეძებენ, ერთის მხრივ, სულიერ მოვლენათა უცვლელ
ფორმას, მეორეს მხრივ კი, მათს ერთჯერადს, თავის თავში განსაზღვრულ ში-
ნაარსს. ერთნი წარმოადგენენ მეცნიერებებს კანონებზე, მეორენი — მეც-
ნიერებებს მოვლენებზე; პირველი გვასწავლის იმას, რასაც ყოველთვის აქვს
ადგილი, მეორენი კი იმას, რაც ერთხელ უკვე იყო. მეცნიერული აზროვნება
პირველ შემთხვევაში წარმოადგენს ნომოთეტკურ აზროვნებას, მეორე შემთხ-
ვევაში კი — აზროვნებას იდეოგრაფიულს“ [5, გვ. 320]. ცხადია, რომ ვინ-
დელბანდი იმთავითვე ცდილობს ხაზი გაუსვას ბუნებათმეცნიერულსა და ის-
ტორიულ მეცნიერებებს შორის განსხვავებას. ისიც აღსანიშნავია, რომ ფსიქო-
ლოგიას იგი უყოყმანოდ მიაკუთვნებს ბუნებისმეცნიერული შემეცნების სფე-
როს, მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. ვინდელბანდი გვაფრთხილებს, რომ ზე-
მოთ მითითებულ ამ მეთოდთა დაპირისპირება კლასიფიკაციას უკეთებს მხო-
ლოდ შემეცნების ხერხებს და არა მათს შინაარსს. ეს ასე იმიტომ ხდება, რომ
ერთი და იგივე საგანი შესაძლოა როგორც ნომოთეტკური, ისე იდეოგრა-
ფიული კვლევის ობიექტიც იყოს. ვინდელბანდი ამ გარემოებას იმით ახსნის,
რომ დაპირისპირება უცვლელსა და ერთხელ მომხდარს შორის გარკვეული აზ-
რით შეფარდებითია. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ იგი მოიყვანს მაგა-
ლითს მეცნიერებაზე ორგანული ბუნების შესახებ, რომელიც სისტემატიკის

თვალსაზრისით ნომოთეტიკურია, ხოლო განვითარების ისტორიის თვალსაზრისით იდეოგრაფიული, ისტორიულ მეცნიერებაა. ამ შემთხვევაში საერთოს ნომოთეტიკურსა და იდეოგრაფიულ ცოდნას შორის ბუნებისმეცნიერებისა და ისტორიისათვის წარმოადგენს მათი როგორც ცდისეული მეცნიერების ხასიათი. ორივე მათგანს ამოსავალს წარმოადგენს ცდისეული, აღქმისეული ფაქტები. ბუნებისმეცნიერებასა და ისტორიას შორის განსხვავების დასაწყისს ვინდებოდნა აქ ფაქტთა შემეცნებითს გამოყენებაში ხედავს. ამ მიმართებით, ბუნებისმეცნიერება ეძიებს კანონებს, ხოლო ისტორია კი — ცალკეულ მოვლენებს. „ბუნებისმეცნიერებისათვის, — წერს ვინდებოდნა, — ცალკეულ, მის დაკვირვებაში მოცემულ ობიექტს, როგორც ასეთს, არასდროს არ აქვს მეცნიერული ღირებულება; იგი მას სჭირდება მხოლოდ იმისათვის და იმდენად, რამდენადაც თავს უფლებამოსილად თვლის განიხილოს იგი როგორც ტიპი, როგორც სპეციალური შემთხვევა ერთჯერადი ცნებისა, რომელიც მისგანვე ამოსულმა შეიძლება განავითარო; იგი (მკვლევარი — გ. ფ.) ჩერდება ობიექტის მხოლოდ იმ ნიშნებზე, რომელიც საგულისხმოა ზოგადი კანონზომიერების გასარკვევად, ისტორიკოსი კი თავის ამოცანად მიიჩნევს იდეალურად აღადგინოს წარსულის პროდუქტი მისთვის დამახასიათებელი ყველა ინდივიდუალური ნიშნით. ამოცანა, რომელიც მან უნდა განასრულოს, რეალური ფაქტის მიმართ მხატვრის ამოცანის იგივეობრივია. ამას ეფუძნება ისტორიულ და ესთეტიკურ შემოქმედებათა ნათესაობა...“ [5, გვ. 324]. აქედან და ამის გამო ვინდებოდნა ასკვნის, რომ ბუნებისმეცნიერულ აზროვნებაში სჭარბობს მიდრეკილება აბსტრაქციისაკენ, ისტორიულ აზროვნებაში კი, პირიქით, — ჰერეტიკით თვალსაჩინოებისაკენ.

მას შემდეგ, რაც ვინდებოდნა გაარკვევს განსხვავებას (რა თქმა უნდა თავისებურებად) მეცნიერული შემეცნების ორ ძირითად მეთოდს შორის, მეტად საყურადღებო კითხვას სვამს: რა უფრო ღირებულია ჩვენი შემეცნების საერთო მიზნისათვის, კანონთა თუ მოვლენათა ცოდნა? საყოველთაო, დროის მიღმა არსებული არსების გაგება თუ მოვლენათა გაგება? თუკი სარგებლობის გარეგანი შეფასებიდან ამოვალთ, აზროვნების ეს ორივე ფორმა უფლებამოსილია, სამართლიანია, სასარგებლოა. არა, ასეთი სარგებლიანობა არ აინტერესებს ვინდებოდნას. იგი უფრო ღრმად და შორს მიდის. მას სურს გარკვეოს ორივე დისციპლინის შინაგანი შემეცნებითი ღირებულება. რას გულისხმობს ვინდებოდნა ამის ქვეშ? იგი გულისხმობს არა პირდაპირ კმაყოფილებას, რომელსაც თავისთავად ანიჭებს მკვლევარს შემეცნების პროცესი, რადგან ესაა სუბიექტური ტკბობა, ტკბობა მოპოვებით, მიგნებით, გამოცნობით, დადგენით გამოწვეული, და იგი ამიტომ ერთნაირად ახასიათებს ყოველგვარ ცოდნას. მართალია ამაში ვინდებოდნა. ამ დისციპლინათა შინაგანი შემეცნებითი ღირებულების ზომა განისაზღვრება არა იმდენად საგნის მნიშვნელობით, რამდენადაც კვლევის სირთულით. ამის პარალელურად ვინდებოდნა მიუთითებს ობიექტურად არსებულ და მაინც წმინდა თეორიულ განსხვავებებზე სხვადასხვა საგანთა შემეცნებით ღირებულებაში. შემეცნებითი ღირებულების საზომი კი მაინც იმაში მდგომარეობს თუ როგორ და რანაირი ხარისხით უწყობენ ისინი (სხვადასხვა საგნები) ხელს სამყაროს შემეცნებას. ამიტომ ერთეულ მოვლენას ვინდებოდნა გასართობი ცნობისმოყვარეობის ობიექტად დატოვებს, თუკი იგი ვერ ივარგებს უფრო ფართო ცოდნის მოპოვების მასალად. აქედან გამოდინარე, ვინდებოდნათან „ფაქტი“ მეცნიერული აზრით კვალიფიცირებულია

როგორც ტელეოლოგიური ცნება. ბერძნული აზროვნების ცალმხრივობის ტრადიციების საწინააღმდეგოდ, რომელსაც ვინდელბანდი საუკუნო დაბნეულობად თვლის, იგი მიიჩნევს, რომ „ყოველგვარი ადამიანური ინტერესი და ყოველგვარი შეფასება, ყველაფერი რასაც ადამიანისათვის აქვს მნიშვნელობა, განეკუთვნება ერთეულსა და ერთჯერადს... ..ერთჯერადზე, საგნის განუმეორებლობაზეა დაფუძნებული ღირებულების ყველა გრძობა“ [5, გვ. 328]. ვინდელბანდი ვაკვირვებულა. იგი მიიჩნევს, რომ ბერძნებმა გააუფასურეს ცხოვრება, როდესაც საგანთა და ნივთთა დაბრუნებასთან ერთად პიროვნების დაბრუნებაც დაუშვეს მისი ყველა მოქმედებებითა და ტანჯვებით. მას ვერ წარმოუდგენია ერთი და იმავე როლის ერთსა და იმავე თეატრში გათამაშება, სადაც ერთხელ უკვე ნათამაშევია ეს როლი. „და თუ ეს ასეა ინდივიდუალური ადამიანური ცხოვრების მიმართ, მთლიანი ისტორიული პროცესის მიმართ მით უფრო ასე იქნება: მას აქვს ღირებულება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ერთჯერადია“ [5, გვ. 329] — წერს ვინდელბანდი.

საბოლოოდ ვინდელბანდი მაინც ნომოთეტიკურ და იდეოგრაფიულ მეცნიერებათა შადარებით დაპირისპირებულობამდე მიდის. რამდენადაც იდეოგრაფიული მეცნიერებები საჭიროებენ ზოგად დებულებებს, მათ შეუძლიათ ამ შემთხვევაში დაესესონ ნომოთეტიკურ დისციპლინებს. ამიტომ მთლიან შემცენებაში უნდა მონაწილეობდეს როგორც „ნომოთეტიკური“, ისე „იდეოგრაფიული“ მეთოდი.

ვ. ვინდელბანდის მთავარი დამსახურება მაინც საჭირობოროტო საკითხის პირველად დაყენება და სპეციფიკის ჩვენებაა. მისი კონცეფცია განავითარა მისივე მოწაფემ ჰ. რიკერტმა.

ჰ. რიკერტი, ისევე როგორც მისი მასწავლებელი ვ. ვინდელბანდი, რომელიც არ იყო ბუნებისა და სოციალურ მეცნიერებათა პრინციპული გამიჯვნის მომხრე, — განსხვავებას, რომელიც არსებობს მეცნიერებათა შორის, მათ მეთოდთა განსხვავებაში ხედავს. რიკერტიც მიიჩნევს, რომ არსებობს ორი მეთოდი. თუ მეცნიერული ცნების ამოცანაა მოიცვას ზოგადი, იგივეობრივი, განმეორებადი თვისებები შესასწავლი მოვლენის, მაშინ საქმე გვაქვს ბუნებისმეცნიერებასთან. თუ კი მეცნიერული ცნების ამოცანაა კერძო, ინდივიდუალური, ერთჯერადი და განუმეორებელი მოვლენის შემეცნება, მაშინ საქმე გვაქვს ისტორიასთან. ბუნებისმეცნიერული ცნება მიმართულია ზოგადზე, ისტორიული ცნება — ინდივიდუალურზე. ბუნებისმეცნიერების მეთოდი „მაკენერალიზებელია“ (განმაზოგადებელი), ისტორიის მეთოდი — „მინდივიდუალიზებელი“.

ჰ. რიკერტი ემპირიულ მეცნიერებებს ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს. ერთ მათგანში მან მიუჩინა ადგილი თეოლოგებსა და იურისტებს, ისტორიკოსებს და ფილოლოგებს და, ა. შ. მეორეში — ანატომებსა და ფიზიოლოგებს, ბიოლოგებსა და გეოლოგებს და ა. შ. რიკერტი დასძენს, რომ თუ ბუნებისმეცნიერებს ნათლად წარმოუდგენიათ ერთმანეთს შორის კავშირი, მეორე ჯგუფის წარმომადგენლებზე ამას ვერ ვიტყვით. არაბუნებათმეცნიერული დისციპლინების წარმომადგენლებს მათი საერთო მოღვაწეობისათვის სახელიც არ გააჩნიათ. იმისათვის, რათა გამიჯნოს არაბუნებისმეცნიერულ დისციპლინათა მეთოდი ბუნებისმეცნიერების მეთოდთაგან, რიკერტი მიზნად ისახავს შეიძლება შაოს ცნება, რომელიც არაბუნებისმეცნიერულ დისციპლინათა საერთო ინ-

17. 4. 93

ტერესებს, ამოცანებსა და მეთოდებს განსაზღვრავდა. იგი მიიჩნევს, რომ „ეს ცნება ყველაზე უკეთ გამოითქმის ტერმინით „მეცნიერება კულტურის შესახებ“. რიკერტის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიური კლასიფიკაცია ასეთია: „მეცნიერებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც მათ მიერ განხილული საგნებით, ისე გამოყენებული მეთოდებით, და ამიტომ მათი დაყოფა უნდა განხორციელდეს როგორც მატერიალური, ისე ფორმალური თვალსაზრისითაც“ [10, გვ. 44].

თუ ქრონოლოგიურად თვალს გადავავლებთ რიკერტის მეცნიერულ მოღვაწეობას, ნათელი გახდება, რომ ზემოთ დასმული პრობლემა — მკვეთრად გამოეყო და გაემიჯნა ბუნებისმეცნიერული და არაბუნებისმეცნიერული შემეცნების სფეროები — ძირითადი იყო მის შემოქმედებაში. ჯერ კიდევ თავის აღრეულ გამოკვლევებში — „ბუნებისმცოდნეობა და კულტურისმცოდნეობა“ და „ცნებათა ბუნებისმეცნიერული წარმოქმნის საზღვრები“ — რიკერტს ეს პრობლემა აინტერესებს [იხ. 8 და 9]. რიკერტის აზრით, ბუნებისმეცნიერებათა (რომლებიც ეძებენ კანონებს) და კულტურის შესახებ ისტორიულ მეცნიერებათა დამირისპირების წყალობით, მოინახა განსხვავების ისეთი ნიშანი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ემპირიულ-მეცნიერული მოღვაწეობის ორ ჯგუფად დაყოფის საქმეში. რიკერტი იმასაც აღნიშნავს, რომ კვლევის ისტორიული მეთოდი იჭრება ბუნებისმეცნიერებათა საზღვრებში, ხოლო ბუნებისმეცნიერული მეთოდი — კულტურის შესახებ მეცნიერებათა საზღვრებში. ამაში ხედავს რიკერტი დასმული პრობლემის კიდევ უფრო გართულებას. როგორც ჩანს, ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ამ მსჯელობებით რიკერტი უახლოვდება ვინდელბანდის შეხედულებებს.

უფრო საგულისხმოდ რიკერტს მიაჩნდა ბუნებისმეცნიერული ელემენტების პოვნა კულტურისმცოდნეობაში, მაგრამ არა უბრალოდ ბუნებისმეცნიერული, არამედ მეთოდოლოგიურად ბუნებისმეცნიერული. ისტორიული ცნებების ფორმათა უმრავლესობა განეკუთვნება ერთეულ, ერთჯერად მოვლენებს. კულტურული მნიშვნელობა, ცხადია, მჭიდრო კავშირშია ინდივიდუალურთან, მაგრამ იმავდროულად ცნებები ინდივიდუალურისა და ზოგადისა შედარებითია. ხშირად გვხვდება ნომოთეტკურ და ტელეოლოგიურ-ისტორიულად წარმოქმნილ ცნებათა დამთხვევა, ერთი და იგივე მკვლევარის სარგებლობს როგორც ბუნებისმეცნიერული, ასევე ისტორიული მეთოდითაც; პირველყოფილი კულტურის კვლევაც, ენათმეცნიერებაც, პოლიტიკური ეკონომიკაც, სამართალმცოდნეობაც და სხვა მეცნიერებანი კულტურის შესახებ შეიცავენ ნომოთეტკურ ელემენტებსაც, რომლებიც ისე მჭიდრო კავშირში არიან საკუთრივ ისტორიულ კვლევასთან, რომ მათი ურთიერთისაგან გამოყოფა მხოლოდ ცნებათა საშუალებით თუ მოხერხდება.

რიკერტი მხოლოდ ფორმალურად აღიარებს შემეცნების „ბუნებისმეცნიერული“ და „ისტორიული“ ფორმების თანაბარუფლებიანობას. რიკერტის განცხადება, რომ „სინამდვილე ჩვენთვის არსებობს მხოლოდ განსაკუთრებულსა და ინდივიდუალურში და რომ მისი აგება შეუძლებელია ზოგადი ელემენტებისაგან“ [10, გვ. 80], ორნაირი მნიშვნელობით შეიძლება გავიგოთ: ჯერ ერთი, ეს ნიშნავს ბუნებისმეცნიერებათა კომპეტენციის შეზღუდვა-შევიწროებას, და, მეორე მხრივ, ისტორიულ მეცნიერებათა თავისებურ გაგებას.

რას უნდა აღნიშნავდნენ რიკერტისათვის სიტყვები — „ბუნება“ და „კულტურა“? ბუნების ქვეშ იგი გულისხმობს ყოველივე იმის ერთობლიობას, რაც

თავისით, თავისთავად წარმოიშვა, თავისთავად დაიბადა და მხოლოდ საკუთარ ზრდას ექვემდებარება და მასვე მიჰბარება. „კულტურა კი უშუალოდ ადამიანის მიერაა შექმნილი, ადამიანი კი თავის მხრივ მოქმედებს თავისივე შეფასებითი მიზნების თანახმად, ანუ, თუ იგი (კულტურა — გ. ფ.) უკვე არსებობდა აღრე, ეს იმიტომაც, რომ მას ცნობიერად თავს ევლებოდა ადამიანი მასთან დაკავშირებული ღირებულებების გამო“ [10, გვ. 52—53].

კულტურის ყველა მოვლენაში ჩვენ ყოველთვის ვპოულობთ ადამიანის მიერ აღიარებული რომელიმე ღირებულების განხორციელებას. ღირებულება ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ბუნებისა და კულტურის ობიექტთა შორის. იმისათვის, რათა განვასხვავოთ კულტურული (ასე კულტურის) ობიექტები, როგორც სინამდვილის ღირებულებითი ნაწილები, თვით ღირებულებათაგან, რომლებიც არ წარმოადგენენ სინამდვილეს, რიკერტი მათ სიკეთეს უწოდებს. ბუნების მოვლენებს კი იგი მოიაზრებს არა როგორც სათნოებას, არამედ როგორც ისეთ რაიმეს, რომელსაც არა აქვს ღირებულებასთან კავშირი, და ამის გამო, „თუ კულტურის ობიექტს მოვაცილებთ ყოველგვარ ღირებულებას, ისიც ზუსტად ბუნების უბრალო ნაწილად იქცევა უშალ“ [10, გვ. 53].

რიკერტი მიიჩნევს, რომ კულტურისა და ბუნების ობიექტთა ასეთი დაპირისპირება, რამდენადაც საქმე ეხება ორივე ჯგუფის ობიექტთა განსხვავებას, საფუძვლად უდევს მეცნიერებათა დაყოფას. სწორედ ღირებულების პრინციპის წყალობითაა შესაძლებელი განვასხვავოთ კულტურის პროცესები ბუნების მოვლენებისაგან მათი მეცნიერული განხილვის თვალსაზრისით. სწორედ ღირებულების და არა სინამდვილის განსაკუთრებული სახის გამო ხდება გასაგები ინდივიდუალური „კულტურული ცნებების“ შინაარსი, რომლებიც განსხვავდებიან ბუნებრივი (ბუნებისეული) ზოგადი ცნებების შინაარსისაგან. „იმისათვის, რათა უფრო ნათლად გამოვავლინოთ ამ განსხვავების მთელი განსაკუთრებულობა — წერს რიკერტი — ჩვენ საგნებით გარკვეულად ვუწოდოთ ისტორიულ-მანდივიდუალურებელ მეთოდს ღირებულებასთან დამოკიდებულების მეთოდი, და ეს, საწინააღმდეგოდ ბუნებისმეცნიერებისა, რომელიც კანონზომიერ კავშირებს ამყარებს და ახდენს კულტურული ღირებულებებისა და მასთან დაკავშირებული ობიექტების იგნორირებას“ [10, გვ.127].

თუკი ღირებულებას ასეთი გამმიჯნველი ფუნქცია ეკისრება, უფრო მეტიც, ფუნქცია, რომელიც პრინციპში განსაზღვრავს ბუნებისა და ისტორიულ მეცნიერებათა ხასიათებს, მაშინ საკითხავია, როგორია საკუთრივ ღირებულების ბუნება? ღირებულება, რიკერტის მიხედვით, არ წარმოადგენს არც ფიზიკურ და არც ფსიქიკურ სინამდვილეს. ღირებულებათა არსი მათს მნიშვნელობაშია და არა მათს ფაქტიურობაში. მაგრამ ღირებულებანი სინამდვილესთან არიან დაკავშირებულნი. ღირებულება ისეთნაირად შეიძლება შეუერთდეს ობიექტს, რომ ეს უკანასკნელი სიკეთედ იქცევა; ღირებულება ასევე შეიძლება ისეთნაირად იყოს დაკავშირებული სუბიექტის აქტთან, რომ ეს აქტი იმავდროულად შეფასებად იქცევა.

საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში რიკერტის ფილოსოფიის საფუძველიანი კრიტიკა არსებობს [იხ. 1]. ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ ზოგიერთი ის მომენტი გამოგვეყო სოციალური შემეცნების სპეციფიკას რომ შეეხება.

ნეოკანტიანელობის ბადენის სკოლამ შემდგომში საგულისხმო როლი ითამაშა ცოდნის სოციოლოგიის ფორმირების საქმეში. ბევრი საკითხი, რომლე-

ბიკ ვ. ვინდელბანდმა და ჰ. რიკერტმა დასვეს, შემდგომში სოციოლოგიის სფეროში, პირველ რიგში კი ცოდნის სოციოლოგიაში განვითარდა. მ. ვებერმა, რომელიც თავს ჰ. რიკერტის მოწაფედ თვლიდა, თავისი მასწავლებლის ზოგიერთ იდეას სოციოლოგიური ინტერპრეტაცია მისცა. ახლა კი ვნახოთ თუ რა განვითარება ჰპოვა ბადენელი ნეოკანტიანელების შეხედულებებმა ცოდნის სოციოლოგიაში.

ცოდნის სოციოლოგიის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ვ. დილთაის იდეებმა. ნეოკანტიანელების კვალდაკვალ დილთაიც მიჯნავს მეცნიერებებს ბუნებისა და მეცნიერებებს სულის შესახებ. მის სახელთანაა დაკავშირებული ჰერმენევტიკული მეთოდის აღორძინება, რაც არსებითად უშუალო განცდას, შემეცნებელი სუბიექტის მიერ ისტორიულ მოვლენათა არსში შეღწევისა და მათი შინაგანი „მნიშვნელობებისა“ და „საზრისების“ განმარტებას ნიშნავს.

ჰუმანიტარული შემეცნების ძირითად საშუალებად დილთაი მიიჩნევს „გაგებას“, რომელიც ბუნებისმეცნიერული მიზეზობრივი ახსნის საპირისპიროა. დილთაის მიხედვით, ბუნება შეიძლება აიხსნას და ემორჩილება კიდევ ასეთ ახსნას, ხოლო რაც შეეხება სულიერ ცხოვრებას, იგი საჭიროებს შეღწევას, გაგებას. ამიტომ მეცნიერებაში სულზე, ანუ, საერთოდ სოციალურ მეცნიერებებში მიუღებელია ახსნის მეთოდი.

დილთაის მიხედვით, სოციალური პრობლემების შესწავლისას უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ქცევის შინაგანი გამოწვევი მოტივები. სოციალურ მოვლენათა სუბიექტურ მხარეთა შესწავლა, ამ მხარეთა აბსოლუტოზაცია, „გაგების“ ჰერმენევტიკული მეთოდის, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა ერთადერთი და სრულყოფილი მეთოდის დაბრისპირება ახსნის მეთოდთან შემეცნებისა და ცნობიერების პრობლემათა განხილვაში იწვევს სუბიექტივიზმსა და რელატივიზმს.

ბუნებისა და სოციალურ მოვლენათა შემეცნებაში განსხვავების კვლევისას თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში და მეცნიერების მეთოდოლოგიაში გამოჰყოფენ ორ მიდგომას, რომლებიც სხვადასხვა ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს გამოხატავენ. ერთ-ერთი მიდგომის მიხედვით ეჭვს ქვეშაა დაყენებული ან სულაც უარყოფილია კვლევის ზოგადმეცნიერულ მეთოდთა და ხერხთა ვარგისიანობა იმ სახით, როგორადაც ისინი შემუშავდა, პირველ ყოვლისა, ბუნებისმეცნიერებაში; სოციალურ მოვლენებში შეღწევა დანახულია მეცნიერული კვლევის არა ობიექტურ მეთოდებში, არამედ კვლევის ობიექტისადმი მკვლევარი სუბიექტის დამოკიდებულების განსაკუთრებულ ტიპში. ამ მიდგომის მომხრეები სოციალური შემეცნების პრინციპული სპეციფიკის პოზიციას იცავენ, რაც, მათი აზრით, სუბიექტისა და კვლევის ობიექტების განსაკუთრებულ ურთიერთმოქმედებას საჭიროებს (თორიულ შემეცნებაში სუბიექტისა და ობიექტის დამოკიდებულების კლასიკური სქემისაგან განსხვავებით, რასაც, კერძოდ, გამოყენება აქვს ბუნებისმეცნიერებაში). მეორე მიდგომის შემთხვევაში, თუმცა აღიარებულია სოციალური შემეცნების გარკვეული სპეციფიკა, რაც მისი ობიექტისა და აქედან გამომდინარე კვლევის მეთოდთა თავისებურებითაა გამოწვეული, მაგრამ ეს სპეციფიკა განიხილება მეცნიერული შემეცნების ზოგადმეთოდოლოგიური საშუალებებისა და ხერხების საზღვრებში, აღიარებულია ამ საშუალებათა და ხერხთა ვარგისიანობა სოციალურ მოვლენათა კვლევაში.

ზემოთ მოხსენიებული პირველი მიდგომა, ფაქტიურად, სათავეს იღებს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის გერმანულ ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში (ჰ. კოჰენი, ჰ. რიკერტი, ვ. დილთაი, მ. შელერი), ამ მიდგომის წარმომადგენლები „მეცნიერებებს სულის შესახებ“ ანუ „კულტურის შესახებ“ — სოციალურ-ჰუმანიტარულ ცოდნას, უპირისპირებდნენ „მეცნიერებებს ბუნების შესახებ“, ბუნებისმეცნიერულ ცოდნას და ამგვარად აღწერისა და ახსნის მეთოდს (როგორც ეს იყო კონტან) უპირისპირებდნენ ვაგების მეთოდს. ძირითადი და საერთო მათს კონცეფციაში ისაა, რომ სოციალური კვლევის ობიექტებში, მათი აზრით, ყოველთვის საქმე გვაქვს ისეთ სუბიექტურ მომენტებთან, როგორებიცაა, „მნიშვნელობა“, „საზრისი“, „პროექტი“. მათში შედრევა ვაგების მეთოდითაა მხოლოდ შესაძლებელი.

გაგების კონცეფცია სავეტით ემიჯნება თავისი პოზიციით ბუნებისმეცნიერულ მიდგომას, რომლის საგანი ბუნებრივი, ბუნების ობიექტია და რომელიც არსებობს მკვლევარისათვის გარეგანი, საკუთარი კანონებით. ვაგების კონცეფციის მიხედვით ყველაფერი საწინააღმდეგოა. სოციალური კვლევის ობიექტი, ამ კონცეფციის მიხედვით, წარმოადგენს ამა თუ იმ სოციალურ ინსტიტუტებში ობიექტივაციას [დაწვრილებით იხ. 2].

ვაგების კონცეფციის ძირითად მიმართულებას იმაში ხედავენ, რომ, ამ კონცეფციის მიხედვით, „ემპირიული და თეორიული კვლევის მეცნიერული მეთოდები არასაკმარისია სოციალურ მოვლენებში შედრევისათვის და რომ აქ საჭიროა განსაკუთრებული ზნეობრივი და საერთოდ ღირებულებითი, ემოციონალური და სხვა არათეორიული თვალსაზრისები მკვლევარისა — ისეთი თვალსაზრისები, რომელიც კ. მარქსის მიერ კვალიფიცირებული იყო როგორც მანტარულ-რელიგიურ-პრაქტიკულ-სულიერი ათვისება“ [11, გვ. 126].

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მიდგომათა, კონცეფციათა და ტენდენციათა არაარსებობითი მიმოხილვა კი ვაგებთან დასაშული საკითხის აქტუალობის საკმაო საფუძველს. მათ, უპირველეს ყოვლისა, დიდი ღირებულება გააჩნიათ საკუთრივ ცოდნისა და შემეცნებითი მოღვაწეობის ისტორიის შემეცნებისათვის. დასმული პრობლემის ისტორია და მისი დამუშავების თანამედროვე დონე გადაწყვეტილ და გადაუჭრელ ასპექტთა ნათელ სურათს გვიქმნის. ამიტომ პრობლემის დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა მართიხვს როგორც მეთოდოლოგიურ, ისე მეტამეთოდოლოგიურ მიდგომასაც, რაც გამოწვეულია სოციალური შემეცნების სირთულით, ასეთი სახის შემეცნების შემეცნების სხვა სახეებისაგან პრინციპულად განსხვავებული სპეციფიკით, თვით სოციალური შემეცნების ობიექტის სპეციფიკით. ამიტომ ცოდნის თეორიულ და ემპირიულ დონეთა კვლევა სოციალურ შემეცნებაში და სოციოლოგიურ გამოკვლევაში აუცილებელია როგორც მეცნიერული სოციალური შემეცნების, ისე სოციოლოგიური გამოკვლევებისათვისაც.

დასმული პრობლემის დამუშავება ბევრადაა დავალებული თ. კონტის იდეებისაგან. მისმა ცდამ — დაკვირვების მეცნიერებათა სისტემაში აეგო მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საგულისხმო ადგილი დაიკავა პოზიტივისტურ მეთოდოლოგიაში, კერძოდ, კი, სოციოლოგიური ცოდნის დონეთა დამოკიდებულების პრობლემის მერმინდელ დამუშავებაში. თვით კონტი მეტად ფრთხილად ეკიდებოდა თეორიულისა და ემპირიულის განსხვავებას, როცა წერდა: „ერთის მხრივ, ყოველგვარი დადებითი თეორია აუცილებლად უნდა ემყარებოდეს დაკვირვებებს, მაგრამ, მეორეს მხრივ, იმისათვის რათა

შევედრეთ დაკვირვებებს, ჩვენი აზრი უკვე საჭიროებს რომელიმე თეორიას“ [7, გვ. 6]. კონტის ამ საგულისხმო იდეას მეტწილად, თუმც კი არც მთლად ზუსტად, უწოდებენ ემპირიზმს სოციოლოგიაში. დასავლეთის სოციოლოგიის ემპირიზმში სულ მცირე სამი თავისებური და განსხვავებული ტენდენცია შეიძლება გამოიყოს. ჯერ ერთი, ესაა ყოველნაირ კონკრეტულ გამოკვლევათა ვიება ნაკადი. ეს გამოკვლევები ტარდება როგორც წმინდა მეცნიერული, ასევე თეორიული და პრაქტიკული გამოყენებითი მიზნებით, როგორც ერთიანი თეორიული მიდგომით, ასევე ეკლექტიკური პოზიციით. ესენია როგორც საინტერესო და აქტუალური პრობლემების, ისე ფსევდოპრობლემების კვლევა. მეორეს მხრივ, ემპირიზმს უკავშირებენ გამოკვლევებს სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში, რომელიც ო. კონტიდან მომდინარეობს. მესამეც: ემპირიზმს მიეკუთვნება ნებისმიერი გამოკვლევის ემპირიული დონე; ემპირიული გამოკვლევა სტრუქტურული ფუნქციონალიზმის პოზიციიდან; გამოკვლევა, რომელიც დაყვანილია ემპირიულ დონემდე ფენომენოლოგიური სოციოლოგიის ფარგლებში [იხ. 4, გვ. 222—228]. ყოველმხრივ მიმდინარეობს სამი სხვადასხვა ცნების აღრევა: ემპირიზმის, ემპირიული სოციოლოგიისა და ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევის. ემპირიზმი — გარკვეული მიმართულებაა კვლევის მეთოდოლოგიაში, რომელსაც გარკვეულ კონტექსტში აქვს მნიშვნელობა ეპოქის დასახასიათებლად, ან სვა ალტერნატიულ მიმართულებასთან შედარებით. ფილოსოფიის ისტორიაში ემპირიზმს დიდი ტრადიციები გააჩნია, როგორც ერთ-ერთ მიმართულებათაგანს გნოსეოლოგიაში. მხედველობაში აქვთ ემპირიზმი სოციოლოგიაში როგორც ერთგვარი უკიდურესობა სოციოლოგიურ გამოკვლევათა ექსტენსიურ განვითარებაში. ამ უკიდურესობას პირობითად, შეფასებითი მნიშვნელობით, უწოდებენ აგრეთვე ემპირიულ სოციოლოგიას. ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევა ისეთი გამოკვლევაა, რომელიც დაფუძნებულია ემპირიულ მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზე; ემპირიული სოციოლოგია კი პირობითი ტერმინია ემპირიულ სოციოლოგიურ გამოკვლევათა განვითარებაში უკიდურესი ტენდენციების აღსანიშნავად.

ემპირიული სოციოლოგიის არსის უკიდურესი გაგება არსებითად დაკავშირებულია სოციოლოგიის თეორიულ ცნებათა ფიზიკალიზმის ენაზე თარგმანთან ამ ცნებათა შემდგომი ემპირიული-ვერიფიკაციით. როგორც ცნობილია, ლოგიკური პოზიტივიზმის ამ პროგრამამ მთლიანობაში, და მათ შორის, სოციოლოგიაშიც მარცხი განიცადა. ემპირიული სოციოლოგიის ცნებამ ამ გაგების მიხედვით დისკრედიტირება უყო თავისთავს.

ემპირიული სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურა

ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ობიექტს წარმოადგენენ დაკვირვებასა და სოციოლოგიურ ექსპერიმენტში მოცემული მოვლენები, ხდომილებანი, ფაქტები. მათი არსებობა დამოუკიდებელია სოციოლოგიური კვლევისაგან სოციოლოგ-მკვლევარის თეორიული პოზიციისაგან. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ობიექტური სოციოლოგიური ცოდნა, რეალური სოციოლოგიური პრაქტიკაც ვეღარ გამოდგებოდა თეორიული სოციოლოგიური ცოდნის ჰეგემონიზმის კრიტიკიზმად. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაკვირვებასა და ექსპერიმენტში მოცემულ სოციალურ ფენომენთა დადგენა მინც შექცევადი პროცესია და აქ როგორც მკვლევარის თეო-



რიულ პოზიციას, ისე ბევრ სხვა სპეციფიურ გარემოებასაც უნდა გავწიოს ანგარიში. თავის მხრივ, დაკვირვებასა და სოციოლოგიურ ექსპერიმენტში მოცემული რეალური სოციალური მოვლენები გამოხატული უნდა იქნენ ბუნებრივი, ყოველდღიური ენით. ეს თუ ვერ მოხერხდა, მაშინ სოციოლოგიური ცდის მონაცემები ვერ ივარგებდნენ სოციოლოგიური თეორიისაგან დამოუკიდებელ შემმოწმებელ ინსტანციად. მაგრამ თეორიულ-სოციოლოგიური განზოგადებისაგან თავისუფლება არ ნიშნავს მკვლევარ-სოციოლოგისაგან საერთოდ დამოუკიდებელი ე. წ. „წმინდა ცდის“ არსებობას. რეალურ სოციალურ მოვლენათა აღქმა სოციოლოგიურ ცდაში უწინამძღვრობს როდია, იგი ყოველთვის შეიცავს გარკვეულ თეორიულ-კონცეპტუალურ წინამძღვრებს.

ემპირიული სოციოლოგიური შემეცნებისათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ემპირიული მასალის მიღება და დამუშავება. მაგრამ მეცნიერული ღირებულება ემპირიული შემეცნების შედეგებს მაშინღა შეიძლება ჰქონდეს, თუ ისინი სათანადოდ იქნებიან განმარტებული შესაბამისი ამხსნელი ფაქტორებით, რომლებიც ემპირიული შემეცნებიდან კი არ გამოიყვანებიან, არამედ პირიქით, შეტანილი იქნებიან მასში. ამ მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ემპირიულ და თეორიულ ტიპოლოგიზაციას. ამის არსი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ემპირიული გზითაც შეიძლება იმ ფენომენთა ფიქსირება, რასაც მეცნიერული აბსტრაქციის გზით ვაღწევთ, მაგრამ ასეთი ტიპოლოგიზაციის შემეცნებითი ღირებულება საგრძნობლად ნაკლებია. თუ თეორიულ ტიპოლოგიზაციას მიღებულ მონაცემთა ახსნამდე მივყავართ, ემპირიული ტიპოლოგიზაცია მხოლოდ ამ მონაცემთა ინტერპრეტაციისა და აღწერის საშუალებას იძლევა.

სანდო სოციოლოგიური ინფორმაციის მიღების ძირითად საშუალებას სოციალური ფაქტი წარმოადგენს და იგი უნდა იყოს მატარებელი ისეთი ნიშნების, როგორცაა კონკრეტულობა, ინდივიდუალურობა, განმეორებადობა, აღწერითობა.

როცა ვამბობთ, რომ ნებისმიერი მეცნიერული კვლევის პროცესის ძირითად ელემენტს წარმოადგენს ფაქტი, ამით ჯერაც ვერაფერს ვიტყვით საკუთრივ ფაქტის, მისი არსების შესახებ. ასევეა როცა ვამბობთ, რომ ფაქტები ასახვენ სინამდვილეს და საკმარისი არიან თუ არა ისინი ამ სინამდვილის შემეცნებისათვის, „ფაქტი“ მაინც გაუხსნელი რჩება.

დღეისათვის ყველაზე გავრცელებული თვალსაზრისით „ფაქტი“ ინტერპრეტირებულია როგორც მოვლენა ან პროცესი. ესაა ისეთი მოვლენა ან პროცესი, რომელიც უკვე მოხდა სინამდვილეში. ლაპარაკობენ აგრეთვე ობიექტურ ფაქტებზე და შემეცნებით ფაქტებზე. და მაინც ფაქტი უნდა განვსაზღვროთ როგორც ობიექტური შემთხვევა, რომელიც მიმდინარეობს ცნობიერებისა და შემეცნების მიღმა და მათგან დამოუკიდებლად. მაგრამ ამით ხომ არ ვაიგივებთ ობიექტური სინამდვილის ყველა მხარეს ფაქტთან? ეს ასე არ უნდა ხდებოდეს თუნდაც იმიტომ, რომ ყველა მხარე ობიექტური სინამდვილისა წარმოადგენს ფაქტს ადამიანისათვის, უფრო მეტიც, ფაქტს მეცნიერებისათვის. აქ კი უკვე სხვა კითხვა იბადება, სახელდობრ, ამა თუ იმ მოვლენის მნიშვნელობის შესახებ ადამიანისათვის, შემეცნებელი სუბიექტისათვის. ასე რომ, ობიექტად იქცევა სინამდვილის მხოლოდ ის საგანი, ის ფრაგმენტი, ის ფენომენი და მხოლოდ ის ასახება ფაქტიური ცოდნის სახით, რომლებიც ასე თუ ისე ადამიანის სოციალური პრაქტიკის სფეროში მოექცევიან.

აქვე უნდა შევეხოთ საკითხს საკუთრივ ემპირიული სოციოლოგიური ინფორმაციის შინაგანი სტრუქტურის სპეციფიკური ბუნების შესახებ. დღეს ბევრს ლაპარაკობენ სოციოლოგიაში ემპირიულ და ცნებით ინდიკატორებზე (მაჩვენებლებზე), რაც პირდაპირ კავშირშია ჩვენს მიერ ზევით განხილულ კვლევის სხვადასხვა მეთოდთა თავისებურებებთან. თვით ემპირიულ სოციოლოგიურ ინფორმაციაშიც უნდა გამოვყოთ ორი დონე ან ორი საფეხური: ინდივიდუალური ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ რეგისტრირდება, და მთლიანი ინფორმაცია, რომელიც სტატისტიკურად განაზოგადებს ინდივიდუალურ ინფორმაციას და წარმოადგენს თეორიული ანალიზის უშუალო საფუძველს. ეს განისაზღვრება ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ამოცანებით, რამდენადაც ამგვარი კვლევა ყოველთვის მიზნად უნდა ისახავდეს იმ ინფორმაციის მიღებას, რომელმაც გარკვეული შემეცნებითი და პრაქტიკული პრობლემები უნდა გადაწყვიტოს. სხვა მხრივ ამგვარ კვლევასა და გნოსეოლოგიაში არსებულ ემპირიზმს შორის სხვაობის პოვნაც კი არ გაძნელებოდა. ამიტომ აუცილებელია ცნებითი აპარატის, ცნებით და ემპირიულ ინდიკატორთა გამდიდრება, გაფართოება.

ცნებით და ემპირიულ ინდიკატორთა უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ, ისინი, ერთის მხრივ, იძლევიან ძირითად ცნებათა გარკვეულ და ზუსტ დეფინიციას და, მეორეს მხრივ, იძლევიან შესაძლებლობას დაეადგინოთ ძირითად ცნებათა და კვლევის ამოცანათა შესაბამისობა კვლევის პროცესში მოპოვებულ ემპირიულ მასალასთან.

როცა ვლაპარაკობთ სოციოლოგიაში ცნებათა ემპირიული ინტერპრეტაციის შესახებ, უსათუოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ერთი გარემოება, სახელდობრ კი ის, რომ სოციოლოგიურ კვლევაში ცნებათა ემპირიული ინტერპრეტაცია საგრძნობლად განსხვავდება ასეთივე პროცედურისაგან ბუნებათმცნიერულ კვლევაში. პირველ რიგში ეს ეხება თეორიულ სიმკაცრეს, რასაც ცნებათა ემპირიული ინტერპრეტაციის პროცედურის განხორციელები-სას აქვს ადგილი ბუნებათმცნიერულ დისციპლინებში.

ჩვენის აზრით, ემპირიული სოციოლოგიური შემეცნების პროცესი შეიძლება დაეყოს სამ სტადიად:

ემპირიული სოციოლოგიური შემეცნების პირველ სტადიაზე მიიღებიათ ემპირიული შემეცნების შემდგომ ეტაპათვის საჭირო მარტივი და ამოსავალი მონაცემები სოციოლოგიური ცდისა;

მეორე სტადიაზე მიიღება ცოდნა კავშირთა შესახებ და, ამასთანავე ურთიერთდამოკიდებულ სოციალურ მოვლენათა კონკრეტული ჩგუფის შესახებ. ურთიერთდამოკიდებულ სოციალურ მოვლენათა ასეთი ჩგუფები კვლევის განსაკუთრებულ ობიექტს წარმოადგენენ;

ემპირიული სოციოლოგიური კვლევის მესამე სტადიაზე მიიღება ცოდნა ყოველ სოციალურ მოვლენათა საბოლოო ერთობლიობის (ჩგუფების შესახებ), ე. ი. კანონთა შესახებ, რომელიც ახასიათებს სოციალურ ჩგუფთა ამ მოვლენებს, მათ სტრუქტურას, რომლებთანაც მიმართებაში სოციოლოგიური ცდის ცალკეული მონაცემები მოვლენათა ამ ჩგუფის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენენ.

ემპირიული სოციოლოგიური შემეცნების ამ სტადიათაგან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ემპირიული სოციოლოგიური ცოდნის ძირითად სახეებს წარმოადგენენ:

1. სოციოლოგიური ცდის მონაცემები — განსაკუთრებული ცოდნა ცალკეულ სოციალურ მოვლენათა შესახებ;

2. სისტემატიზაცია, სოციოლოგიური ცდის მონაცემთა საბოლოო ერთობლიობათა სახით — განსაკუთრებული ცოდნა ყოველი ჯგუფის სოციალურ მოვლენათა გარეგანი ურთიერთკავშირების შესახებ, და, ამასთანავე, ცოდნა მთლიანად აღებული სოციალური მოვლენების ჯგუფთა შესახებ;

3. ემპირიული სოციოლოგიური კანონები — განსაკუთრებული ცოდნა შინაგანი, განმსაზღვრელი კავშირების შესახებ სოციალურ მოვლენათა ყოველი ჯგუფისათვის.

უკვე აქედანაც ჩანს, რომ საკითხი ემპირიული სოციოლოგიური ცოდნის სხვადასხვა სახეთა შესახებ მეტად საყურადღებო და საჭირო საკითხია. საკუთრივ ემპირიული სოციოლოგიური შემეცნების დონეზეც კი ნათლად ჩანს, რომ მისი ერთი სტადიიდან მეორეზე გადასავლის დროს წარმოიშობა ახალი ცოდნა. ამიტომ ემპირიული სოციოლოგიური შემეცნების პროცესი უნდა განვიხილოთ როგორც სოციოლოგიური ცოდნის გაფართოების პროცესი. ემპირიული სოციოლოგიური ცოდნის გაღრმავებისათვის, სოციალურ მოვლენათა შემეცნებიდან ამ მოვლენათა არსების შემეცნებაზე გადასვლისათვის აუცილებელია სოციოლოგიური კვლევის ხარისხობრივად ახალი — თეორიული დონე.

სოციოლოგიური ცოდნის თეორიული დონის არსი

საკითხი სოციოლოგიური ცოდნის თეორიული დონის არსის შესახებ ერთ-ერთი უმთავრესი და ურთულესია სოციოლოგიური შემეცნების მეთოდოლოგიაში. სირთულე კი იმაში მდგომარეობს, რომ სოციოლოგიური ცოდნის ყველაზე საკულისხმო — თეორიული დონე, წარმოადგენს აბსტრაქტული ცოდნის სფეროს და ამიტომ მისი არც ემპირიული სოციოლოგიური ცოდნის დონიდან გამოყვანა და არც მასზე დაყვანა შეიძლება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემპირიული სოციოლოგიური ცოდნის ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლისას ხდება ცოდნის გაფართოება. მაგრამ თვით ემპირიული სოციოლოგიური ცოდნის გაღრმავებისათვის, სოციალურ მოვლენათა შემეცნებიდან მათი არსის შემეცნებაზე გადასვლისათვის აუცილებელია ხარისხობრივად ახალი — კვლევის თეორიული დონე. მაინც რაში მდგომარეობს სოციოლოგიური ცოდნის თეორიული დონის თავისებურება და სპეციფიკა?

სოციოლოგიური ცოდნის თეორიული დონის პირველი თავისებურებაა ზოგადობა და აბსტრაქტულობა. თუ ემპირიული სოციოლოგიური კანონები აღწერენ ცალკეულ სოციალურ მოვლენათა ერთობლიობებს, სოციოლოგიური თეორია ასეთ კანონთა ერთობლიობებს მოიცავს. თავისი ზოგადი ხასიათის გამო, თეორიული სოციოლოგიური ცოდნა შეეხება არა მხოლოდ დაკვირვებად, არამედ დაუკვირვებად სოციალურ მოვლენებსაც. ასახავს რა სოციალურ მოვლენათა ზოგად და არსებით მხარეებს, თეორიული სოციოლოგიური ცოდნა არ შეიძლება დაედასტუროთ ან უარყვით ცალკე აღებული ცდისეული მონაცემებით. იგი შეიძლება შეფასდეს მხოლოდ მთლიანობაში.

თეორიული სოციოლოგიური ცოდნის მეორე თავისებურება მისი სისტემურობაა. თუ ცალკეული ემპირიული სოციოლოგიური ფაქტები შეიძლება მივიღოთ ან უარყვით ემპირიული სოციოლოგიური ცოდნის მიღლი ერთობლიობის შეუცვლელად, თეორიულ სოციოლოგიურ ცოდნაში მისი ცალ-

კული ელემენტის შეცვლა ნთლიანად სისტემის შეცვლასთანაა დაკავშირებული.

თეორიულ სოციოლოგიური ცოდნის მესამე თავისებურება ზემოთ ჩამოყალიბებული პირველი ორი თავისებურებით განისაზღვრება, ანუ ზოგადობითა და სისტემურობით, რაც მას ფილოსოფიურ ცოდნასთან აახლოებს. მაგრამ თეორიული სოციოლოგიური ცოდნა ფილოსოფიური ცოდნისაგან განსხვავებით მაინც უფრო კონკრეტული ხასიათისაა, რაც თავის მხრივ, საშუალებას იძლევა სოციოლოგიური ცოდნის თეორიული დონე მოვიყვანოთ კავშირში ემპირიულ სოციოლოგიურ ცოდნასთან.

თეორიული სოციოლოგიური ცოდნის მეოთხე და მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ცოდნა ასახავს სოციალურ მოვლენათა სფეროს არსებას და იძლევა სოციალური სინამდვილის უფრო ღრმა სურათს, ვიდრე ემპირიული სოციოლოგიური ცოდნა.

თავის დროზე ფ. ენგელსმაც მიუთითა იმის შესახებ, რომ ინდუქციის დონეზე შეუძლებელია მეცნიერულ კანონთა აღმოჩენა და დამტკიცება. როცა აანალიზებდა ემპირისტულ-ინდუქტივისტურ კონცეფციას, ენგელსმა გვიჩვენა, რომ ინდუქციას ემპირიულ ჰიპოთეზათა აღმოჩენა შეუძლია მხოლოდ. ენგელსი მიიჩნევდა, რომ ერთეულიდან განსაკუთრებულისაკენ და განსაკუთრებულისაგან საყოველთაოდან შეადგენდა ხორციელდება არა ერთი, არამედ რამდენიმე ხერხით. ენგელსის მიერ აღიარებულია ინდუქციის უფლებამოსილება ცოდნის ემპირიული დონისათვის და ასევე სამართლიანად ისიც, რომ მარტო ინდუქციის მეშვეობით თეორიულ ცოდნამდე ვერ მივალწევთ. იგი აღიარებს თეორიული ცოდნის ხარისხობრივ სპეციფიკას.

ემპირიული დაკვირვება, მიუთითებდა ენგელსი, თავისთავად საკმარისად ვერასდროს ვერ დამტკიცებს აუცილებლობას [იხ. 3, გვ. 544].

თეორიული ცოდნა კი თავისი აბსტრაქტული, ზოგადი და სისტემური ხასიათის გამო საყოველთაო მნიშვნელობის მქონეა. ნაკლები ზოგადობის თეორიული სოციოლოგიური ცოდნა შეიძლება მივიღოთ მეტი ზოგადობის მქონე თეორიული სოციოლოგიური ცოდნისაგან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერული სოციოლოგიური თეორია მხოლოდ ემპირიულ მონაცემთა განზოგადებისა და ემპირიული მეთოდების მეშვეობით ვერ აიგება. ამ შემთხვევაში ისინი მხოლოდ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ. ამასვე აღნიშნავდა ვ. ჰაიზენბერგი, როდესაც მსჯელობდა ბუნებათმეცნიერებისა და ტექნიკის შესახებ არსებულ გაყალბებულ წარმოდგენებზე, რომლებსაც თითქოს მთლიანად საქმე აქვთ ზუსტ დაკვირვებებთან და რაციონალურ, მკაცრ ლოგიკურ დასკვნებთან. ვ. ჰაიზენბერგი მიიჩნევს, რომ რაციონალური აზროვნებაც და ზუსტად გაზომვაც მეცნიერთა საქმეა, ისევე როგორც სკულპტორის საქმეა ჩაქუჩითა და საჭრეთლით მუშაობა. თუმცა ორივე შემთხვევაში ლაპარაკია მხოლოდ ინსტრუმენტების, და არა სამეცნიერო მოღვაწეობის არსის შესახებ [იხ. 6, გვ. 60].

შემოქმედებითი, მეცნიერული თეორიული მოღვაწეობა აუცილებლად მოითხოვს ზოგად ცნებათა, პრინციპთა და ჰიპოთეზათა დაქებნას, რომლებიც შეადგენენ თეორიულ ბაზისს და რომელსაც დაეყრდნობა თეორიული ცოდნა.

პრინციპთა და ჰიპოთეზათა მონახვის მეთოდი, ერთის მხრივ, და მეცნიე-

რული სოციოლოგიური თეორიის აგების მეთოდები, მეორეს მხრივ, ქმნიან ნებისმიერი თეორიული გამოკვლევის სტადიებს.

თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევის პირველი სტადია ახალი თეორიული ბაზისის აგებაში ან უკვე არსებული თეორიული ბაზისის გაფართოებაში მდგომარეობს. იგი თავის ელემენტთა სახით მოიცავს ზოგად იდეებსა და ცნებებს, პრინციპებსა და ჰიპოთეზებს, რაც ახალი სოციოლოგიური თეორიის აგების საფუძველს უნდა შეადგენდეს. თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევის პირველი სტადიის ამნაირი ხასიათი უშუალოდ აკავშირებს მას ისტორიულ მატერიალიზმთან, მაგრამ ისტორიული მატერიალიზმი მაინც უზოგადეს კანონზომიერებათა შემსწავლელი მეცნიერებაა, ხოლო რაც შეეხება საკუთრივ სოციოლოგიურ მეცნიერებას, მისთვის ფილოსოფიის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მეცნიერული სოციოლოგიის აგების შესაძლებლობა დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდის სოციალური ცხოვრების სფეროზე გავრცელების შედეგია.

თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევის მეორე სტადიის არსი მდგომარეობს უკვე არსებულ საფუძველზე მეცნიერული სოციოლოგიური თეორიების აგებაში. ახალ სოციოლოგიურ თეორიათა აგების პროცესი საჭიროებს თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევის პირველი სტადიისაკენ ბევრჯერ დაბრუნებას, თეორიული ბაზისის შინაარსის გადასინჯვასა და კორექტირებას.

თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევის მესამე სტადია სოციოლოგიური თეორიის სოციალურ მოვლენათა გარკვეული ჯგუფის ასახნელად გამოყენებაში მდგომარეობს. სოციოლოგიური თეორია, როგორც წესი, ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მან მოიცავს სოციალურ მოვლენათა მთელი სფერო. ჩვეულებრივ, სოციალურ მოვლენათა თეორიული ახსნის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია სოციოლოგიური თეორიიდან უფრო მარტივ კანონთა გამოყვანა, რომლებიც სოციალურ მოვლენათა ცალკეულ ჯგუფებს ეკუთვნის.

თუ ემპირიული სოციოლოგიური კანონები სოციალურ მოვლენათა ჯგუფებისათვის დამახასიათებელ არსებას ასახავენ, ძირითადი სოციოლოგიური კანონები ასახავენ სოციალურ მოვლენათა სფეროსათვის დამახასიათებელ არსებას. სოციოლოგიური პრინციპები კი გამოხატავენ სოციალურ მოვლენათა ყველა სფეროსათვის დამახასიათებელ არსებას.

ამ ასპექტით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკითხი სოციოლოგიურ ჰიპოთეზათა არსისა და სპეციფიკის შესახებ. ჰიპოთეზა მეცნიერულად დასაბუთებულ სოციოლოგიურ თეორიად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა, როცა შესაძლებელია ამ ჰიპოთეზის ჭეშმარიტების დაფუძნება ან უშუალოდ ადამიანური პრაქტიკის მეშვეობით, ან როცა შესაძლებელია მისი გამოყვანა სხვა ჭეშმარიტი დებულებებისაგან. შესაბამისად, ამან შეიძლება მოითხოვოს სათანადო ემპირიულ-სოციოლოგიური კვლევა. საბოლოო ჯამში ეს პროცესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და, შესაბამისად, ადამიანური შემეცნების უსასრულობასთანაა დაკავშირებული.

მეცნიერული სოციოლოგიური გამოკვლევის განხორციელების, განზოგადებისა და ახსნის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს სოციალური ფაქტი, ჰიპოთეზები კი წარმოიშობიან სოციოლოგიურ ფაქტთა წყალობით, და ერთხელ წარმოიშობიან რა, წარმოადგენენ ახალ გამოკვლევათა ჩატარების წყაროს.

ქ. ჯარქსის სახ. საქ. სს
 აქედმწიფთა რესპუბლიკა

14. 7. 93

თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევების პირველ სტადიაზე, ანუ ახალი სოციოლოგიური თეორიის აგების ან არსებული თეორიული ბაზისის გაფართოების სტადიაზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვლევის ისეთ საგულსხმო პროცედურას, როგორცაა იდეალიზაცია. ზევით ჩვენ მოვიტანეთ ენგელსის მეთოდოლოგიური დებულება იმის შესახებ, რომ იდეალიზაცია, ისევე როგორც ინდუქცია, ამოდის ემპირიული მონაცემებიდან, მაგრამ ინდუქციისაგან განსხვავებით იდეალიზაცია თეორიული კანონის ჩამოყალიბების საშუალებას გვაძლევს, რომელიც შესასწავლი სოციალური მოვლენების არსს შეეხება. იდეალიზაციის მეთოდი თავის ამოცანად ისახავს სოციალურ მოვლენებსა და სოციალური სინამდვილის კანონებში გამოჰყოს ის მხარეები და მიმართებები, რომლებიც არსებითი არიან მოცემული სოციოლოგიური გამოკვლევისათვის.

მარქსიზმის კლასიკოსები ბევრჯერ მიმართავდნენ ისეთ მეთოდოლოგიურ ხერხს. როგორცაა, იდეალური მოდელი, თუმცა ტერმინი „მოდელი“ მათ არც უხმარიათ. მოდელი წარმოადგენს თეორიისა და სინამდვილის დაკავშირების ერთ-ერთ საგულსხმო ხერხს და ეს იმიტომ, რომ მოდელი ასახავს სინამდვილეს გამარტივებულ და იდეალიზებულ სახით. მოდელი გამაშუალებელია სინამდვილისა და თეორიისა. რამდენადაც თეორიის ძირითადი დებულებები ახასიათებენ გარკვეულ მოდელს, მოდელი კი თავის მხრივ წარმოადგენს სინამდვილის აბსტრაქტულ სახეს, ამ აზრით, თეორია ასახავს სინამდვილეს მით უფრო ღრმად, რაც უფრო ადეკვატურია მოდელი.

მარქსიზმის კლასიკოსები რომ ასეთი ხერხით სარგებლობდნენ, ამის მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ ფეოდალიზმის კონკრეტული გამოვლინებების „ფეოდალიზმის“ ცნებასთან ენგელსისეული შედარება, ან კაპიტალისტური საზოგადოების ანატომიის მარქსისეული მოდელი.

სოციოლოგიური ცოდნის თეორიულ დონეზე, როცა გავგაჩნია სოციალური სინამდვილის თეორიული იდეალიზებული მოდელები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ „ვიმუშაოთ“ მათზე როგორც გარკვეული სახის ობიექტებზე, სრული ძალით რეალიზდება შესაძლებლობა განვიხილოთ ცნება არა მხოლოდ უკვე აღმოჩენილი და ფიქსირებული შინაარსის მხრივ, არამედ როგორც სუბიექტის მოქმედების სპეციფიკური საშუალება ობიექტის ჯერაც ფარულ თვისებათა დასადგენად. ასეთი შესაძლებლობა პირველად სოციოლოგიური აზრის ისტორიაში განახორციელა კ. მარქსმა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ ზეაღსვლის კონცეფციის შემუშავებით. წარმოადგინა რა საზოგადოების მთლიანობა იდეალიზებული ობიექტის სახით, კ. მარქსმა იმავდროულად სოციოლოგიური ცოდნის ისტორიული მთლიანობაც წარმოადგინა.

Г. Г. ПАЦАЦИЯ

К ПРОБЛЕМЕ СООТНОШЕНИЯ УРОВНЕЙ СОЦИОЛОГИЧЕСКОГО ЗНАНИЯ

Резюме

В эмпирическом социологическом исследовании как компоненте социологической науки неизбежно присутствует некоторая двойственность: объектом эмпирического социологического исследования высту-

пают реальные социальные явления, события, факты, данные в наблюдении и социологическом эксперименте. Существование этих социальных явлений не зависит от социологического исследования, от теоретической позиции ученого-социолога. Но свобода от теоретического социологического истолкования не означает, разумеется, существования некоторого «чистого опыта», вообще независимого от познавательных средств социолога-исследователя. Само восприятие реальных социальных явлений в социологическом опыте не беспредпосылочно, оно всегда содержит некоторые концептуально-теоретические предпосылки.

По мере перехода от одной стадии эмпирического социологического исследования к другой происходит расширение знания. Но для углубления эмпирического социологического знания, для перехода от познания социальных явлений к познанию их сущности необходим качественно новый теоретический уровень социологического исследования.

ლიტერატურა

1. თევზაძე გ. გერმანელი ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია. თბ., 1963.
2. ცინცაძე გ. ვაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა. თბ., 1975.
3. Маркс К. и Энгельс Ф. Соч т. 20.
4. Беккер Г. и Босков А. Современная социологическая теория, М., 1961.
5. Виндельбанд В. Прелюдии. Философские статьи и речи. СПб, 1904.
6. Гейзен берг. Смысл и значение красоты в точных науках. «Вопросы философии», 1979, № 12.
7. Конт О. Курс положительной философии, т. I, СПб, 1900.
8. Риккерт Г. Естествоведение и культуроведение. СПб, 1903.
9. Риккерт Г. Границы естественнонаучного образования понятий. СПб, 1903.
10. Риккерт Г. Науки о природе и науки о культуре. СПб, 1911.
11. Швырев В. С. К проблеме специфики социального познания. «Вопросы философии», 1972, № 3.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ნოზარ ლეშავა

საბჭოთა ახალგაზრდის სოციალიზაციის ზოგიერთი საკითხი

თანამედროვე საბჭოთა ახალგაზრდობა ჩვენი საზოგადოების განვითარების მიმავარი ფაქტორია. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და ურბანიზაციის ტემპებმა შესამჩნევად აამაღლეს მისი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრების ყველა ასპექტსა და მიმართულებაში. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში გამახვილდა სოციოლოგთა და ფსიქოლოგთა ყურადღება ახალგაზრდული პრობლემებისადმი. საბჭოთა ახალგაზრდობის პრობლემების შინაარსის განსაზღვრა, მისი სოციალური პორტრეტის ძირითადი ნიშნების, სოციალური არსების გამოვლენა — რთული ამოცანაა. ამ საკითხის სწორი გადაწყვეტა აუცილებლობით მოითხოვს ახალგაზრდობის, როგორც სოციალური კატეგორიის დადგენას, საზოგადოებაში მისი როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენას.

თვალი რომ გადავავლოთ საზოგადოების განვითარების ისტორიას, შევამჩნევთ არსებითი ხასიათის გარემოებას: მოზარდების თაობა თანდათანობით გარდაიქმნება ჰაბტუებისა და ქალიშვილების, ხოლო უფრო გვიან, მოზრდილი ადამიანების თაობებად. ამ გადასვლებში ჩანს თაობის სოციალური ინტეგრაციის პროცესი, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დადგენის აუცილებლობა. საზოგადოებაში მოდიან ახალი წევრები, რომლებიც ადრე მთლიანად ემორჩილებოდნენ უფროსებს. ისინი გვევლინებიან ახალ სოციალურ მდგომარეობაში; ახალგაზრდების შრომის პროცესში ჩართვა ხასიათდება მთელი რიგი წინააღმდეგობრივი ხასიათის მომენტებით, რაც განსაზღვრულია მათი როგორც გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობებით, ასევე სოციალური მდგომარეობით. მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმი, მისი ცხოვრების წესი ხელს უწყობს ახალგაზრდების ეფექტურ სოციალიზაციას, მათ მიერ სოციალური როლების ათვისებას, ამ სფეროში მაინც გვაქვს პრობლემები, რომელთა არსებობა განსაზღვრულია ახალგაზრდის ასაკის ბიოფსიკური თავისებურებებით, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, და ურბანიზაციის ზოგიერთი უარყოფითი გამოვლენით, ოჯახური გარემოთი და სხვა ასპექტებით.

თანამედროვე საბჭოთა ახალგაზრდობის სოციალური ინტეგრაციის პრობლემები უფრო რელიეფურად და ნათლად გამოიკვეთებიან ახალგაზრდობის, როგორც სოციალური კატეგორიის, გარკვევის შემდეგ. ახალგაზრდობას სწავლობს სოციოლოგიური ცოდნის სპეციალური დარგი — ახალგაზრდობის სოციოლოგია, რომელიც კმნადობის პროცესში იმყოფება.

ახალგაზრდობის სოციოლოგიას შეუძლია შეასრულოს მთლიანი და სისტემური ანალიზის ფუნქცია, მის ზოგადსოციოლოგიურ თეორიას წარმოადგენს ისტორიული მატერიალიზმი, რომლის პრინციპები და კატეგორიები გამოხატულებას ნახულობენ მეცნიერების ამ სფეროში. მხოლოდ სოციალურ-ფსიქოლოგიური და ასაკობრივი კვლევის უკმაობისაზე არაერთხელ უთქვამს ვ. ი. ლენინს. მისი ყურადღების ცენტრში იყო ახალგაზრდობის სხვადასხვა ჯგუფების შეხედულებები, პოზიციები, განწობილებები. ლენინს ღრმად ესმო-

და ახალგაზრდული ასაკის თავისებურებანი და სხვებისაგანაც მოითხოვდა ამ ასაკის კარგ ცოდნას: „მათ მოხერხებულად უნდა მივუღდეთ“ [2, გვ. 213]. ახალგაზრდობის პოლიტიკური მისწრაფებების საფუძველი უნდა დაეინახოთ არა ასაკობრივ სპეციფიკაში, არამედ საზოგადოებრივი ყოფიერების რეალურ პირობებში. ასაკობრივი თავისებურებების აბსოლუტიზაცია ლენინს მიაჩნდა „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ თვალსაზრისად [1, გვ. 49]. არასწორია ასევე ახალგაზრდობის არასოციალურ, არაკლასობრივ კატეგორიად, მხოლოდ ასაკობრივ გარდამავალ ფაზად ჩათვლა. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა განაპირობებს ახალგაზრდების განსხვავებულ მდგომარეობას, მისი ცხოვრების რეალურ პირობებს და პოლიტიკურ პოზიციას. ლენინმა გააკრიტიკა ახალგაზრდობისადმი აბსტრაქტული-იდეალისტური მიდგომა, მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების აბსოლუტიზაცია: „სტუდენტობა არ შეიძლება გამონაკლისს შეადგენდეს მთელ საზოგადოებაში, მიუხედავად მთელი თავისი უნაგარობისა, უმწიველობისა, იდეალურობისა“ [1, გვ. 49].

ახალგაზრდობა უნდა გავიგოთ, როგორც საზოგადოების სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი, რომლის ერთ-ერთ არსებით სოციალურ ნიშნად ითვლება მისი კლასობრივი მდგომარეობა. ამასთან ის წარმოადგენს კლასობრივი ქმნადობის ყველაზე დინამიურ, მოძრავ ელემენტს, რაც განპირობებულია ორი მომენტით. ერთის მხრივ, ვასათვალისწინებელია ახალგაზრდის სოციალური წარმოშობა, ის გარემო, სადაც მიმდინარეობს მისი აღზრდა-განვითარება და მოუქიდებელ გზაზე დადგომამდე. მეორე მხრივ, არ უნდა დავივიწყოთ, ისიც, რომ ყოველი სოციალური კლასი ცდილობს და ახორციელებს კიდევ საკუთარი თავის განვითარებას თავის კლასობრივ წრეში ახალგაზრდების თავმოყრის საშუალებით. კლასის ბედი დიდად არის დამოკიდებული იმ ახალგაზრდაზე, რომელიც აესებს მათ რიგებს. ახალგაზრდების სოციალური პასუხისმგებლობის თაობაზე კ. მარქსი წერდა: «Наиболее передовые рабочие вполне сознают, что будущее их класса, и, следовательно, человечества, всецело зависит от воспитания подрастающего рабочего поколения» (4, გვ. 198).

საბჭოთა სოციალოგები ამუშავებენ ჩვენი ახალგაზრდობის, როგორც სოციალური ჯგუფის, სხვადასხვა ასპექტებსა და მიმართებებს. ამ სფეროში მუშაობენ ი. კონი, ს. იკონნიკოვა, ი. ვოლკოვი, მ. რუტკევიჩი, ვ. ბორიაზი და სხვ. ი. ვოლკოვს ახალგაზრდობა ესმის სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის სახით: „მას, როგორც ყველა სოციალურ ჯგუფს, აქვს საკუთარი ფუნქციური ნიშნები, სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები, სპეციფიკური მოთხოვნილებები და ინტერესები“ [8, გვ. 4].

ს. იკონნიკოვას თვალსაზრისით, „ახალგაზრდობა ითვლება კლასობრივ-დიფერენცირებულ სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფად, რომელიც აერთიანებს 16—30 წლის ასაკის ახალგაზრდა ადამიანებს“ [10, გვ. 19]. ახალგაზრდობის მდგომარეობა საზოგადოებაში, მათი ღირებულებებითი ორიენტაციები, მოთხოვნილებები და სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებები განისაზღვრებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობით, წარმოებითი ურთიერთობებით, ისტორიული სიტუაციით.

ი. კონი ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდობის ასაკობრივ ნიშნებსა და

სოციალური პირობების თავისებურებებზე [6, გვ. 578]. ვ. გოლოფასტის თვალსაზრისით, „ახალგაზრდობა წარმოადგენს საზოგადოების მობილურ სოციალურ-დემოგრაფიულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ნაწილს, რომელიც, შემოსაზღვრულია ასაკობრივი ჩარჩოებით“ [9, გვ. 13, 14]. ვ. პოლიკანოვი ხაზს უსვამს ახალგაზრდობის სოციალურ როლს, მიუთითებს იმას, რომ „ის წარმოადგენს სპეციფიკურ, საზოგადოებრივ მოვლენას“ [11, გვ. 28, 29].

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობის პრობლემები ნაყოფიერად მუშავდება, მაინც აშკარად შესამჩნევია ერთი გარემოება: ყველა მკვლევარი განსხვავებულად ადგენს ახალგაზრდული ასაკის საზღვრებს. ანთროპოლოგები, დემოგრაფები, ფსიქოლოგები და სოციოლოგები საფუძვლად იღებენ სხვადასხვა ნიშნებს, რაც ვ. ბორიაზის სამართლიანი თქმით, არ უნდა იყოს მთლად სწორი „ერთი მეცნიერების საზღვრებში უნდა არსებობდეს შეხედულებების გარკვეული შეთანხმება, მის გარეშე შეუძლებელია მოცემული გამოკვლევების ერთმანეთთან შედარება, ამასთან რთულდება საერთო ტენდენციების გამოკვლევაც“ [7, გვ. 117]. არ შეიძლება არ დაეთანხმო ვ. ბორიაზსა და ს. იკონიკოვას იმაში, რომ ახალგაზრდობის, როგორც სოციალური მოვლენის არსების დადგენაში გადამდგეულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები, „ახალგაზრდობის“ ცნება ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ დამუშავებული [10, გვ. 12].

ჩვენი აზრით, ახალგაზრდობა წარმოადგენს დიფერენცირებულ სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფს, რომელიც აერთიანებს 16-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ადამიანებს, რომელთაც გააჩნიათ მთელი რიგი საერთო ასაკობრივი თავისებურებები, სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებები, ნიშნები, ღირებულებითი ორიენტაციები, მსოფლმხედველობა, ინტერესები და მოთხოვნილებები, რითაც ისინი განსხვავდებიან საზოგადოების მოზრდილი წევრებისაგან. მათი ადგილი და როლი საზოგადოებაში განსაზღვრულია სოციალური წყობის ხასიათით, საზოგადოებრივი ურთიერთობებით და ისტორიული გარემოებებით.

როცა ვცდილობთ ახალგაზრდის სოციალიზირების დადგენას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი ფსიქოლოგიური სიმწიფე და სიმყარე, სოციალური როლების მიღების და რეალიზების უნარ-შესაძლებლობები; თანამედროვე საბჭოთა ახალგაზრდის სოციალიზაცია თავს ავლენს ორ პროცესში: კერძოდ, ჯერ ერთი, ნორმების, ცოდნის ტრადიციების, ღირებულებების ათვისებასა და მეორე, მათ რეალურ გამოყენებაში. ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდობის ზემო საზღვარზე (დაახლოებით 28—30 წელი) ახალგაზრდა ადამიანი სოციალურ ფუნქციებს ასრულებს სრულად და თვალსაჩინოდ, მისი სოციალური აქტიურობა ცხადი და გამოკვეთილი ხდება.

ახალგაზრდის სოციალური ფუნქციების შინაარსში შედიან:

1. საზოგადოებრივი მოღვაწეობის ეკონომიკურ სფეროში: შრომითი მოღვაწეობა და ანაზღაურება, რომელიც მას მისცემდა არა მარტო დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას, არამედ გარკვეულ ნამატსაც კი ოჯახის არა-შრომისუნარიანი ადამიანების სარჩენად.
2. პოლიტიკურ სფეროში: საარჩევნო უფლების რეალიზაცია.
3. პიროვნებათშორისო ურთიერთობის სფეროში: თანაბარ პირობებში უფრო მოზრდილთა საზოგადოებაში თანასწორი მდგომარეობისა და ხელმძღვანელობის მოპოვების შესაძლებლობა.

სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები არაერთგვაროვნად გადადიან მოზრდილობის სტატუსში. ბევრი რამ არის დამოკიდებული ახალგაზრდის სოციალურ მდგომარეობაზე, რომელიც ანელებს, ან პირიქით, აჩქარებს ახალგაზრდის სოციალიზაციის პროცესს.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის ადრეულ საფეხურზე და თანამედროვე მსოფლიოს ჩამორჩენილ რეგიონებში სოციალიზაცია ხასიათდებოდა და ხასიათდება საინტერესო თავისებურებებით. სოციალურად ჩამორჩენილ საზოგადოებებში ბავშვი უშუალოდ გადადიოდა მოზრდილობის სტატუსზე. აქ სოციალური როლები მკაცრად რეგლამენტირებული იყო და ცხოვრების მარტივი პირობები სიჭაბუქის ცალკე გამოყოფის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამიტომაც ბავშვის სოციალიზაცია უფრო სწრაფად ხორციელდებოდა, ვიდრე ეს ცივილიზებულ საზოგადოებაში ხდება. თანამედროვე საბჭოთა ახალგაზრდის სოციალიზაციის ტემპებს ანელებენ სოციალური ცხოვრების მრავალფეროვანი სისტემა, სწავლა-აღზრდის გახანგრძლივებული პერიოდი და სხვა მომენტები. თანამედროვე ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი დიდ ინტერესს იჩენს უმაღლესი განათლების მიმართ, რაც განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არნახული განვითარებით. ხშირია შემთხვევა, როცა უმაღლეს-დამთავრებული ახალგაზრდა მეცნიერების რომელიმე დარგს ეუფლება, რომელიც ცხადია, ერთის მხრივ, ანვითარებს ამ ადამიანის შემეცნებთ პოპიზონტს, მსოფლმზედველობას, მაგრამ მეორე მხრივ, სწავლის პერიოდის გახანგრძლივება აკიანურებს მის სოციალიზაციას, ჩართვას წარმოების სფეროში.

XX საუკუნეს სამართლიანად მიიჩნევენ ურბანიზაციის საუკუნედ. ამ საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოში ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 730 მლნ. ადამიანით, ურბანიზაციის ასეთი მაღალი ტემპების გაგრძელება 2000 წლისთვის 80%-მდე გაზრდის საბჭოთა ქალაქების მოსახლეობას [5, გვ. 119].

ახალგაზრდობა, საზოგადოების სხვა ჯგუფებზე უფრო მეტად, პოზიტიურად უდგება ურბანიზაციას. ქალაქების ზრდა-განვითარება ახალ პერსპექტივებს უშლის ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც ყოველთვის მისწრაფვის სიასლისა და საკუთარი საზოგადოებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ.

ქალაქების, განსაკუთრებით ახლადამოცენებულის, ახალგაზრდობით შევსება გარკვეულ კვალს ტოვებს მის სოციალურ სახეზე. ქალაქის ცხოვრებაში შეინიშნება დიდი ტემპი, რომელიც გარკვეული მნიშვნელობით ახალგაზრდობის მიერაც არის წარმოშობილი. ქალაქიც დიდ გავლენას ახდენს ჩამოსულ ახალგაზრდობაზე, რომელსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ სოფლის ადათ-წესები, შეხედულებები, ქცევის სტილი, მაგრამ არც ის უნდა გამოვრჩეს, რომ სოფლის ფსიქოლოგიის გავლენა ქალაქზე შეინიშნება უფრო მოზრდილი მიგრანტების მხრიდან. ახალგაზრდობას კი არ გააჩნია მყარი შეხედულებები, კარგად ეგუებიან სიასლეს და ქცევის სტილს. რამოდენიმე წლის შემდეგ ისინი სრულად ერწყმიან ქალაქს. როცა ვცდილობთ მისი ცხოვრების პირობების ცნების შინაარსის გარკვევას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ქალაქის მაცხოვრებლის მატერიალური მდგომარეობა (ოჯახის შემოსავალი და მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა), მუშაობისა და ცხოვრების პირობები, სოციალური მობილურობის შესაძლებლობა, რომელშიც მთავარი ადგილი ეკუთვნის სწავლის შესაძლებლობას, ადამიანის „სავნობრივ“ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ გარემოს, ადამიანის ღირებულებით

ორიენტაციებს, რომელიმე ორგანიზაციის წევრობას და არაფორმალურ ჯგუფში გაერთიანებას.

ქალაქის ცხოვრების პირობები ხასიათდება შრომის მზარდი დანაწილებით და ფუნქციური დიფერენციაციით (ცალკეული ადამიანი ეუფლება ვიწრო სპეციალურ სამუშაოს). შრომის პროცესის ამგვარი სპეციალიზაცია იწვევს მნიშვნელოვან ძვრებს ადამიანის ცხოვრებაში. ჯერ ერთი, ცალკეული ადამიანი სულ უფრო ნაკლებად გამოდის, როგორც დამოუკიდებელი ერთეული არა მარტო საწარმოო პროცესში, ასევე საყოფაცხოვრებო სფეროშიც. მეორე, იზრდება, არასამუშაო დროის მნიშვნელობა, რომელშიც პიროვნება მრავალმხრივად ვითარდება. მესამე, რაც უფრო ნაკლებ დროს უთმობს ადამიანი მუშაობას, მით უფრო მიმზიდველია მუშაობის სხვა ფორმები, სხვა სოციალური როლები. ამიტომაც „პიროვნების თვითგანვითარება გამოდის არა როგორც თვითმიზანი, არამედ სოციალური ნობილურობის საშუალება“ [5, გვ. 120].

საზოგადოებაში სხვა როლის მოპოვება მოითხოვს განსხვავებულ ცოდნას, უნარებს და პირად თვისებებსაც. მრავალი პროფესია მოითხოვს უწყვეტ განმარტებას, რაც შეუძლებელია ცოდნის გაღრმავების, სწავლების გარეშე. სწავლება ისეთივე სავალდებულო მოქმედებაა, როგორც მუშაობა. ეს მომენტი განასხვავებს თანამედროვე ქალაქს სოფლისაგან, სადაც შეიძლება ახალგაზრდა დაეუფლოს ისეთ პროფესიას, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოაჩვენებს მას.

თანამედროვე ახალგაზრდობა წარმოადგენს სოციალურად მობილურ ჯგუფს; სოციალური მობილურობის ფსიქოლოგიურ მოტივად ითვლება საკუთარი პიროვნების ყოველმხრივი გამოვლენა. ვფიქრობთ, რომ სოციალური მობილურობა არის ის საშუალება, რომელიც კონკრეტული ადამიანებისა და პიროვნებებისადმი ნაკლებდამოკიდებულს ხდის ადამიანს. სოციალური მობილურობა გამოდის, როგორც სოციალურად მინტეგრირებელი ფაქტორი ქალაქში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პირობებსა და მოსახლეობის მზარდ ფუნქციონალურ დიფერენციაციაში.

მ. რუტკევიჩისა და ფ. ფილიპოვის თვალსაზრისით, „თანამედროვე ნეცნიერულ-ტექნიკური რეველუციის ეპოქაში არსებითი ხასიათის გადაადგილებებია სოფლიდან ქალაქში და ფიზიკური შრომიდან გონებრივში. ამ პროცესს ახორციელებს ახალგაზრდობა, რადგან ის ფლობს უფრო მაღალ საგანმანათლებლო დონეს, ცდილობს შეასრულოს უფრო საინტერესო და რთული სამუშაო, ფსიქოლოგიურად მომზადებულია ადგილის შეცვლისა და ახალი გარემოსათვის [12, გვ. 82].

ქალაქში ახალგაზრდას უხდება საქმიანი, ფუნქციონალური ურთიერთობის დამყარება საზოგადოების წევრებთან. ეს კონტაქტები იშვიათად გადაიზრდებიან ემოციურ-პიროვნულ, არაფორმალურ ურთიერთობებში. ორგანიზაციები, ინსტიტუტები გამოდიან, როგორც რგოლები მოქალაქესა და საზოგადოებას შორის, ამასთან ისინი აწესრიგებენ ადამიანის პიროვნულ დამოკიდებულებებს. სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდის მიერ ქალაქური ფსიქოლოგიის ათვისება ითვლება სოციალიზაციის კერძო შემთხვევად, ე. ი. გარკვეული საზოგადოების ნორმებისა და ღირებულებების შექმნად. ურბანიზებული სოციალიზაცია წარმოადგენს გარკვეული ინსტიტუტის, ორგანიზაციის ნორმებს, არა საერთო ზნეობრივი პრინციპების ათვისებას, არამედ ქალაქში ცხოვრების ქცევის შესწავლას.

სულაც არ არის გამოირიცხული, რომ ზნეობრივ პრინციპებთან ასეთი დაშორიშორება ახალგაზრდა ადამიანმა აღიქვას, როგორც საერთო ღირებულების გაუფასურება. მან შეიძლება ექვის ქვეშ დააყენოს ადამიანური ცხოვრების საყოველთაო ნორმები. მისი მორალური რელატივიზმი მძაფრდება ერთი მომენტი. ახალგაზრდა ადამიანი ქალაქში აწყდება ცხოვრების მრავალ კოდექსს, რომელთაც ის ეჯახება და არ იცის რა ქნას. მას ძველი ღირებულებები აღარ მიაჩნია ერთადერთ სწორ საზომად, წარმოიშვება ღირებულებების გადაფასების სიტუაცია. ასეთ პირობებში, რაც სულაც არ არის გამოირიცხული, ჩვენი ახალგაზრდობის მცირე ნაწილში შეიძლება გავრცელდეს დამანაშვეობის ახალი ფორმები და სახეები.

საზოგადოებრივი ცხოვრების ინდუსტრიალიზაციამ და ურბანიზაციამ თითქმის სრულად დაასხვრია „დიდი ოჯახი“. იგი შეიცვალა ე. წ. „პატარა ოჯახით“, რომელიც შემდგომში იქნეს ნუკლეარულ ფორმას. ოჯახის ეს ტიპი დამახასიათებელია მაღალორგანიზებული და ურბანიზებული საზოგადოებისათვის¹. ბევრი სოციოლოგი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ დღეს ახალგაზრდობის, როგორც სოციალური ერთიანობის, გამოყოფის უშუალო წინაპირობად გამოდინან დიდი ოჯახის დაშლის და მცირე ოჯახების წარმოქმნის ტენდენციები. ახალგაზრდის სოციალიზაცია წარმოუდგენელია უფროსებთან ურთიერთობის გარეშე. ისინი გვევლინებიან მისი სოციალიზაციის ძირითად და უცვლელ „იარაღებად“, რამდენადაც ისინი ფლობენ გავლენის ეფექტურ სისტემას, რომლის გარეშე სოციალიზაცია წარმოუდგენელია.

დიდი ოჯახის პირობებში მოზარდის სოციალიზაცია მიმდინარეობდა მრავალრიცხოვან ჯგუფში, სადაც უფროსები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ნაწილს. ამ სოციალიზაციაში გამოიყოფა შემდეგი არსებითი ნიშნები: 1. მოზარდი ურთიერთობას ამყარებდა უფროსების მნიშვნელოვან რიცხვთან, რომლებიც ასრულებდნენ მრავალრიცხოვან როლებს (ოჯახური როლი — მამისა, ქმრის და ა. შ. პროფესიული როლები და ზოგადსოციალური როლები) ზოგიერთი მინიმუმი, რომელსაც უშუალოდ ასრულებდა ოჯახი). 2. მოზარდს ნაკლები კონტაქტი ჰქონდა დამყარებული სხვა ოჯახების თანატოლებთან (წინასაქმრწინო პერიოდის კონტაქტები უფროსების კონტროლს ექვემდებარებოდა).

მცირე ოჯახებზე გადასვლამ შეცვალა ახალგაზრდა ადამიანის სოციალიზაციის საშუალებები. სოციალიზაციის ხელმძღვანელ ძალად კვლავ უფროსები რჩებიან, მაგრამ მათი სამოქმედო ასპარეზი მკვეთრად შეიკვეცა. უფროსების რაოდენობა ახალგაზრდის ოჯახში შესამჩნევად მცირდება, ხოლო ნათესაური კავშირი მნიშვნელოვნად სუსტდება. საზოგადოებაში სოციალური როლების გაზრდამ და მისი ათვისების სირთულემ დააყენა მშობლების ტრადიციული პროფესიებისადმი სწრაფვა. შესამჩნევი გახდა ერთი ტენდენცია: ახალგაზრდისა და ოჯახის შრომისუნარიან წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ნაკლებად ინტენსიურ ხასიათს ატარებს. გაცილებით გართულდა კონტაქტების დაწყება უფროსებთან, ამიტომაც სოციალიზაციის მოთხოვნებთან ახალგაზრდა იკმაყოფილებს ოჯახის გარეთ იმ მოზარდის საზოგადოებასთან, რომელიც ოჯახს არ მიეკუთვნება. ახალგაზრდის ურთიერთობა მოკლებულია აღრიდნელ ხასიათს, როცა უფროსი ახალგაზრდას უზიარებდა თავის

¹ თუმცა დღეს ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში შეინიშნება კვლავ „დიდი ოჯახის“ აღდგენის ტენდენცია.

გამოცდილებას, ახალგაზრდა ადამიანი უფრო მჭიდროდ უკავშირდება თანატოლების საზოგადოებას, მასში ის ნახულობს საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების ეფექტურ საშუალებას. ჩვენში, ასევე ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, შეიმჩნევა ახალგაზრდული ჯგუფების გამოცალკეების ტენდენცია. ახალგაზრდობის სოციალურ ჯგუფად გამოცალკეება მჭიდრო კავშირში იმყოფება თანამედროვე განათლების სისტემასთან.

საზოგადოების განვითარების არც თუ ისე შორეულ საფეხურზე მოზარდის ინტელექტუალური აღზრდა ოჯახში მიმდინარეობდა, დღეს კი, როცა შეიცვალა ოჯახის ფუნქციები და საზღვრები, საზოგადოების განვითარების საწარმო-ეკონომიკურმა მოთხოვნილებებმა წინა პლანზე წამოსწიეს განათლების მიღების სულ სხვა ფორმები და საშუალებები.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა საზოგადოებრივი კონტროლის სფეროშიც, რომელიც ოჯახმა თანდათანობით დაუთმო სხვა ჯგუფებსა და ორგანიზაციებს. ახალგაზრდობაზე სოციალურ კონტროლს ახორციელებს მასობრივი ზემოქმედების საშუალებები. ადრე სავსებით ნორმალურად ითვლებოდა ახალგაზრდის სრული დამორჩილება, დღეს კი მშობლები შედარებით ნაკლებად ლებულობენ მონაწილეობას მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრაში. იქმნება იმის ილუზიაც, თითქოს ახალგაზრდობა სავსებით ავტონომიურად წყვეტს საკუთარ ბედ-იბაღს, რაც სწორი არ არის: «Любой индивидуальный акт становится возможным постольку, поскольку он детерминирован социально» [3, გვ. 596].

თანამედროვე საბჭოთა ახალგაზრდა ადამიანის სოციალიზაცია მრავალი განმსაზღვრელი ფაქტორითაა განპირობებული. მკვეთრად გაიზარდა თანატოლების ჯგუფის მარეგულირებელი გავლენა, არ უნდა დავივიწყოთ უფროსების ზემოქმედებაც. დღეს განსაკუთრებული როლს ეკუთვნის მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებს, რომელთაც სოციალური გამოცდილების შექმნის რთულ პირობებში შესწევთ უნარი ეფექტურად იმოქმედონ ახალგაზრდობაზე. კომუნიკაციების მასობრივ საშუალებებს შეუძლიათ ამა თუ იმ პრობლემური სიტუაციის ეფექტურად გადაჭრის მიზნით შეაგროვონ ზუსტი ინფორმაცია (მაგალითად, პროფესიის არჩევის დროს), რაც არ გამორიცხავს დაუსაბუთებელ არჩევანსაც. ჩვენი აზრით, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს თავისებურებად ახალგაზრდობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების შექმნა ითვლება. ამ პროცესის სწორი და ეფექტური წარმართვა ჩვენი საზოგადოების ძირითადი და არსებითი სოციალური ამოცანაა. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ის იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად. თანამედროვე პირობებში ახალგაზრდული გაერთიანებების არსებობა არ არის შემთხვევითი მოვლენა. ის სავსებით ნორმალურია ახალგაზრდის სოციალიზაციის დღევანდელ პირობებში. ახალგაზრდა ადამიანის სოციალიზაცია მიმდინარეობს როგორც მრავალრიცხოვან ფორმალურ, ორგანიზებულ ჯგუფებსა და კოლექტივებში (სააწავლო, შრომითი, სპორტული და კულტურულ-აღმზრდელობითი ორგანიზაციები, კლუბები და წრეები), ასევე არაფორმალურ ჯგუფებში (თანატოლების ჯგუფი გემოგენური და პეტეროგენური ნიშნების მიხედვით, მეგობრები, ნაცნობები). დღეს, როგორც არასდროს, გაიზარდა არაფორმალური ჯგუფების მნიშვნელობა. ასეთ ჯგუფებში ახალგაზრდა ადამიანების ერთმანეთისადმი დამოკიდებულება იძენს მრავალფეროვან და საინტერესო ხასიათს. მათში იქმნება ისეთი სიტუაციები, რომლებიც შესანიშნავ ნიადაგს წარმოადგენენ პიროვნების გამოცდისა და გან-

ვითარებისათვის. ადამიანური განწყობილებები, სიმპათიები, გულითადი ურთიერთობის მოთხოვნილება ყველაზე მეტად არაფორმალურ ჯგუფებში იჩენენ თავს. ხშირად ახალგაზრდა აქ ლებულობს ისეთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, როგორცაა მომავალი მეუღლის არჩევა, პრობლემების ფართო წრეზე საკუთარი თვალსაზრისების მოფიქრება და მრავალი სხვა. სამწუხაროდ, არა-იშვიათად არაფორმალური ახალგაზრდული ჯგუფები გადაიზრდებიან არასასურველ, სოციალურად საშიშ მოვლენებად.

ასეთ ჯგუფებზე მარტო კულტურულ-მასობრივი ზემოქმედება უნაყოფო იქნება, რადგან მათ არ შეუძლიათ არაფორმალური კავშირების დამსხვრევა, პირიქით, ისინი კეთილნაყოფიერ ნიადაგს ქმნიან მისი განვითარებისათვის. თავისი ბუნებით, კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები წარმოადგენენ მასობრივი ზემოქმედების ერთ ფორმას, როცა არაფორმალური ახალგაზრდული ჯგუფები ითვლებიან პიროვნებათშორისი ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად. როგორც გამოკვლევები ადასტურებენ, ახალგაზრდების კონტაქტების სისწორე არაფორმალურ ჯგუფებში უფრო მეტია, ვიდრე კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში.

ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდა ადამიანის სოციალიზაცია, მისი მოზრდილობის სტატუსის დადგენა გაცილებით უფრო ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ კი მას რეალური კონტაქტები ექნება მოზრდილების ფართო წრესთან. მარტო ახალგაზრდული კაფეები, კლუბები და კულტურულ-განმანათლებელი წრეები ვერ უზრუნველყოფენ პიროვნების საზოგადოებასთან დადებით ადაპტაციას. ისინი შეიძლება უარყოფითი როლის მატარებლები აღმოჩნდნენ საკუთარ ნაქუქში მოქცევის, სხვებისაგან იზოლაციის შემთხვევაში.

ახალგაზრდობის სოციალიზაცია რთული სოციალური მოვლენაა, არ შეიძლება პიროვნების სოციალურ სტატუსზე ლაპარაკი, თუკა ის ფიზიკურად, გონებრივად და მორალურად არ არის მომწიფებული. მოზრდილობის სტატუსი ნიშნავს არა მარტო წინა თაობის ადამიანების სოციალური გამოცდილების ათვისებას, სოციალური როლების ტრადიციული ფორმებისა და საშუალებების შესწავლას, არამედ უფრო მეტად აქტიურ-გარდაამქმნელ როლსაც, რომელიც საზოგადოების ახალ სრულფასოვანი წევრს მოეთხოვება. ჩვენი სოციოლოგია ახალგაზრდობას განიხილავს განსაზღვრულ ასპექტში. — პირველი, როგორც საზოგადოების აღმზრდელი ზემოქმედების ობიექტი და მეორე, როგორც სოციალური პროგრესის ფაქტორი.

თანამედროვე ისტორიული სიტუაციის ანალიზი აჩვენებს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ცხოვრობს სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ტენდენციების, მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში. მასზე გავლენას ახდენენ ცხოვრების უშუალო გარემოებები, ოჯახური, პროფესიული ატმოსფერო, რომელიც ერთმანეთის გვერდით არსებობენ განსხვავებული გემოვნებები და მიდრეკილებები, სიმპათიები და ანტიპათიები, შეფასებები და ხასიათის თავისებურებები.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდობის ჩამოყალიბების პროცესი სინამდვილის პასიურ ასახვას წარმოადგენს. ახალგაზრდობა რომ მხოლოდ სინამდვილის პასიური აღმქმელი იყოს, მაშინ აღმზრდელითი პროცესი დაყვანილი იქნებოდა შეგუების მექანიზმის გამომუშავებამდე, რომელშიც თითოეული თაობა გაიმეორებდა ერთსა და იმავე უნარებს, თვისებებს. ამიტომაც უნდა გავითვალისწინოთ ის ახალი, ორიგინალური, რაც საზოგადოება-

ში ახალგაზრდობას შემოაქვს. არც ახალგაზრდული თავისებურებების გააბ-სოლუტურება იქნებოდა გამართლებული, რადგან მისი აღიარება სუბიექ-ტურ-ვოლუნტარისტული უკიდურესობების მომასწავებელი იქნებოდა. ახალ-გაზრდობა ყოველთვის უნდა განვიხილოთ, როგორც აღზრდის ობიექტი და ასევე, როგორც სოციალური პროგრესის სუბიექტი — პრობლემის მხოლოდ ამგვარი ანალიზი შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერულად და გამართლებულად.

Н. К. ЛЕЖАВА

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СОЦИАЛИЗАЦИИ СОВЕТСКОГО МОЛОДОГО ЧЕЛОВЕКА

Резюме

В статье рассматриваются некоторые вопросы социализации современного советского молодого человека.

Анализ современной исторической ситуации показывает, что социализация молодого человека протекает в условиях социального и научно-технического прогресса, разнообразных общественных тенденций, острой идеологической борьбы. Он находится под влиянием семьи, условий быта, профессионального климата, в которых соседствуют различные склонности и вкусы, симпатии и антипатии, особенности характера и оценок.

ლიტერატურა

1. ლენინი ვ. ი. ტ. 7.
2. ლენინი ვ. ი. ტ. 23.
3. Маркс К. и Энгельс Ф. Из ранних произведений, М., 1956.
4. Маркс К. и Энгельс Ф. Соч., т. 16.
5. Баранов А. В. Молодежь и урбанизация. В сб.: Человек и общество. Социальные проблемы молодежи. ЛГУ, вып. VI, 1969.
6. Большая советская энциклопедия, т. 16.
7. Боряз В. Н. Молодежь. Методологические проблемы исследования. Л., 1973.
8. Волков Ю. Е. Молодежь в социальной структуре социалистического общества. В кн. Молодежь, как общественная группа. М., 1972.
9. Голофаст В. Б. Элементы социологической теории молодежи. В кн.: Человек и общество. Социальные проблемы молодежи. Уч. зап. ЛГУ, вып. VI, 1969.
10. Иконникова С. Н. Молодежь, соц.-псих. анализ, ЛГУ, 1974.
11. Поликанов А. А. К вопросу о марксистско-ленинском определении молодежи как социальной категории. В сб.: Социальное управление и молодежь, вып. III, М., 1964.
12. Руткевич М. Н., Филиппов Ф. Р. Социальные перемещения. М., 1976.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ზინაბ სარაქა

ხელოვნების სოციალური მისია ჰერბერტ რიდის მიხედვით

(კრიტიკული ანალიზი)

მიუხედავად საყოველთაო პრაქტიციზმისა და სციენტისტური სულისკვეთებისა, XX საუკუნესაც ჰყავს თავისი „დონ-კიხოტები“, რომელთა წარმოსახვაში სასურველი და ჭრარსული იოლად იკაფავს გზას განამდვილებისაკენ. ერთ ასეთ „დონ-კიხოტად“ მესახება ინგლისელი მოაზროვნე ჰერბერტ რიდი (1893—1968), რომელიც პიროვნული თავისუფლებისა და ბედნიერების გარანტიას ხელოვნების მეოხებით აგებულ საზოგადოებაში ხედავს. რიდი ღრმა ერუდიციის და ფართო ინტერესების კაცია. მას ანგარიშგასაწევი შრომები აქვს ხელოვნებათმცოდნეობასა და ესთეტიკაში, სოციოლოგიასა და ფილოლოგიაში. რიდი წლების მანძილზე იყო პრეზიდენტი ბრიტანეთის თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტისა, რედაქტორობდა საესთეტიკო ჟურნალს, არჩეული იყო ბრიტანეთის ესთეტიკოსთა საზოგადოებისა და სამეფო საზოგადოების — „აღზრდა ხელოვნების გზით“ — პრეზიდენტად, ხოლო საპატიო პრეზიდენტად ამავე სახელის მატარებელი საერთაშორისო საზოგადოებისა.

რიდის შემოქმედების მკვლევარნი არაერთგზის აღნიშნავენ მისი შრომების ეკლექტიკურსა და წინააღმდეგობრივ ხასიათს. რიდის თეორიული შეხედულებანი, ორიოდე გამონაკლისის გარდა, მრავალრიცხოვან ესეში არის ვადმოცემული, რაც პირველ ხანებში ცალკეულ იდეათა მოზაიკის შთაბეჭდილებას უქმნის მკითხველს. ისევე როგორც უახლესი დროის დასავლეთის ბევრი მოაზროვნე (ვაიხსენოთ ნიცშე: სისტემის შექმნის სურვილი სინდისის ნაკლებ მიუთითებს) რიდი შეგნებულად არ ესწრაფვის მყარი და შეუვალი, მკაცრად ფორმულირებული სისტემის შექმნას.

სიცოცხლის უპირველესი ნიშანი აქტივობაა. რაიმე მოდელი, სქემა, გეგმა მოულოდნელობით სავსე სიცოცხლის დინამიკას უპირისპირდება. ცხოვრების, სიცოცხლის დარად აღმაიანის ცნებითი მოღვაწეობაც მარადიულ ცვალებადობასა და დინამიზმს ემორჩილება. „ინსტიტუტურად ისე არაფერს ვუფრთხი, — წერს რიდი, — როგორც იდეების სტატიურ სისტემას. ჩემთვის ცხადია, რომ ფორმა, ნიმუში და წესრიგი ყოფიერების არსებითი ასპექტებია, მაგრამ თავისთავად ისინი სიკვდილის ატრიბუტებია. სიცოცხლის შესაქმნელად, პროგრესის უზრუნველსაყოფად, მისწრაფებისა და გზების გამოსაწეველად აუცილებელია ფორმის დამსხვრევა, ნიმუშის დაშლა“ [3, გვ. 58]. იმათ, ვინც თანმიმდევრულად ატარებს რომელიმე თეორიას, რიდი „სადისტური ფორმულების მონებად“ ნათლავს. ზოგიერთი თანამედროვე ფილოსოფიური მიმდინარეობის (მაგ. ლოგიკური პოზიტივიზმის) ნაკლი „იხსნება მათ მიერ აზროვნების მოდუსების, ზეარციონალური ინტუიციების, აღქმის ესთეტიკური ბუნების უარყოფით, ერთი რიტყვით, ეგზისტენციალური თავისუფლების დაგმობით“ (3, გვ. 171). ასეთი რწმენის კაცისაგან მოულოდნელი იქნებოდა რომელიმე ფილოსოფიური სკოლის, სისტემის ბოლომდე გაზიარება ან თავის მხრივ დასრულებული მოძღვრების

შექმნა. რიღს თავიდან ნიცშეს ძლიერი გავლენა განუცდია, მაგრამ შემდეგ პრინციპულად უარუყვია, თუმცა ამ გავლენის კვალი მთელი ცხოვრება შერჩა, რაც ძირითადად რიღის მიერ სპონტანიზმის, დინამიზმის, როგორც შემოქმედებითი სტილის, მიღება-შეთვისებაში გამოიხატა. ადამიანის შესაძლებლობათა შეზღუდულობის რწმენაც გარკვეულად, ფიქრობენ, ნასაზრდოებია ნიცშეს ზეკაცის იდეით. ახალგაზრდა რიდი ვატაცებით კითხულობდა პლატონს, პასკალს, ჰიუმს, კანტს, ჰეგელს. თითოეული მოაზროვნე მისი ინტერესის სფეროს აღრმავებდა და რალაკით ეხმაურებოდა, მაგალითად, რიღის მიერ სიურეალიზმის ანალიზსა და ინტერპრეტაციაში ჰიუმის გავლენას ხედავენ. რაც შეეხება რიღის აზრს ხელოვნების სოციალური როლის შესახებ, თავად რიდი არა ერთხელ მიუთითებს პლატონის და შილერის შეხედულებათა უშუალო გავლენას. რიდი აღსატურებს ბერგსონის, უაბთჰედის, კროჩეს გავლენას მის ცალკეულ მოსაზრებებზე. არაა გამორიცხული, რომ იგი რომელიმე მოაზროვნის ემოციურ სიმბათის ტყვეობაში ექცეოდეს (მაგ., კირკეგორი, სანტაიანა) მიუხედავად მისი მოძღვრების გონებით მიუღებლობისა.

რიდი თავს ჭეშმარიტ ინგლისელ ემპირისტად თვლის და ცდილობს თეორიულ მოსაზრებებს საყრდენი პოზიციურ მეცნიერებებში მოუძებნოს. ესთეტიკის, ხელოვნებათმცოდნეობის და მრავალ სოციალურ პრობლემათა კვლევისას რიდი იმარჯვებს ფსიქოლოგიის (ფროიდი, იუნგი), ფიზიოლოგიის (ი. პ. პავლოვი, ერნსტ კრემერი), ბიოლოგიის (ტ. ბაროუ) მონაცემებს.

რიღის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს პრუდონის, კროპოტკინის, ტოლსტოის იდეებმა. ესეიმი „ანარქიის პოლიტიკა“ (წიგნი: „Anarchy and Order“) რიდი ჩამოთვლის თავის მასწავლებლებს, დემოკრატიის ექვს მოძღვარს — რესკინს, კროპოტკინს, მორისს, ტოლსტოის, განდის, ერიკ ვილს.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება რიდი თავს ანარქისტად თვლიდა. ინგლისის ინტელექტუალურ-სულიერ ცხოვრებაში იგი პირველ ნაბიჯს დგამს როგორც პოეტი (1918 წელს აქვეყნებს პირველ პოეტურ კრებულს. იმ ხანებში თომას ელიოტთან ერთად იგი იმაჟისტთა დაჯგუფებაში შედიოდა) და ანარქისტი, ან მისივე თქმით, როგორც პოეტი ანუ ანარქისტი, რადგან მისი ღრმა რწმენით ყველა ნამდვილი პოეტი (წაიკითხე ხელოვანი) თავისი ბუნებით ანარქისტია. „იმისათვის რომ შექმნა, უნდა აუცილებლად დაიანგრიო. საზოგადოებაში კი ნგრევის აგენტი არის პოეტი. ეჭვი არ მეპარება, რომ პოეტი აუცილებლად ანარქისტია“ [3, გვ. 58].

მგზნებარე პოლიტიკოსი რიდი არ ყოფილა. პოლიტიკაში მოხალისე ინტელექტუალად თვლიდა თავს [2, გვ. 68]. ანარქისტებშიც ლიდერობას არ ჩემულობდა. უყვარდა კანტის სიტყვების გამეორება: „ძალაუფლება გონებას რყენის“ (იქვე). არც ანარქისტულ დაჯგუფებებსა და ორგანიზაციებში იღებდა მონაწილეობას. თუმცა მათ პერიოდულ გამოცემებსა და გამომცემლობებში ხშირად იბეჭდებოდა. როგორც მისი მეგობარი, ანარქისტი ჯორჯ ვუდკოკი აღნიშნავს, ანარქიზმი რიღისთვის უფრო ცხოვრებისეულ რწმენას წარმოადგენდა, ვიდრე პოლიტიკას. თანამოაზრეებს ხშირად აკვირვებდათ მისი არათანმიმდევრულობა. მაგალითად, რიდი 1938 წელს პაციფიზმს ანარქიზმისაგან არ მიჯნავდა, ხოლო 1939 წელს ინგლისის მეორე მსოფლიო ომში ჩაბმას მოი-

თხოვდა. ასევე გაუგებარი დარჩა მათთვის 1953 წელს დედოფალ ელისაბედ მეორის მიერ რიდის რაინდად კურთხევა.

რიდი სავსებით იზიარებს ანარქიზმის ამოსავალ პრინციპს, რომ საზოგადოების ვარდაქმნა ყოველგვარი გეგმის, აპრიორული კონსტიტუციების გარეშე უნდა მოხდეს. სიცოცხლე და მისი გამოვლენის ფორმა — საზოგადოება — მუდმივ ცვალებადობასა და მოძრაობაშია. იგი ექვემდებარება მხოლოდ შინაგან ფარულ წესსა და რიგს, საკუთარ დინებას. უაზრობაა მომავლისათვის რეკეპტების გამოწერა. უახლესი ისტორია აჩვენებს, რომ კონცეპტუალური, წინასწარ იდეაში ნათელხილული საზოგადოება განხორციელების შემდეგ ძალმომრეობის, დათრგუნვის მეთოდებზე აგებულ ტოტალიტარულ სახელმწიფოს წარმოადგენს მხოლოდ. „ერთადერთი გეგმა არსებობს, ესაა ბუნების გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა იცხოვროს კაცმა“ [2, გვ. 68]. რიდს სჯერა, რომ წარმოების ნაციონალიზაციით შესაძლებელი იქნება სახელმწიფოს გაუქმება. სახელმწიფოს ფუნქციები გადაეცემა ნებაყოფლობით საზოგადოებებს, როგორცაა დღეს სინდიკატები, ხელოსანთა გაერთიანებები, პროფესიონალური კავშირები. ბუნებრივად ორგანიზებულ საზოგადოებაში „სახელმწიფოს, როგორც ასეთს, ცოტა რამაა ექნება გასაკეთებელი“ [10, გვ. 47]. ასეთი საზოგადოება წარმოდგება როგორც წონასწარობა და ჰარმონია ჩვეულებს შორის. თითოეული ჯგუფი რომელიმე ფუნქციას შეასრულებს. მათ გააერთიანებს ფუნქციონალური ხელშეკრულება. ასეთი საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველი ადამიანის ბუნების უღრმეს ძირებშია. ესაა ინსტინქტი ურთიერთდახმარებისა (mutual aid), რომელიც მთელ ცხოველთა მოდგმას ახასიათებს, იგი გვარისა და მოდგმის, საბოლოო ჯამში სიცოცხლის გადარჩენა-გავარძლების გარანტიაა. ბრძოლა არსებობისათვის, აგრესიული ინსტინქტი, დღესდღეობით საზოგადოების მიერ ყველაზე უფრო სანქცირებული ინსტინქტია. საზოგადოების განვითარება ამ ინსტინქტზეა კოორდინირებული. ურთიერთდახმარების ინსტინქტი თავისი სასიცოცხლო მნიშვნელობით არაფრით ჩამოუვარდება აგრესიულ სწრაფვას. ამიტომ ადამიანები ბუნების წინააღმდეგ არ წაივლენ, თუკი ცხოვრებას ურთიერთდახმარების პრინციპის მიხედვით ააგებენ [3, გვ. 131]. ამ პრინციპითაა გაერთიანებული ადამიანები შეადგენენ არა კოლექტივს, არამედ თემს, ერთობას (community), ძმობას (brotherhood). კოლექტივი მასში შემავალ წევრთა სურვილის და თანხმობის გარეშე შექმნილი ჯგუფია. კავშირი მის წევრებს შორის გარედანაა მოხვეული და გარკვეული იძულების შედეგია. ერთობა, თემი კი ნათესაურ სულთა კავშირია, იგი აგებულია ერთმანეთის სიყვარულის, ერთმანეთზე ზრუნვის და პასუხისმგებლობის საფუძველზე. ადამიანთა ასეთ კოოპერაციას ნიმუშად ქრისტიანული ძმობის მაგალითი უნდა ჰქონდეს. რიდი ასახელებს ჰუტერიტების კომუნას, რომელსაც საუკუნეებისათვის გაუძლია, რამეთუ მის წევრებს აკავშირებდა საერთო რელიგიური რწმენა და სიყვარული. რიდისთვის სასურველი საზოგადოება ხასიათდება მაქსიმალური სიმარტივითა და უბრალოებით, რაც ნიშანდობლივი იყო ცივილიზაციის ადრეული პერიოდის საზოგადოებისათვის. „უნდა დავიწყეთ სოციალური სიჯანსაღისა და უბრალოების საფუძველიდან, რასაც ისტორიულ პერსპექტივაში ჰომერული შეიძლება ეწოდოს“ [8, გვ. 41].

საზოგადოების გამარტივებული სტრუქტურა აუცილებელია თავისუფლების განსახორციელებლად. არც ერთ დღემდე არსებულ საზოგადოებას ქეშმარიტი თავისუფლება არ მიუნიჭებია თავისი მოქალაქეებისათვის. თავისუფლება ძირითადად ორ ასპექტში შეიძლება გავიაზროთ. ინგლისურ ენას თავისუფლების აღსა-

ნიშნავდ ორი ტერმინი გააჩნია, რითაც ადვილად ხდება ამ ორი ასპექტის გამიჯვნა. ესენია freedom და liberty. რიდი გვარწმუნებს, რომ freedom-ის ძირი არის სანსკრიტის freon, რაც სიყვარულს ნიშნავს (ამავე ძირისაა სიტყვა friend — მეგობარი, ამხანაგი; ალბათ უფრო ზუსტი ქართული შესატყვისი — მოყვასი). ტერმინის ეტიმოლოგიური შინაარსი ხსნის უძველეს და კარგად მიგნებულ ჭეშმარიტებას, რომ ნამდვილ თავისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა ადამიანები მოქმედებენ ურთიერთსიყვარულის ნიადაგზე, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით. liberty ლათინური სიტყვაა და მისი ძველი შინაარსი გულისხმობდა, ამბობს რიდი, მონა-ბატონის ურთიერთობისაგან თავის დაღწევას (ამ აზრით ქართულში liberty-ს ვინძლო უფრო გააზატება, აზატყოფნა შეესაბამებოდეს) [8, გვ. 26]. ამიტომ ეს უკანასკნელი თავისუფლების უფრო სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს უსვამს ხაზს. liberty ამა თუ იმ დოზით განხორციელებული პოლიტიკური თავისუფლებაა, რაც ძირითადად მოქალაქის უფლებებში მდგომარეობს და გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას მის ეკონომიკურ პირობებთან. ადამიანის, როგორც მთლიანი პიროვნების ჭეშმარიტ ბუნებას შეესატყვისება freedom, რომელიც ტოტალურ სასიცოცხლო პროცესთან ადამიანის კავშირსა და ნათესაობაზე მიუთითებს (ძირიც ხომ ამას მიანიშნებს! რაა სიყვარული, თუ არა ლტოლვა სიცოცხლისა, ნება სიცოცხლისა). თავისუფლების სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი კონკრეტული, არსებობისეული ფაქტორია, freedom კი გონითი, არსებისეული. იგი პიროვნებად ჩამოყალიბების უძირითადესა პირობაა. თავისუფლება მთარული აზრით არის თავისუფლება რაიმესაგან. ეს თავისუფლების ნეგატიური პირობაა. მთავარია შინაარსეული, პოზიტიური მომენტი ცნებისა, რაც მდგომარეობს შემოქმედებაში, ქმნალობაში, ადამიანის მიერ საკუთარი თავის აღმოჩენასა და დამტკიცებაში. „თავისუფლება არაა მოსვენებულობის, მცირეოდენი წინააღმდეგობის გაწევის მდგომარეობა. იგი ქმედობის, განჭვრეტის (projecton), თვითგანხორციელების მდგომარეობაა“ [8, გვ. 21]. ასეთი თავისუფლების საფუძველი ქმედების სპონტანურ ინსტინქტშია. რიდისეულ ბუნებრივ საზოგადოებაში თავისუფლების ორი ასპექტი მოიხსნება, ისინი ერთმანეთს დაემთხვევა, რადგან მომავალი მოქალაქის უფლება შინაგანი, სპონტანურ-შემოქმედებითი თავისუფლების მიხედვით ცხოვრება იქნება. როცა ადამიანი ნამდვილად თავისუფალია, ის თავისუფალია როგორც არსების, ისე არსებობის თვალსაზრისით. თავისუფლება ადამიანის შემოქმედებით უნარების პიროვნებადქცევის შეუზღუდავი და დაუთრგუნავი განვითარებაა. იგი არსებობის ისეთივე პირობაა, როგორიც იგულისხმება გამოთქმებში: კიდურების თავისუფალი მოძრაობა, თავისუფალი სუნთქვა და სხვა [3, გვ. 220]. მოკლედ, იგი თავის საფუძველში ადამიანის სასიცოცხლო-ბიოლოგიური მოთხოვნაა და ამიტომ ადამიანები მოვალენი არიან საზოგადოება და საზოგადოებრივი ურთიერთობანი ააწყონ და მოაგვარონ სიცოცხლის კანონზომიერების ანუ ბიოლოგიის ღრმა ცოდნითა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მისი გათვალისწინებით. რიდი აღიარებს, რომ თავისუფლება, რომელზეც ორიენტაცია უნდა აიღოს ახალმა საზოგადოებამ, თავისი არსებით იდეალია, მაგრამ ადამიანები მას ვერსად წაუყლენ, სანამ ვიტალური იმპულსები გააჩნით [3, გვ. 27]. რიდი გვაფრთხილებს, რომ თავისუფლებამ არ ნიშნავს თავაშეებულობას, რომ იგი შეიცავს „პასუხისმგებლობას, მაგრამ არა ვალდებულებას, ინტეგრაციას, მაგრამ არა მორჩილებას“ [3, გვ. 220].

მაგრამ ადამიანს თუ ერთხელ ნება მიეცი სპონტანური განვითარებისა, იმპულსებით მოქმედებისა, სადაა გარანტია რომ ყველა ადამიანი თავისი თავიდან მხოლოდ დადებით შემოქმედებით ვიტალურ საწყისებს განვითარებს? რაღაც იმპულსები რომ მაინც მოითოკონ, იმავე აგრესიულობისა მაინც? და ნერე ეს არ იქნება ძალდატანება, დათრგუნვა ჩვენი ბუნებისა?

დღემდე liberty განაგრძობს რიდი, გაიგება, ერთის მხრივ, როგორც არისტოკრატთა პრივილეგია, მეორეს მხრივ, როგორც დემოკრატიული საყოველთაო უფლებანი. განსხვავება მათ შორის შიდაპოლიტიკური ხასიათისაა. საკუთრების საზოგადო ხასიათი, საყოველთაო არჩენები და სხვა დემოკრატიული ღონისძიებანი სრულებით არ ეხებიან ქვეშარიტი თავისუფლების საკითხს. რიდის აზრით, ყველაზე უფრო დამონებულნი აშშ-ს ტიპის დემოკრატიული ქვეყნის უნიფიცირებული მოქალაქენი არიან. თავისი უტოპიური საზოგადოების დახასიათებისას რიდი არ მიმართავს ტერმინს „დემოკრატიული“, ან თუ იხმარს, „ქვეშარიტს“ დააყოლებს ხოლმე. მისი აზრით, რევოლუციის ძალით დამკვიდრებული დემოკრატია უკვე სათავეში შეიცავს ძალმომრეობის ფაქტორს. განხორციელებული დემოკრატია ბადებს თავად დემოკრატიის არსების საწინააღმდეგო, უხეშ ძალას — ცენტრალიზაციას, რაც მთავრობისა და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების სახით ისევ პიროვნების თავისუფლების დათრგუნვას ემსახურება. საზოგადოებას, რომლის მართვაშიც ყოველი მოქალაქე უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას, დემოკრატიაზე ლაპარაკის უფლება არა აქვს. როგორც კი იწყება წარმომადგენლობითი მართვა, იწყება ცენტრალიზაცია — დემოკრატიის განუკურნავი სენი [10, გვ. 45]. ამიტომ სრულიად მართალი იყო რუსო, როცა ქალაქ-სახელმწიფოზე დიდი ქვეყნისა და მოსახლეობისათვის შეუძლებლად მიიჩნევდა დემოკრატიული მმართველობის განხორციელებას. „საგულისხმოა, — წერს რიდი, — რომ წარსულის ისეთი ინტეგრირებული ერთობანი, როგორიც იყო ათენი, ეტრურია, შუა საუკუნეების ქრისტიანული კომუნები, ვენეცია არასოდეს ყოფილა დიდი“ [3, გვ. 223]. დიდი ქვეყნის დემოკრატია ტოტალიტარიზმში გადაიზრდება. იდეალში რიდს მომავალი საზოგადოებანი პატარ-პატარა თემების, ძმობათა სახით წარმოუდგება.

თანასწორობა ნიშნავს დაყოფას თანაბარ, ერთნაირ ნაწილებად; ეს კი ბუნების პრინციპის საწინააღმდეგო ქმედებაა, მაშასადამე, ადამიანის საწინააღმდეგოც. „ბუნებამ იცის სიმეტრია, მაგრამ არა ტოლობა. ტოლი ნაწილები ბუნებაში ყოველთვის ერთდება“ [8, გვ. 35]. უთანასწორობა საზოგადოების წევრთა შორის სამი განსხვავებული მნიშვნელობით ესმით: ეკონომიკური, ფუნქციონალური და ინტელექტუალურ-სულიერი. ეს უკანასკნელი ადამიანთა მოდგმას, როგორც ბიოლოგიურ გვარს, აუცილებლობით ახასიათებს. ამის შესაბამისად გარდაუვალია ფუნქციური უთანასწორობაც. სამართლიან საზოგადოებაში მოქალაქეთა სოციალური როლი მათი ინტელექტუალურ-ფსიქიკური მონაცემებით განისაზღვრება. ფუნქციათა განაწილებას სრულიად მარტივ, პრიმიტიულ კომუნებშიც კი აქვს ადგილი. მაგალითისათვის ისევ ჰუტერიტების ძმობას იხმობს რიდი. აქ უხუცესებს, სხვა ძმებთან შედარებით, გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ რაიმე ეკონომიკური პრივილეგიაც გააჩნიათ. თავი და თავი სოციალური უბედურებისა ეკონომიკურ უთანასწორობაშია. მთავარია, ბუნებრივი უთანასწორობა ეკონომიკურ უთანასწორობაში არ გადადიოდეს.

დღევანდელი საზოგადოება საშინელი გარღვევალობით მიემართება სოციალური დისპარმონიისა და შიზოფრენიისაკენ. XX საუკუნე მასობრივი ფსიქოზებისა და ნევროზების ეპოქაა. მეცნიერების და ტექნიკის პროგრესს ადამიანებისათვის ბედნიერება არ მოუტანია. განუჩრჩველად სოციალური მდგომარეობისა ყველა ერთი სენითა შეპყრობილი—გაუცხოებით. გაუცხოებაში რიდი პირველ რიგში ბუნებრივი პროცესებისაგან „ადამიანური უნარების მზარდ დაშორებას“ ხედავს [4, გვ. 21]. გაუცხოების მთავარი საშიშროება ადამიანის ფსიქიკურ-ბიოლოგიური წონასწორობის დარღვევაშია, რასაც თანამედროვე ინდუსტრიული წარმოების პირობებში მხოლოდ გაღრმავება ელის. შრომის მკაცრი დიფერენციაციის გამო დღევანდელი საზოგადოების არც ერთ წევრს საშუალება არ გააჩნია ადამიანური არსების სრული ყოველმხრივი განვითარებისა. ცალკეული უნარების ცალმხრივი განვითარება ახშობს და თრგუნავს პიროვნული მთლიანობის განცდას. ადამიანი აღარ არის ის, რაც უნდა ყოფილიყო, იგი უპირისპირდება თავის თავს, უცხოვდება მისი შესაძლებელი ქეშმარიტი ბუნებითი მე-სგან. შრომის მკაცრი განაწილების გამო ადამიანის ბუნების გადაგვარების საფრთხე საგანგაშოდ ჯერ კიდევ შილერმა მიიჩინა, მან ვაეცნობიერა, ვაანალიზა ეს საშიშროება და მისი დაძლევის გზის გამოანხვასაც შეეცადა. მარქსმა გაუცხოების მექანიზმი მეცნიერულად და თანმიმდევრულად კაპიტალისტური წარმოების მაგალითზე აჩვენა. გაუცხოებას განიცდის როგორც მუშა, ისე არამუშა—ისინიც, ვინც უშუალოდ არ აწარმოებს, მაგრამ საკუთხის განხილვისას მარქსისთვის ამოსავალია მუშა, მწარმოებელი, რომელიც გაუცხოებულია როგორც შრომის საგნისაგან, ისე შრომის პროცესისაგან: «Он в своем труде не утверждает себя, а отрицает, чувствует себя не счастливым, а несчастным, не развивает свободно свою физическую и духовную энергию, а изнуряет свою физическую природу и разрушает свои духовные силы. Поэтому рабочий только вне труда чувствует себя самим собой, а в процессе труда он чувствует себя оторванным от самого себя» [1, გვ. 90]. გაუცხოებული შრომის შედეგად ადამიანი კარგავს თავის გვარობით არსებას, მამასადამე, უნივერსალობას და თავისუფლებას, იმას, რითაც იგი ცხოველთა გვარისაგან გამოირჩევა, აღემატება მას. ბუნების გარდაქმნა, ახალი საგნობრივი სამყაროს პრაქტიკული განხორციელება არის პირობა ადამიანის თვითდამტკიცებისა, როგორც შეგნებული გვარობით არსებისა. შრომის საგანში უნდა მოხდეს ადამიანის გვარობითი ცხოვრების გასაგნება, აქ უნდა იგრძნოს ადამიანი თავისი არსება. როცა შრომა გარეგანია, იძულებითი, ხოლო პროდუქტი არა თუ აღარ ეკუთვნის მწარმოებელს, არამედ მის წინააღმდეგ არის მიმართული, ცხადია იგი ვერ ვახდება პირობა ადამიანის თვითდადგენის, მისი უნივერსალობისა და თავისუფლებისა. აქედან გამომდინარე, თუ წარმოების წესი იმგვარად შეიცვლება რომ შრომა გარეგანი და იძულებითი აღარ იქნება (ეს კი მაშინ მოხდება, როცა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება მოისპობა), ადამიანი გასაქანს მისცემს თავის არსებით ნიქს, უნარებს, მოწოდებას და მისწრაფებებს.

რიდი გაუცხოების ფენომენს განიხილავს ზოგადად წარმოების წესის განუჩრჩველად, დღევანდელი ინდუსტრიული ქვეყნების მაგალითზე. მისთვის საგანგაშოა გაუცხოების შედეგი — დისპარმონიული და უუნარო ადამიანი. „ქეშმარიტებასთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ შრომის დანაწილების მაგივრად ადამიანის დაყოფა-დანაწილებაზე ვილაპარაკებთ, — მოჰყავს რიდს რესკინის სიტყვები, — ადამიანები გახლეჩილები არიან უმარტივეს ნაწილებად და ნამცე-

ცებად, ისე რომ გონის მცირე ნაწილი, რომელიც კიდევ შერჩენია კაცს, საკმარისი აღარაა ქინძისთავის, გინდაც ლურსმნის დასამზადებლად. მას მხოლოდ ქინძისთავის წვერის დაზადება ან კიდევ ლურსმნის თავის გაკეთება შეუძლია“ [9, გვ. 40]. ადამიანის ცალმხრივი განვითარება მოხდა მისი გრძობად-ემოციური ფსიქიკის დათრგუნვის ხარჯზე. შემზარავია ასეთი ადამიანის სახე. „ესაა გამოთავყანებული გამოხედვის, მოსაწყენი და უსულგულო ავტომატი, რომლის ერთადერთი სურვილი ძალადობაა ამა თუ იმ ფორმით: უხეში მოქმედება, მძვინვარე ხმები, ყველანაირი შეხლა-შემოხლა რასაც კი შეუძლია შეატაკოს მისი ჩამკვდარი ნერვები. მისი საყვარელი გასართობი ადგილებია სპორტული მოედნები, კეგლის სათამაშო ხეივნები, საცეკვაო დარბაზი, დანაშაულის პასიური ჭკრეტა, ფარსი და ძალადობა ტელევიზორის ეკრანზე, ანარტული თამაშები, ნარკოტიკები“ [4, გვ. 21].

დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ: თუ ასე გაგრძელდა, კაცობრიობა გადაგვარდება და ადამიანი საბოლოოდ დაკარგავს თავის სახეს. რიდი საზოგადოების გარღვევის შესაძლებლობას ადამიანთა ნებასა და კეთილ სურვილში ეძებს. რევოლუცია მისთვის მიუღებელია, რადგან იგი ადამიანებს იმასვე უნერგავს და ასწავლის, რის წინააღმდეგაც ეს ადამიანები იბრძვიან. ძმობას ძმათა შორის სისხლისღვრა ვერ დაედება საფუძვლად. ძალმომროების და დათრგუნვის მეთოდებით საყოველთაო საყვარულის, ნდობისა და სათნოების ქვეყნა ვერ აშენდება. რიდი უარყოფს რევოლუციას, მაგრამ გამართლებულად მიაჩნია ჯანყი, (rebellion, insurrection). „რევოლუციები არაფერს ცვლიან, ან ყოველ შემთხვევაში ბატონთა ერთ წყებას მეორეთი ცვლიან: სოციალური ჯგუფები იღებენ ახალ სახელებს, მაგრამ უწინდელი უთანასწორო მდგომარეობა ძალაში რჩება. ჯანყი, რომელსაც ინსტინქტი უფრო განაგებს ვიდრე გონება, გზნება, სპონტანურობა უფრო ვიდრე ცივი და მოანგარიშე ბუნება, საზოგადოების სხეულზე შოკის თერაპიის მსგავსად მოქმედებს, აქაა შესაძლებლობა მის მიერ საზოგადოებრივი კრიტიკის ქიმიური შემადგენლობის შეცვლისა“ [3, გვ. 17]. რიდი ჯანყზე 1953 წ. დაწერილ ესეიში ლაპარაკობს, — სავარაუდოა, კამიუს შრომის „აჯანყებული ადამიანის“ (1951) გაცნობის შემდეგ. რიდი ყოველთვის მომხრე იყო საზოგადოების მშვიდობიანი გარდაქმნისა. მისი აზრით, შესაძლებელია პოლიტიკური ძალაუფლების გაუქმება და სოციალური მართვის ფუნქციების ნებაყოფლობით საზოგადოებებისათვის გადაცემა. ჯანყის კამიუსეული თეორია არათუ არ ეწინააღმდეგება რიდის შეხედულებას, არამედ ავსებს და თანმიმდევრულს ხდის მას. იმისათვის, რომ რამე შეიცვალოს, საჭიროა ადამიანებმა აღარ ისურვონ ძველებურად ცხოვრება, აჯანყდნენ, აბუნტდნენ. ჯანყი, კამიუს მიხედვით, არის უარყოფა, რომელიც ჰყოფას გულისხმობს, იგი ჩნდივიდუალისტურია, მაგრამ საყოველთაო ღირებულებას შეიცავს. რიდი კამიუდან ამოდის, როცა წერს: ადამიანები „ტირანის წინააღმდეგ რომ ჯანყდებიან, ჰყოფენ არა თავიანთ ინდივიდუალობას, არამედ ადამიანური ბუნების ერთიანობას. ისინი ჰყოფენ თავიანთ სურვილს, შექმნან ერთობა საერთო იდეალების (ქეშმარიტების და მშვენიერების) საფუძველზე“ [3, გვ. 18]. კამიუ ლაპარაკობს საერთოდ ჯანყზე, რეალურ-ისტორიული ფორმები ამ ჯანყის მოდიფიკაციებია მხოლოდ. ჯანყი, რომელიც რევოლუციაში გადაიზრდება, ადამიანს თავისუფლებასა და ბედნიერებას არათუ არ სძენს, არამედ ახდენს მის ტოტალურ დამონებას. ამიტომ საჭიროა დაუღებრუნდეთ „წმინდა ჯანყს“, რომელიც

შეიცავს ღირებულების დაპირებას, რწმენას. რეალობაში ერთადერთი სფერო, სადაც ეს დაპირება შეიძლება განხორციელდეს, ისე რომ საზრისი არ დაკარგოს, არის ხელოვნება. ხელოვნება თავისი ბუნებით ჯანყია, რადგან იგი უარყოფს რეალობას, მაგრამ რეალობაში ნაპოვნი ღირებულების საფუძველზე. ხელოვნება ერთიანობის დამცველია, მაგრამ ტოტალობის მტერი.

კამიუს მსგავსად რიდიც თვლის, რომ ჯანყის მოთავე და სულისჩამდგმელი არის ხელოვანი, რომელიც ყველაზე ადრე შეიცნობს და განჭვრეტს საზოგადოების განვითარების ძირეულ ტენდენციებს. ხელოვანი ინტუიციით გრძნობს და სახეებით გამოხატავს იმას, რაც შემდეგ თანდათანობით ხდება გონების რეფლექსიის საგანი. რიდი გვარწმუნებს, რომ ადამიანები ყველაზე კარგად საკუთარ ერთობს ხელოვნებით შეიცნობენ. ამას ხელოვანი ახერხებს იმის გამო, რომ სხვაზე უკეთესად და საერთო ქვეცნობიერს, კოლექტიურ ინსტინქტებს [10, გვ. 4]. ხელოვანს შეუძლია შეამაგოს როლი შეასრულოს ინდივიდუალურ ცნობიერებასა და კოლექტიურ არაცნობიერს შორის. ამაშია სოციალური რეინტეგრაციის ხელოვნებისეული მისია. დღეს პარადოქსულ ვითარებაშია ხელოვანი. რამდენადაც შორსაა სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისაგან, მით უფრო ჭეშმარიტად ასახავს ეპოქას, თანამედროვე საზოგადოების საარსებო ინტერესებს, მისი შემოქმედება უფრო ღრმად იჭრება ცხოვრების შუაგულში, აშიშვლებს თვალისთვის დაფარულ პროცესებს, შეგნებულად თუ შეუგნებლად მომავლისთვის იძლევა მოქმედება-განვითარების გარკვეულ გეზსა და ორიენტაციას. ცხოვრების ფეხის ხმას აყოლილი ხელოვანის პირიზონტი ვიწროა. იგი კონკრეტულ საზოგადოებას, მოდას, ბაზრის მოთხოვნებს, მოვლენათა ზედაპირს ვერ სცილდება. ჭეშმარიტი ხელოვნებით დასაქმებულობა ადამიანის მთელ არსებას მოითხოვს, იგი წარმატებით იყენებს მეცნიერების მიერ უგულვებელყოფილ უნარებს, პირველ რიგში, გრძნობა-ემოცია-წარმოსახვას. ხელოვნება თამაშის ბუნებისა და ადამიანური არსების ყველა მხარის ლაღსა და შეუზღუდველ გამოყენებას გულისხმობს.

ფროიდის აზრით, ადამიანის ფსიქიკას (უფრო სწორად, ადამიანს, როგორც ცოცხლ ორგანიზმს) ორი ძირითადი იმპულსი უდევს საფუძვლად — ლტოლვა სიცოცხლისკენ და ლტოლვა სიკვდილისკენ. რიდს უყოყმანოდ გადააქვს ეს ორი ტენდენცია საერთოდ ცივილიზაციაზე და თვლის, რომ ცივილიზაციის დროს უმაღლესი გამოხატულება სიცოცხლის ნებისა არის თავისუფალი და ორიგინალური ხელოვნება, იგი ცივილიზაციის ვიტალურობის მაჩვენებელია. ხელოვნება „მეტია ვიდრე ცხოვრების სამშვენისი. იგი თვითონ არის სიცოცხლე განვითარების ყველაზე ინტენსიურ მომენტში“ [5, გვ. 1]. ხელოვნება თავისი ფართო მნიშვნელობით ბიოლოგიურია. „იგი მოჩქევს სიცოცხლის შუაგულიდან“ [10, გვ. 91]. სიცოცხლის ლტოლვა ერთიულ იმპულსებს ეყრდნობა. ყულტურა ერთობს საზრდობს. ამიტომ ხელოვნება ერთადერთია, რაც თვითგრავისა და სიკვდილის ლტოლვას უპირისპირდება და ამ უკანასკნელს ადამიანის შემოქმედებით ნებას უმორჩილებს. მისი ვიტალური ხასიათიდან გამომდინარე, ხელოვნება რჩეულთა ხვედრი კი არაა მხოლოდ, არამედ ყოველი ადამიანის ბუნებასა და არსებას შეადგენს. „ხელოვანი არაა განსაკუთრებული ადამიანი, არამედ თითოეული ადამიანი არის რომელიმე სახის ხელოვანი“ [10, გვ. 24]. და თუ ეს ასეა, რაღა შორს უნდა ვეძიოთ პიროვნების რეინტეგრაციის, მისი ფსიქიკურ-ბიოლოგიური წონასწორობის აღდგენის გზები? აღვზარდოთ ყოველი ადამიანი შემოქმე-

დად, ხელოვნად. ეს გარანტია იქნება ადამიანის ბუნებასთან ერთიანობისა, ბუნებრივი სახის შენარჩუნებისა. მხატვრულ-შემოქმედებითი საწყისების განვითარება ადამიანის რომელიმე უნარის გადაგვარება-ატროფიას ხელს შეუშლის და წინააღმდეგება. ხელოვნებით დასაქმებულობის დიდი სიკეთე კიდევ ისაა, რომ აღადგენს რა ადამიანში ვიტალურობასა და ბუნებრიობას, იგი ადამიანს უარს არ ათქმევინებს ცივილიზაციაზე — მეცნიერების და ტექნიკის ღირებულებებზე. ყოველივე ამის საფუძველზე რიდი ასკვნის: საზოგადოება ხელოვნების გზით უნდა წავიდეს, ხელოვნებამ მთავარი ადგილი უნდა დაეკავოს აღზრდა-განათლების სისტემაში, სოციალური გარდაქმნები განათლების სისტემის რეფორმებით უნდა დაიწყოს.

დანარჩენი საყვედურები სპინოზას მიმართ, თუ მათ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, კაცმა რომ თქვას, გაურკვეველია, რადგან ყოველი საყვედური მხოლოდ მაშინ იქნება გარკვეული, როცა შეგვიძლია იმას, რასაც ვიწუნებთ, დავუპირისპიროთ სწორი და ჭეშმარიტი დებულება, რომ, როცა, მაგ., არავითარი უფლება არა გვაქვს გავკვიცხოთ მხედართმთავარი ბრძოლის წაგების გამო, გოცა ვერ ვუთითებთ, თუ როგორ შეიძლო მას თავიდან ავიცილებინა ბრძოლა ან მოეგო იგი. ასევე ღმერთსა და სამყაროს ზემოხსენებული თითქოსდა ვერგარჩევს საქმეც. ვიდრე გრძელდება აქამდე არსებული გაურკვეველობა იმის თაობაზე, თუ როგორია ის ერთიანობა, რომელიც, ყოველი სისტემის თანაბრად, ღმერთსა და სამყაროს შორის არსებობს (რადგან დაუშვებელია, რომ მათი გარჩევა ფორმალურ დაცილებად გვექცეს), ვიდრე ხსენებული განსხვავების საზღვრები ვერ მიგვითითებია, მანამდე ხსენებულ საყვედურს სპინოზას მიმართ გარკვეულობა ვერ ექნება. იგივე უნდა ითქვას მეორე, არა ნაკლებ მთარული საყვედურის შესახებაც, სპინოზა ღმერთს პიროვნებას უარყოფს. მართალია, ღმერთს, სპინოზას მიხედვით, არა აქვს თავისი არსებისაგან განსხვავებული არსებობა. იგი მხოლოდ თავისი არსება და მისი არსება საყოველთაო, საერთო არსებაა, საყოველთაო სუბსტანციაა. ამას გარდა, სამყაროს მიმართ იგი არ არის თავისუფალ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პიროვნულ დამოკიდებულებაში; სამყარო შედგება მისი არსებობის და, ვინაიდან იგი თავისი ბუნებისა და მიხედვით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებლობით არსებობს, სამყაროც მისი ბუნების შედეგია. მაგრამ სანამ მეცნიერული ცნებები იმგვარია, რომ თვით არსებაა, საყოველთაო, რომელიც ღმერთს პიროვნულობას იცავენ, იძულებული არიან აღიარონ, მეცნიერული ცნებებით ღმერთს პიროვნულობა მიუწვდომელიაო, მანამდე ამ საყვედურსაც ძალა არა აქვს.

ამგვარად, სპინოზიზმის შესახებ ჭერ-ჭერობით არაფერია ნათელი გარდა იმისა, რომ რგი ოდენ აუცილებლობის სისტემაა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისტემა, რომელიც ყოველთვის ხსნის როგორც ოდენ აუცილებელ შედეგს, გამოამოსატყის ღმერთი ბუნებიდან (და არა როგორც თავისუფალ, შემთხვევით შედეგს მისი ნებებისა). მაგრამ ეს ისეთი საყვედური არაა, რომელიც მხოლოდ სპინოზიზმს შეეხება.

სპინოზას მოძღვრება, ზოგადად, აუცილებლობის სისტემაა. მაგრამ ამ ფარგლებშიც იგი განუვითარებელი სისტემაა. ასეთია იგი, კერძოდ, იმიტომ, რომ სუბსტანცია მასთან სახეებით უძრავია, მკვდარია, უძრავად ოდენ-ყოფიერია, თავის ყოფიერებაში ჩაკარგული, და არა ამ ყოფიერებაში თავისთავის მფლობელი და გამამდიერებელი (Leigender), ახალ ზარისხზე ამყვანი, რომელიც, მამასადაც, კვლავ თავისუფალ მიმართებაში დადგებოდა თავის ყოფიერებასთან. მაგრამ თუ სპინოზიზმი აუცილებლობის განუვითარებელი სისტემაა, მაშინ წინდაწინ უნდა მოველოდეთ, რომ მის უშუალოდ მომყოლ მოძღვრებაში პირველ ყოვლისა სწორედ ამ აუცილებლობის სისტემის მეტი განვითარება აღმოჩნდება, მაგრამ არა თვით მისი აუცილებლობითი ხასიათის დაძლევა. რადგან აღამიანური გოგის ბუნებაა, განსაკუთრებით კი ფილოსოფიურ განვითარებაში ჩართულისა, არაფერი დატოვებს განუხლებლად, აგრეთვე, არ მოეშვას ამა თუ იმ პრინციპს მანამდე, სანამ იგი თავიდან ბოლოაქვს არ ექნება ამოწურული ყველა მისი შედეგებითურთ. საქმე ასე არაა, თითქოს საქმეში კვლავ და კვლავ არ გრძოდეს

მოპირისპირე მისწრაფებები და ცდები, — როგორც სპინოზას, ისე მის შემდგომთა წინააღმდეგ — მაგრამ, ვინაიდან ეს ცდები უპირისპირდება ამ სისტემის განუყოფელ მომენტს, ეს უკანასკნელი. თვით წინააღმდეგობის წყალობით განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აღის და კვლავ ახალი ძალით აღდგება, რომლის წინააღმდეგაც აღრინდელ საყვედურებს, მხოლოდ განუყოფაბეღელ მომენტს რომ ეხებოდა, აღარაფერი ძალუბო.

ლაიბნიცისეული სისტემა (ფილოსოფიური განვითარების თანმიმდევრობაში სპინოზას უახლოესად მომდევნო) ძალიან ადრე იქნა მიჩნეული სპინოზასთვის მღუმარედ დაპირისპირებულ და მისი პრინციპისთვის, ასე ვთქვათ, ძირგამომთხრელ სისტემად. მაგრამ თვით აქ სრულიად სხვაგვარადაა. რასაც სპინოზისმში ყველაზე უფრო აღმაფეთებულად აღვიდნენ, ის იყო, რომ ღმერთი, ერთერთ მის ატრიბუტში განხილული, განფენილი სუბსტანცია ყოფილა. ახლა კი ამბობენ: ლაიბნიცი სულაც სპოზს განფენილს და ყველაფერს აფონთებს. მაგრამ იმ აზრით, რომლითაც მას განდევნის ლაიბნიცი, იგი სპინოზას მიერაც იყო უკვე განდევნილი და პირუტყვ: იმ აზრით, რომლითაც სპინოზა ამას ამტკიცებს, ლაიბნიციც მას ძალაში ტოვებს. სახელობრ, ლაიბნიცი ამბობს: სუბსტანცია არის მონადა; ჯერჯერობით ამას საკმარისად ავსნით, თუ ვიტყვი: მისი აზრით, სუბსტანცია გონითი სუბსტანციაა. მაგრამ ეს ცნება, პირველ ყოვლისა, უპირისპირდება მხოლოდ ცუდ წარმოდგენას მატერიაზე, — წარმოდგენას მასზე, როგორც შედგენილზე. ლაიბნიცი ამბობს: როგორც ის, რასაც განფენილს ვუწოდებთ, ისე ის, რასაც მოაზროვნეს ვუწოდებთ — ორივე, თავისთავად, არის მხოლოდ გონითი სუბსტანცია. მაგრამ სწორედ ამასვე ამბობს, თუ მას სწორად გაეუგებთ, სპინოზაც, რომელიც არაერთხელ ირწმუნება, განფენილობა, როგორც ღვთიერი ატრიბუტი, ანუ განფენილობა, განხილული სწორად და ისეთად, როგორც იგი არის, ნაწილებად გაყოფილი ან ნაწილებისგან შემდგარი კი არაა, არამედ ლიტონად მარტივია. სწორედ ასევე, მატერია გაყოფადი და შედგენილია არა როგორც სუბსტანცია, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი განხილვა აბსტრაქტულად, სუბსტანციისაგან განყენებით და, მასთანადა, არაჰქმარატივად. მაგრამ თუ მატერიალურში მხოლოდ შედგენილს ვივლისხმებთ, მაშინ სპინოზასთვის განფენილი ანუ სუბსტანცია, ამ ატრიბუტის (განფენილობის) ქვეშ განხილული, ისევე გონითი იყო, როგორც თვითონ ლაიბნიცისთვის — წარმოდგენა. გაყოფადი ანუ ნაწილებიდან შემდგარი მატერია სპინოზასთვის ისევე წარმოიქმნება მხოლოდ მცდარი და არასწორი განხილვის შედეგად, როგორც ლაიბნიცისთვის — მხოლოდ აღრეული (Verworrene) წარმოდგენის შედეგად. ლაიბნიცი არც უარყოფს უპირობოდ მატერიის გაყოფადობას (როგორც მოჩვენებითობას). ლაიბნიციც ხსენებულ ერთიანობებს, რომლებსაც იგი მონადებს უწოდებს, აღიარებს როგორც საბოლოო, თუმცა გონით ელემენტებს ყოველივე მატერიალურისას. ერთი მონადა, თავისთავად განხილული, უპირობოდ არასხეულებრივია, წმინდა წარმოსახვის ძალა (რადგან წარმოსახვის ძალად ყოფნა, მის მიხედვით, ყოველივე ყოფიერის არსებაა. არის მხოლოდ ის, რაც წარმოადგენს). მაგრამ რამდენიმე მონადა ერთად ქმნის ერთ მთელს, რომელიც რელატიურად დაქვემდებარებული და რელატიურად გაბატონებული მონადებისგან შედგება, რომლებზედაც საბოლოოდ ერთი გაბატონებული მონადა მალდება. ის, ვინც ამ მთელს ისე ხედავს, როგორც ღმერთი, ანუ ხედავს როგორც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთ-მაუელისხმებელი წმინდა გონითი ძალების მთელს, ვერაფერს აღქვამს სხეულებრივი განფენილობისას. მაგრამ ერთთვლი საყაროსეული არსება, მაგ., აღმინა, დღას არა ამ პერსპექტივად შეაწერტალობს, სიდაც მას ნიეთები ასე წარმოუდგება, არამედ მის გარეთ, და მონადების ასეთი ადგილგადაწაცლებულობით ერთმანეთის მიმართ წარმოიშობა აღრეული წარმოდგენა; მხოლოდ ეს მოჩვენებითობაა, — და სხვა არაფერი — სხეულებრივი განფენილობა, იგი მხოლოდ ამ აღრეული წარმოდგენის ფენომენია, რომელსაც, თავისთავად აღებუღს, მეტი რეალობა არა აქვს, ვიდრე, მაგ., ცისარტყელას. ამრიგად, ის, რასაც სპინოზა განხილვის ოდენ აბსტრაქტული წესის მიერ, თავისთავად განუყოფადი სუბსტანციისაგან აბსტრაქციების მიერ წარმოშობილად თვლის — გაყოფადი, მატერიის მოჩვენებითი სურათი — ლაიბნიცისთვის წარმოიშობა აღრეული წარმოდგენის შედეგად. ყოველი სხეულებრივი მონადა, თავისთავად, არის მხოლოდ გონითი ძალების მთელი; რომ შეგვეძლოს მისი წარმოდგენა აღქვამტურად ღმერთსავით, მასში მხოლოდ გონითს დავინახავდით. მხოლოდ აღრეული წარმოდგენა წარმოშობს სხეულებრიობითს მოჩვენებითობას. თუ ამ ორ ასხნაში რომელია უფრო დამარწმუნებელი (einleuchtender), ამის კვლევას არ შეუძლებია. მე ამას მხოლოდ იმ განზრახვით ვამბობ, რომ ვაჩვენო, რომ, თუ მონადას გაეიგებთ როგორც მარტივ გონითს, მაშინ მატერიის ჰქმარატი სუბსტანცია სპინოზასთვისაც მარტივი და განუყოფადია. მასთანადა, ამ საკითხში

ლაიბნიცს არავითარი უპირატესობა არა აქვს სპინოზასთან; სამაგიეროდ მათ შორის ის დიდი განსხვავებაა, რომ სპინოზას მისი ორი ატრიბუტის სახით ხელთ აქვს ნამდვილი დაპირისპირებულობა, რომელსაც, მართალია, იგი განვითარებისთვის არ იყენებს, მაგრამ რომლის გამოყენებაც ამისთვის შეიძლება. სადაც დაპირისპირებაა, იქ სიტუაცია. ლაიბნიცი, პირიქით, ასე ვთქვათ, აბსოლუტური უნიტარისტია. იგი არაფერს არ ცნობს ვერაფერს გონისა; მისთვის არაფერია არაგონითი, გონისადმი მოპირისპირე. განსხვავებანი, რომლებიც მასთან გვეხდება, ნამდვილად ოდენ რაოდენობრივია: არსებობენ უფრო სრულყოფილი და უფრო არასრულყოფილი მონადები; ერთნი მისთვის არაცნობიერებაში ჩაიბრუნებიან, მეორენი ცნობიერება; მაგრამ მას არც იმის განმარტება შეუძლია, თუ საიდან მოდის, კაცმა რომ თქვას, ეს განსხვავება, რადგან ხელთ არა აქვს არაფერი თავისთავად არაგონითი, თავისთავად ცნობიერებისადმი დაპირისპირებული, არც იმისა, თუ სულაც რატომ აქვს ადგილი ამგვარ განსხვავებას. მაშასადამე, ამ მხრივ ლაიბნიცის მონადური მოძღვრება ბევრს ვერაფერს მოგავაებინებს სპინოზას წინააღმდეგ.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ფიქრობდნენ, რომ მონადის სახით სპინოზას მოპირისპირე ცნება აღმოაჩინეს და მით სპინოზას საწინააღმდეგო რამ იპოვნეს. ვინაიდან ყოველი მონადაც ცალკეული, წინადად თავისში ჩაეჭტილი სუბსტანციაა, ამიტომ იმდენი სუბსტანცია ანუ ცენტრი არსებობს, რამდენიც მონადათ და არა მხოლოდ ერთი სუბსტანცია, როგორც სპინოზა ამტკიცებს. მაგრამ იმ აზრით, რომლითაც ლაიბნიცი რამდენიმე სუბსტანციას აღიარებს, აღიარებს მათ სპინოზაც, სახელობრ, სპინოზა აღიარებს სუბსტანციის მრავალ — უფრო მეტიც, უსასრულოდ ბევრ მოდიფიკაციას; ხოლო იმ აზრით, რომლითაც სპინოზა მხოლოდ ერთ სუბსტანციას ამტკიცებს, ლაიბნიცი საბოლოოდ იძულებულია მხოლოდ ერთი აღიაროს. რადგან იგი, როგორც უკვე ითქვა, მონადებს იზიარებს ერთმანეთის მიმართ დაქვემდებარებულად და დაზემდებარებულად: ამას მიჰყავს იგი პირველადს მონადამდე. (Urmonade) — ყოველივეზე გაბატონებულ, სამყაროულ მონადამდე. ეს პირველადი მონადა არის ღმერთი, რომელიც, აგრეთვე, ერთადერთი სუბსტანციაა, თუ სუბსტანციაში იმას ვიგულისხმებთ, რასაც სპინოზა გულისხმობს: id, cujus conceptus, non eget conceptu alterius rei* და ლაიბნიცი მას მართლაც ასე იზრებს. ყველაფერი დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ რა მიმართებას ანიჭებს იგი წარმოებულ (abgeleitet); პირველად მონადაზე დამოკიდებულ მონადებს იმ პირველადთან. ამასთან დაკავშირებით მე მინდა მისი საკუთარი სიტყვები მოვიღო: Deus solus est unitas primitiva, sive substantia originaria (cujus conceptus non eget etc), cujus productione** (აქ: ყოველივე შექმნილი, Schöpfung) sunt omnes monades creatae aut (NB) derivatae, et nascuntur, ut ita loquar, per continuas Divinitatis fulgurationes, per receptivitatem creaturae limitatas, cui essentiale est esse limitatam. მაშასადამე, მხოლოდ ღმერთია მისთვის substantia originaria*** მისგან იწარმოებიან დანარჩენები. სპინოზა ამ სიტყვას არ მიმართავს ან მიმართავს მხოლოდ გაყვრით („არასაკუთრივ“), ნივთები სპინოზასთვის მხოლოდ ლოგიკური ემანაციებია. ამგვარად, საკითხავია, თუ რას ნიშნავს ეს წარმოება ლაიბნიცთან. ცნების ნაცვლად იგი გვაძლევს ხატს: ერთეული, წარმოებული (abgeleitet) მონადები ჩნდებიან ღვთაების მუდმივი გამოეღვებით (Ausblitzen oder Wetterleuchten) ასეთი ფელგურირება (Effulgurieren)**** მეტისმეტად განუსაზღვრელი რამ არის. ასე რომ მისგან ნივთების განსაზღვრულობა ვერ იხსნება. ამგვარად, იგი ნივთების განსაზღვრულობას ამის თქმით ხსნის: ეს ელვა ქმნილებათა რეცეპტიულობითაა ზღვარდადებული (მათ ღვთის მიმღებლობის მხოლოდ გარკვეული ზომა აქვთ). მაშასადამე, აქ ქმნილებას რეცეპტიულობა უნდა მივაწეროთ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ იგი იარსებებდეს; ქმნილებისთვის არსებითაა, გვეუბნება იგი, რომ შემოფარგლულად, შემოზღუდულად იყოს — რა თქმა უნდა, თუკი იგი არის. მაგრამ საკითხავი და საკვლევი ხომ სწორედ ქმნილებაა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკითხავია ის, თუ როგორ

* ის, რისი ცნებაც არ მოითხოვს სხვა საგნის ცნებას (ლათ.).
** მხოლოდ ღმერთია პირველადი ერთიანობა ანუ წარმოშობი სუბსტანცია (რომლის ცნებაც არ საჭიროებს... და ა. შ.), რომლის წარმონაქმნილებიც არიან ყველა შექმნილი ან გამოყვანილი (NB) მონადები და იხილვებიან, ასე ვთქვათ, ღვთის უწყვეტი გამოეღვებით, რომლებიც ზღვარდადებულია ქმნილების მიმღებლობით (რეცეპტიულობით), რომლისთვისაც (ამ ქმნილებისთვის) არსებითია, რომ შემოფარგლული იყოს (ლათ.).
*** წარმოქმნილი სუბსტანცია (ლათ.).
**** გამოეღვება (ლათ.).

ჩნდება ეს შემოფარგულობა. და ვინაიდან იგი ვერ იქნება ბირობადებული ჯერ არარსებული ქმნილების შეზღუდული რეცეპტიულობით, ხოლო ამ შემოზღუდვის საფუძველი, ასევე, არ შეიძლება ღვთაების უსასრულო ძალაში ექვათი, ნათლავა რომ ამ შემოფარგულს თავისი საფუძველი მხოლოდ ღვთიურ ნებაში შეიძლება ჰქონდეს. ამას ლაიბნიცი არ ამბობს, რაც უნდა ამკარა იყოს, რომ მას ეს აუცილებლად უნდა ექება (იგი პატივს სცემს ქმნილების შემოფარგულობას). იგი რომ ამის ასე ამკარად მტკიცებას თავს არიდებს, აქედან კარგად ჩანს, თუ როგორ აქვს მას ნაგულისხმევი მთელი თავისი სისტემა. სახელდობრ, ელვის ამ (უნდა ითქვას, წარმტაცი) სურათით, სადაც ღმერთი გაიზარება, თითქოს, როგორც ელვით ფეხძიმე ღრუბელი, მას მხოლოდ ამის თქმა უნდა: შექმნილი მონადები ღმერთიდან, ანუ ღვთიური ბუნებიდან, ისევე წყნარად და საკუთარი მოქმედების გარეშე მომდინარეობენ, როგორც მომდინარეობენ ისინი მისგან სპინოზას მიხედვით. ოღონდ იგი ფიზიკურ ხატს იყენებს, ისევე როგორც სპინოზა — გეომეტრიულ მეტაფორას (Gleichnis), თუმცა ფაქტიურად საქმე ერთსა და იმავესთან გვაქვს. მის მიერ გამოყენებული არა ემანაციის ძველთაძველ ხატს უბრუნდება. მაგრამ სპინოზაც ხომ ემანაციონისაა, თუმცა ხატი ფიზიკური, ბრამდ ლოგიკური; მართლაც, ამასთანავე იგი ამტკიცებს არა გადმოღვნილის მისივე წყაროსაგან მოცილებას, როგორც ჩვეულებრივ ესმით ხოლმე ემანაცია (მართლაც ასე უნდა იყოს იგი გაგებულთ თუ არა რომელიმე სისტემაში, მაგ., ებრაულ კაბალაში, ეს ჯერ კიდევ საკითხავია), არამედ ღვთისაგან გამომდინარე, მისი აზრით, ღმერთშივე რჩება და, ამდენად, მის მოძღვრებას შეიძლება ვუწოდოთ მანიენტური ემანაციის მოძღვრება. მაგრამ წმინდა მონადები ლაიბნიცის მიხედვითაც ღმერთში არიან! რადგან სხეულებრივი, მისი აზრით, წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი განიხილებიან ღმერთის გარეთ. კუმპარტი სხვაობა იმაში ძვეს, რაც ზემოთ უკვე შევნიშნეთ: იუ სპინოზას, თუმცა იგი ამ საშუალებას არ იყენებს, იმ პირველად ორობის სახით, რომელიც მან უმაღლეს არსებაში დაადგინა, მაინც კიდევ ხელთ აქვს საშუალება, რომ სასრული ნივთების შექმნა გასაღები გახადოს, ლაიბნიცი ამას საეხებთ მოკლებულია.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ლაიბნიცმა სხეულებული ახსნით მხოლოდ მარტივი მონადები მიიღო, საკუთრივ ნივთები კი, რომლებიც, მის მიხედვით, მონადების აკუმულაციისაგან ანუ შეკავშირებისაგან შედგებიან, — ჯერ ვერა. მაშასადამე, ღვთისგან ემანირებულნი, მკაცრად რომ ვთქვათ, უნდა ყოფილიყვნენ არა მონადები, არამედ ეს მთლიანობითი შეკავშირებანი ანუ სისტემები; თუ არა და ცალკე უნდა ახსნილიყო, თუ როგორ კავშირდებიან ისინი ამ წესით; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ ღირს თავის შეწყუბება იმაზე, რომ განეაგრძოთ სვლა ამ მსჯელობაში; რადგან ის, რაც უკვე ითქვა, საკმარისად გვარწმუნებს, რომ იმ მაღალგონიერ კაცს არასამართლიანად მოვექცევით, თუ მის მოძღვრებას მონადების შესახებ იმაზე მეტ რამედ ჩავთვლით, ვიდრე პიპოთეზაა, რომელიც მან თავისთვის გამოიგონა, — ეგებ, სულაც, მხოლოდ იმისთვის, რომ სპინოზის მიხედვით მანანად რაღაცა დაეპირისპირებინა და მასზე შეჩერებული თანამედროვეთა ყურადღება გაეფანტა. ერთის მხრივ, ამ პიპოთეზა. მართლაც, დიდი მნიშვნელობა მოიპოვა, რადგან — როგორც ხშირად ხდება ხოლმე, როცა თანამედროვენი ფილოსოფიის მეორეხარისხოვანი საკითხებს გამოეკიდებიან — დეკარტისეული საკითხი de Commercio animi et corporis* იმ დროს უმნიშვნელოვანესად იყო მიჩნეული. აქ კი ლაიბნიცი განიჩნა დეკარტისგან შემდგენით: ლაიბნიცი იყო ამკარა ანტიკლუალისტი. სხეულებრივი და გონითი მისთვის ერთი იყო იმდენად, რამდენადაც მან ორივე საბოლოოდ მონადის ცნებაზე დაიყვანა. ამგვარად, მის წინაშე არ მდგარა ის სიძველე, რომელიც დეკარტს ჰქონდა. მაგრამ მისთვის ყოველი მონადა იყო აბსოლუტური ცენტრი, უნივერსული თავისთვის, ჩაკეტილი სამყარო, წმინდა მეობა, რომელშიც გარედან ვერაფერი შეაღწევდა. მონადებს, ამბობს იგი, არა აქვთ ფანჯრები, საიდანაც მათში ნივთები შეაღწევდნენ. მაგრამ როგორ ხდება, რომ ეს მონადები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებელნი არიან, ურთიერთთანხმობაში იმყოფებიან, ანუ რომ ერთი მონადა მეორის წარმოდგენებისთვის განმსაზღვრელია, რადგან მათი არსება ხომ ოდენ წარმოდგენაშია, ყოველი მონადა ხომ არის მხოლოდ ცალკე, დამოუკიდებელი vis representativa** ანუ centrum representativum Universi,** რომელიც თავის მხრივ ისევე და ისევე დანარჩენების წარმოდგენებს წარმოიდგენს? კერძოდ, როგორ აიხსნება სხეულებული შინაგანი და უშუალო დამოკიდებულება ერთი მხრივ იმ მონადისა, რომელიც არის ჩემი ორგანიზმის მადონირებელი, სხეულის უშუალო სული, ოდენ ცხოველური სული, და მეორე მხრივ უფრო მაღალი მონადისა, რომელიც გონიერი სულია? ამაზე ლაიბნიცი პასუხობს: „ის ორი ისეა ერთობე-

* სულისა და სხეულის აუროიერობის შესახებ (ლათ).
** წარმოდგენი ძალა (ლათ).
*** სამყაროს წარმოდგენი ცენტრი (ლათ).

ორგანთან თანაშემწყობილი (gestimmt) და ერთმანეთზე გაანგარიშებული, რომ გონიერი სული თავისი წარმოდგენების ოდენ იმანენტური ევოლუციის შედეგად და ისე, რომ თავისთვის გარეთ არ გამოდის, ყოველივეს წარმოიდგენს, რაც კი მიმდინარეობს ხსენებულში, ისე თითქოს იგი მის მიერ იყოს აფიცირებული. (ვინ ვერ შეამჩნევს აქ სპინოზას ეულ, მხოლოდ სტილით შელახულ დებულებას... სპინოზა ამბობს: სული სხვა არაფერია, თუ არ სხეულის უშუალო ცნება. ცნების ნაკლებად ლაიბნიციზა იხმარა სიტყვა „წარმოდგენა“, რომელიც ამდენის მთქმელი ვერაა). და პირუტყუ, დასძენს იგი; სხეული თავისი ევოლუციის ოდენ იმანენტური კანონის შედეგად თავისი მოძრაობებით ყოველივე იმას გამოხატავს, რაც კი მიმდინარეობს სულში, ისე, თითქოს იგი სულის მიერ იყოს განსაზღვრულ ამ მოძრაობების შესასრულებლად. მათი მიმართება (ლაიბნიცი ამ შედარებას ხმარობს) ისეთია, როგორც ორი საათისა, რომლებიც ოსტატმა ისე ააწყო და მომართა, რომ ისინი ერთდროულად გვიჩვენებენ საათებსა და მეოთხედსაათებს, თუმცა ერთმეორას შესახებ არაფერი იციან. ეს გახლავთ ისოდენ სახელგანთქმული სისტემა ვერტიფიკებული „ინარეგანსაზღვრელი (პრეკატბილური) პარამონისა, — თავის დროზე უსასრულო მსჯელობათა, ხანგრძლივ პატივობათა საგანზე, რომელიც დღესდღეობით, ბევრი-ბევრი, შეიძლება განიხილებოდეს როგორც ფილოსოფიური სიძველე და საბაბი იმისა, რომ გავოცდეთ ვერმანული გონის ამატანობაზე, რომელმაც ასე დიდხანს არ უღალატა ესოდენ ნაკლებტუნებრივსა და მფარე (untergeordnet) წარმოდგენებს.

თუ ყოველივე ამის შემდეგ შეგვიცნია ლაიბნიციზმი პირველიდგომით მხოლოდ შერყვნილ სპინოზიზმად ჩავთვალოთ. მაშინ მას, სულ ცოტა, ის დამასხებრება მივც უნდა შევეუქოთ, რომ იგი არ დაქმავიფილებულა ნიეთების შესახებ მსჯელობით მხოლოდ აბსტრაქტულად, მათი განსხვავებისა და საფეხურებრიობის ანგარიშგაუწვევლად. პირველად ლაიბნიციზმა უწყოდა აბორიტანული და არაცოცხლად წოდებულ სხეულების სამყაროს მძინარე მონადაც სამყარო; მცენარეებისა და ცხოველების სული მისთვის იყო ოდენ მოზმანე მონადა, მხოლოდ გონიერი სული იყო მისთვის მღვიძარე მონადა. თუმცა მან ეს საფეხურებრიობა ოდენ ხატოვნად გამოხატა, იგი მაინც არ უნდა დავეუწყოთ; ეს იყო პირელი წამოწყება იმისა, რომ ბუნების ერთიანი არსება დანახულიყო თავის-სათთან შემოქცევის (Zu-sich-selbit-Kommen) აუცილებელ საფეხურებზე მიმდებარებაში, და, ამფენად, ეს შეიძლება ჩაითვალოს ფილოსოფიის შემდგომი უფრო ცოცხალი განვითარების პირველ ჩანასახად. ეს მხარე ყველაზე უფროს შევნიერად და საუვეთსოდ რჩება ლაიბნიციის ეულ მოძღვრებაში, და იგი უპირატესად ამ მხრიდანაა წარმოდგენილი ცნობილ თუხისებში, რომლებიც ლაიბნიციზმა თავისი სიტყვის შესახებ მისწერა ვანტემულ პრინცი ევენიუს საციოელს და რომლებიც შემდგომი Theses in gratiam principis Eugenii სახელით გახდა ცნობილ. აქედან ჩანს, რომ იმ დროს მხედართმთავრები და პრინციები უფრო მეტად ყოფილან ფილოსოფიით დაინტერესებულნი, ვიდრე დღეს, მაგრამ ევენიუსიც ხომ გერმანელი არ იყო.

სხვაფრთხი სპინოზასთან დაკავშირებით ლაიბნიციზმა, როგორც ითქვა, მხოლოდ იმ მხრივ იმოქმედა, რომ ხელი შეუწყო ამ სისტემის სპეკულატიური საზრისის განდევნას მისი და მომდევნო დროის ადამიანთა აზროვნებაში. მისი დამოკიდებულება ამ სისტემისადმი, რომელსაც იგი, მიუხედავად ამისა, იწვეითად იხსენებს და ისიც მხოლოდ გაკერით, იმდენად მოწინააღმდეგისა არ იყო, რამდენადც დამლაგებლისა, რომელიც მის შესწორებასა და ვადმოცემას ცდილობს. უპირატესად ამ სულისკვეთებითაა დაწერილი „კოლიციეა“, რომელიც სულ ერთთავად, თუმცა დაუსახლებლად, სპინოზას გულსმომბზობს, მაგრამ უფრო მისგან თავის დაღწევის მიზნით, ვიდრე მასთან მიახლოების მიზნით. ეს ნაშრომი, ჩანადვრით, სამყაროში უბედურებისა და ბოროტების დამშვები ღმერთის გამართლებას უნდა შეიცავდეს, მაგრამ თვით საკითხის დაყენების რაკვარობა სამყაროში ბოროტებისა და უბედურების წარმოშობის შესახებ — სახელდობრ, ის, რომ ამ მიმართებაში ავტორი ღმერთის გამართლებას მოითხოვს — უკვე წანამძღვრად უშვებს ღმერთის თავისუფალ მიმართებას სამყაროსადმი, რადგან, თუ სამყარო ლეითერი ბუნების ოდენ აუცილებელი შედეგია, მაშინ ნიეთებში და სამყაროში, თუკი მათ ჭეშმარიტად ჩავეუკერდებით ანუ იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიღინარეობენ ისინი ლეითერი ბუნებიდან, არც ბოროტების არსებობა იქნება ჭეშმარიტად შესაძლებელი და არც უბედურებისა. ამგვარად, ლაიბნიცი უკვე ამ კითხვით, რომელიც მან, სხვათა-შორის, თვითონ უი არ წამოუყენა თავისთვის, არამედ დავალებად მიიღო ერთი მთლიანი პიროვნებისაგან (ეს იყო კურფიურისტის მეუღლე სოფიო ბრაუნშვაიციელი, რომლის შთამომავლებიც დღესაც ფლობენ დიდი ბრიტანეთის ტახტს. მისისახით მას დიდიმჯარეული ჰყავდა, ისევე როგორც ადრე დეკარტს ჰყავდა უკვე ხსენებული პრინციესა ელიზაბეტის სახით. ყველასთვის ცნობილია, როგორ დაუღებულაა კეთიერება და ხელიდანაა პედალციეო დინასტიისაგან. კარლ ფრიდრიხმა სპინოზას პირველგონიერად უბოძა ჰაიდელბერგში), — დაიხს, ამ კითხვის დამსთვე ლაიბნიცი იძულებული აღმოჩნდა, რომ ღმერთისთვის მიეწერა სხვა მიმართება სამყაროსა და ნიეთებისადმი, ვიდრე ის იყო, რაც მას მისცეს სპინოზა და თვით მან თავის მონადილოგიურ პრინციებში. ამგვარად, მას

ღმერთი წარმოუდგენია როგორც ყოველივე ღრთის უწინარეს თავისთავთან მოთათბირე 1. იმაზე, თუ რა არის უმჯობესი იმ აუცილებელი შეზღუდვების პირობებში, რომლებსაც მარადიულად დაუკვემდებარება მისგან განსხვავებული სამყარო — ამგვარი სამყაროს შექმნა თუ ამ საკმეზე სულაც ხელის აღება, 2. იმაზე, თუ რომელი წყობა იქნებოდა საუკეთესო ნივთების სხვადასხვა შესაძლო წყობათა შორის იმ გარდუვალ შეზღუდვათა პირობებში, რომელთა აუცილებელი შედეგიც (მისი აზრით) ისევე აუცილებლად უნდა იყოს ფიზიკური ტანჯვა, როგორც მორალური ბოროტება, — ამასთანავე, სივანთა რომელი წყობა იქნებოდა სხვენებული შეზღუდვების დაწვევის პირობებში ყველა შესაძლო წყობათა შორის საუკეთესო: ამ ბჭობის შედეგად იგი გადააწყვეტინებს ღმერთს, აწმიცუებული (gegenwärtig) სამყარო აირჩიოს, რომელიც, ამგვარად, უპირობოდ კეთილი არაა, მაგრამ მაინც (მაუხედავად ამისა) საუკეთესოა სხვენებული წანამძღრის დაწვევის პირობებში. აქედან მიიღის ობტინიზმის სახელი, რომელიც ლაბინიცისეულ წარმოდგენას მისცეს. ამის შესაბამისად, გამოდის, რომ ლაბინიცს უქადაგია 1. სამყაროს წარმოქმნა ღრთში და 2. სამყაროზე უწინარესი ღრთის არსებობა — საერთოდ, სამყაროს არა მხოლოდ ლოგიკური, არამედ რეალური და ისტორიული წარმოშობა. მაგრამ ზოგიერთებმა „თეოდიციის“ გამოსკლისთანავე ან, ყოველ შემთხვევაში, მალე მისი გამოსკვის შემდეგ მოინდომეს ამ ლაბინიცისეული წარმოდგენის გულწრფელობაში იქვის შეტანა და ერთობა კაცმა, (რომელიც მისი დიდი პატრიარქარეობის გამო ნაკლებ სანდოა) ისიც კი განაცხადა, ლაბინიცისაგან წერილობითი დასტური მიმიღიაო, საიდანაც ჩანს, რომ თვითონ ლაბინიცი თავის მთელ თეორიას, რომელიც „თეოდიციაში“ გამოთქვა, მხოლოდ *lusus ingenii*-დ* თვლიდა. ჩემ აზრს თუ გამოთქვამ, უფრო ამას ვიღობებ, რომ ლაბინიცე პირიქით, თავის მონადროლოგიას აღიარებდა მხოლოდ *lusus ingenii*-დ, რომელიც მან თანამედროვე და წინამორბედი ფილოსოფოსების წარმოდგენებს დაუპირისპირა, „თეოდიციას“ კი სერიოზულად უყურებდა. ლაბინიცი, ერთიმხრივ, მეტისმეტად გამოცდილი და, მეორე მხრივ, მეტისმეტად გენიალური კაცი იყო, რომ თავისი მონადროლოგია უფრო დიდ რადმე ჩაეთვალა, ვიდრე მხოლოდ წარმავალი წარმოდგენაა. მაგრამ რა ზასუსა ვაეციემთ ამ კითხვას, ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენადაც თვით წარმად ვაგებელი „თეოდიცია“ ჯერ კიდევ არ შეიცავს საკუთრივ წინააღმდეგობას სპინოზასეული აზროვნების მიმართ, არამედ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც აზროვნების სპინოზასეული წესის შერბილებული და შემრიგებლური გადმოცემა. ლაბინიცს სამყაროში არსებული ბოროტება შექმნილის აუცილებელი შეზღუდულობიდან გამოჰყავს. მაგრამ ეს სხვა არაფერს ნიშნავს გარდა იმისა, რასაც სპინოზა ამტკიცებს: „ძალა, რომელიც ბოროტებაში ჩანს, თუკი მას პოზიტიურად განვიხილავთ, იგივე ძალაა, რაც სიკეთეში მოქმედებს; იგი თუმცა შედარებით უფრო არასრულყოფილია (ნაკლებად პოზიტიურია) ვიდრე სიკეთეში მოქმედი ძალა, მაგრამ, თავისთავად ანუ შედარების გარეშე დანახული, თვითონაც პოზიტიური რამაა და აგრეთვე სრულყოფილებაა. ის, რასაც ჩვენ მასში ბოროტებას ვუწოდებთ, არის მხოლოდ პოზიტიურის ნაკლები ხარისხი, მაგრამ ის, რაც მხოლოდ ჩვენ მიერ შედარებისათვის ჩანს ნაკლად, ბუნებაში ანუ მთლიანობაში ნაკლს არ წარმოადგენს, რაკილა ეს მინუსიც მთლიანის სრულყოფილებას ეკუთვნის. ასეთი გახლავთ სპინოზას ნამდვილი შეხედულება, რომელიც მის სისტემაშიც სრულყოფილი თანმიმდებრობით თავსდება. ლაბინიცის მიხედვითაც, ბოროტებაში მხოლოდ შეზღუდულობის პლუსია და პოზიტიურის მინუსია, მაგრამ პოზიტიურის ეს მინუსი ერთში ისევე აუცილებლობით ეკუთვნის შესაძლებელ სამყაროთაგან საუკეთესოს, როგორც პოზიტიურის პლუსი მეორეს; უფრო მეტიც, — როგორც ბუნებაში პოზიტიურის ვადამეტებას ერთგან აუცილებელ შედეგად ახლავს ნეგატიურის იგივე ვადამეტება მეორეგან, ისევე ეს უნებობრივ სამყაროშიც.

ლაბინიცს ბოროტების დაწვევებზე ღმერთს იცავს, ძირითადად, ღვთიური ნებისა და განსჯის განსხვავების მითითებით. ღმერთს, ამბობს იგი, არაფერი ძალუქს განსჯის წინააღმდეგ, მაგრამ განსჯის ის მოაქვს, რომ შექმნილი საერთოდ შეზღუდულია და რომ იგი შეზღუდულია სხვადასხვა ხარისხით. ამგვარად, შეზღუდვა (და, ამასთან ერთად, ბოროტების შესაძლებლობაც), ღვთიური ნებისაგან დამოუკიდებელია, ღმერთს იგი კი არ მოუსურვებია, არამედ მხოლოდ სიკეთე. ამგვარად, ლაბინიცი სხვა ვერაფერსა საშუალებას ვერ ხედავს, რომ ბოროტების დაწვევები ღმერთი ვამართლოს, — რასაც იგი საჭიროდ თვლის, — გარდა იმისა, რომ იგი ბოროტებას ხედავს შეზღუდულობაში, ანუ ასეთ რამეში, რაც მხოლოდ ნაკლებობა ანუ უქონლობაა. მაგრამ მაინც ბოროტება აუცილებლად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ შეზღუდულობაა, რადგან ყველა

* წარმოსახვის თამაში.

ქმნილებათა შორის სწორედ რომ მხოლოდ უსრულყოფილესი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაზე უფრო ნაკლებად შეზღუდული არის ბოროტების შემძლე, არაფერი რომ ვთქვათ იმის შესახებ, რომ დოკმატური წარმოდგენის მიხედვით, რომელსაც ლაიბნიცი ყოველნიზად ინდობს, ეშმაკი ყველაზე უფრო შეზღუდული ქმნილებაა კი არაა, არამედ ყველაზე მეტად შეუზღუდელი. ლაიბნიციისეული ახსნა მხოლოდ სულმდაბლობას (das Niedertrachtige) ანუ მდაბიურად (gemein) ბოროტს თუ ახსნის, მაგრამ არა ბოროტებას მის დიად გამოვლინებებში, როგორცდაც იგი მსოფლიო ისტორიაში იჩენს თავს, უდიდეს ენერჯიასა და ბრწყინვალეებასთან შერწყმული — არა მარტო გონების, არამედ აგრეთვე მორალური ძალის ბრწყინვალეებასთან. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ლაიბნიცის მოაზრებებს მიხედვით აშკარა (entschieden) ბოროტებასაც აუცილებლად შემოაქვს თავისი წვლილი სამყაროს სრულყოფილებაში, და, ამდენად, თვითონაც აუცილებლად ერთგვარი სრულყოფილია, მაშინ არ ჩანს, თუ საღდა ამ განსხვავება. შეიძლებადა გვეთქვა: ლაიბნიცი ღმერთში (არსებულში) თავისუფალი გადაწყვეტილებების სხეულად წინააღმდეგობა — რასაც იგი, სხვათა შორის, სრულიად დაუსაბუთებლად ტოვებს — შემარბილებლად შეუქს ჰყენს მთელ ამ კონცეფციას. მაგრამ განსაზღვრული ეს გადაწყვეტილებაც ღმერთის ბუნებას არ ეკუთვნის? განა შეუძლია ღმერთს ასეთ გადაწყვეტილებებს ხელის აღება? ნამდვილად, არა. ამგვარად, გადაწყვეტილება თვითონ ღმერთთან მიმართებაშიც აუცილებელი ყოფილა. ლაიბნიცი ამ აუცილებლობის გამართლებას მხოლოდ ამით ცდილობს, რომ მას მორალურ აუცილებლობად წარმოგვედგინოს. მაგრამ თუ მორალური აუცილებლობა, რომ კეთილი და მოცემულ პირობებში ყველაზე უკეთესი აირჩიოს, ღმერთის ბუნებას, მის არსებას ეკუთვნის, როგორც ლაიბნიცი ამტკიცებს, მაშინ ეს მხოლოდ ელად, რომ აუცილებლობა, რომლითაც, როგორც სპინოზა ამბობს, ყოველივე გამოძინარეობს ღმერთი არსებობიდან, ავგინსნას და გასაგება გახადოს, და არა ამ აუცილებლობის მოხსნის ცდა. ამ ყაბლად შეშარბილებელი შეუქს გასაფანტავად, რომელსაც ღმერთის იდენ ზნეობრივ უკეთესი ნებაში დაფუძნებული აუცილებლობის წარმოდგენა ჰყენს საერთოდ აუცილებლობის სისტემას, მცირედი დაფუძნებაც ვმარა. მართალია, ჩვეულებრივ პოპულარულ რაციონალისტურ წარმოდგენებში შედის ის, რომ ღმერთს ყოველგვარი პირობის გარეშე და მისი ბუნებისდა შესაბამისად მხოლოდ სიკეთის ქმნა შეუძლია, და სიკეთეშიც ესმით ხოლმე მორალური კანონისაღმე შესაბამისობა. მაგრამ ღმერთი ყოველივე კანონის გარეთ და მის ზემოთაა, რადგან იგი თვითონ არის კანონი. ღმერთი არის უფალი, *jure absolute positive**, როგორც იგი არის, რადგანაც მყოფი იგია (*weil er ist*), არ არსებობს სიკეთე მის უწინარეს და მის გარეშე, რომლის მონდობმაც მას მოუხებებოდა, არსებობს მხოლოდ სიკეთე მის მიხედვით (*erst nach ihm*) და მის შედეგად. კეთილი არის მხოლოდ ის, რაც მას სურს, და ეს მხოლოდ იმიტომაა კეთილი, რომ მას იგი სურს (და არა თავისთავად). თუ იგი ამას არ ისურვებდა, ეს კეთილი არ იქნებოდა. თუ ეს კარგად გავითვალისწინებთ და მოვიკრიბებთ ძალღონე ამის განსაზღვრებად, მაშინ დავინახავთ, რომ სხეულად ჩვეულებრივი მოძღვრება — ღმერთის მხოლოდ კეთილის ქმნა შეუძლია — ტაეტოლოგიური დებულებაა; რადგან კეთილი არის მხოლოდ ის, რასაც ღმერთი იქმნ, და, ამდენად, მას, რა თქმა უნდა, მხოლოდ კეთილის ქმნა შეუძლია. ვინც მეტ-ნაკლებად იცის ჩვენი დროის ასავალდასავალი, მან ისიც იცის, რომ სხეულად დებულება, რომელიც თავისუფლებას ღმერთში მოჩვენებითი ზნეობრივი აუცილებლობის დამოწმებით სრულიად მოხსნის, რაციონალიზმის უკანასკნელი საყრდენია, რომელსაც იმის სითამამეც კი ჰყოფნის, რომ ზნეობრივად მხოლოდ თავისი თავი ჩათვალოს — სხვათა შორის, ჩათვალოს მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ გამოცხადებული რელიგიის პოზიტიურ მომენტს უპირისპირდება და, კაცმა რომ თქვას, ყოველივე პოზიტიურს ფილოსოფიაშიც.

შეიძლება გვეჩვენოს, რომ ჩვენი აზრი ლაიბნიცზე მის მთლიანობაში არც ისე მაღალი აღმოჩნდა. მაგრამ ჩვენი ეს მსჯელობა ვერაფერს აცნებს ამ ადამიანის ქუმშარტ გონს. მისი ფილოსოფია არ იყო აუცილებლად მისი ფილოსოფია, იგი დიდწილად მისი ეპოქის ფილოსოფია იყო, — ფილოსოფია, რომლის შიდაც შექმლო მის დროს. რა თქმა უნდა, ლაიბნიცის გონი უფრო შორს ჰვრებდა იმასთან შედარებით, რაც უან გააზნლა. იგი, თითქოს, რაღაც მაგური ხედვით იყო დაჯადოებული, რომლისთვისაც ყოველი საგანი, რასაც კი მიააყრობდა მზერას, თითქოს თავისი იხსნებოდა. ლაიბნიცი თავისი გონის სივრცითა და მომცველობით, თავისი იდეების ნაყოფიერებით, მახვილზნეიერი გამოგონების იშვიათი ნიჭით, რაც მას ახასიათებდა და რაც ფილოსოფიაში ისევე იშვიათია, როგორც პოეზიაში ან ადამიანური მისწრაფებების რომელიმე სხვა სახეობაში — ყოველივე ამით იგი ყოველთვის დარჩება გერმანელი ერის სიამაყედ. მის უფრო ამსნულ-განმარტებელ (Vermittler),

* ასოლუტური პოზიტიური უფლებით.

ვიდრე რევოლუციურ განს მხოლოდ საფეხურებრივად მოძრაობა სჩვეოდა, თუნდაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმშვიდის გამო. იგი ყოველთვის მხოლოდ იმას იქმნოდა, რაც უახლოესი იყო. იგი, უფრო, უკიდურესობათა შეკავშირებას ცდილობდა, ვიდრე იმას, რომ თვითონ წამოეყენებინა უკიდურესი აზრები; თუ მან ასეთი დიდი ღირსების მიუხედავად ვერ მიადგინა ყველაფერ იმას, რისი მიღწევაც შეეძლო, ამაში ბრალი უდევს მისი დროის დაუთმევლელ უსიკონსტობას, — ამ მწუხარე დროისას, რომელიც შინაგანი გერმანიაში უშუალოდ იცდათაწლიანი ომისდროინდელ ნგრევებს მოჰყვა. დეკარტი, ახალი ფილოსოფიის ფუძემდებელი, ამ ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა, მისი ცხოვრების უდიდესმა ნაწილმა ადამის პერიოდში ჩაიარა. ლაიბნიცი ვესტფალის ზავამდე (1646) ორი წლით ადრე დაიბადა. როგორც ჩანს, ის გოთთი მოძრაობანი, რომლებიც შინაგანი ცხოვრების პრინციპებზე საკითხს ახლებურად სვამენ, გარეგან მოძრაობებთან ყოველთვის გარკვეულ ურთიერთობაში იმყოფებიან. კანტის ფილოსოფია გამოჩნდა საფრანგეთის რევოლუციის ერთდროულად და ჯერ-ჯერობით არც ერთი მისი მიმდევარი არ მოსწრებია ამ პოლიტიკურად მშფოთვარე დროის დასასრულს, როცა, როგორც ჩანს, ყოველგვარი უგუნურების გასწორება ადამიანებს უფრო დიდი უგუნურობით სურთ.

ლაიბნიცის ძირითადი მისწრაფება, როგორც ჩანს, ის იყო, რომ დეკარტის მიერ ფილოსოფიაში შემოტანილი რევოლუციური ელემენტი კვლავ ჩაეცხრო და სპინოზას ობიექტური რაციონალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ნამდვილად ნაადრევი იყო (მეტისმეტად ადრე ცდილობდა თავისუფალი მეცნიერული დიალექტიკისათვის ბოლო მოეღო) დაიხ, ამ გაყინული რაციონალიზმის წინააღმდეგ კვლავ ამოქმედებინა დიალექტიკა, რომელიც ჯერ კიდევ შორს იყო ამოწურვისა და განსრულებისაგან. ამგვარად, გარდუვალი იყო, რომ სპინოზას ობიექტური რაციონალიზმისათვის მას დეკარტისპირებიანა სუბიექტური, ოდენ განსჯელი სუბიექტური გონებრიობის დადუქმებული ფილოსოფია, საიდანაც ვინებრივ შედგება — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოწყვეთი მისსავანარმა კრისტიან ვოლფმა ლაიბნიცისეული იდეები აითვისა — უნდა გაჩენილიყო ის რაციონალიზმი, რომელიც განსაკუთრებით რელიგიაში დარჩა ასე დიდხანს გაბატონებული. პირველი თეოლოგი რაციონალისტები სულ ვოლფიანელები იყვნენ, იმ სახელმწიფოში წარმოშობილი, სადაც ვოლფის ფილოსოფია დიდხანს, ასე ვთქვათ, პრივილეგირებული ფილოსოფია იყო. ლაიბნიცი ისევ ძველ მეტაფიზიკას ამტარებდა და ასეთ-ნაირად გახდა თუ პირდაპირი ფუძემდებელი არა, ყოველ შემთხვევაში, წამომწყები მაინც სასიკოლო მეტაფიზიკის იმ სახისა, რომელიც მან მიიღო და კანტამდე შეინარჩუნა. მაგრამ კანტს ეწერა ახალი მეტაფიზიკისთვის ის გამხდარიყო, რაც დეკარტი იყო ძველისთვის. სწოლადსაკიერო მეტაფიზიკის ზოგადი ხასიათი, რომელსაც არც ახალი დღეატობს, თავის მთლიანობაში, ემყარება შემდეგ: 1. გარკვეული ზოგადი ცნებების წინამძღვრად დაშვებას, რომლებიც, როგორც ფიქრობენ, მოცემული არიან უშუალოდ თვითონ განსჯასთან ერთად. ლაიბნიცი ცდილობდა, ამ ცნებების პრიორიტეტი, გრძნობადი აღქმისგან და ცდისაგან დამოუკიდებლობა და, ამგვარად, მათთვის დამახასიათებელი აუცილებლობა და საყოველთაოა დაეცვა და თანდაყოლილი ცნებების მოწინააღმდეგეთაგან დაეფარა. ამ საყოველთაო ცნებების კვლავიკავალ წინამძღვრად უშვებდნენ 2. გარკვეულ საგნებს, როგორც ცდაში მოცემულთ. ამ საგანთა რიცხვს ეკუთვნოდნენ არა ოდენ ისინი, რომლებიც — და არც ერთი სხვა — დღეს ცდის საგნებად იწოდებიან, სახელობრ, იწოდებიან იმიტომ, რომ ცდას დღეს გრძნობადი ცდით ეფარებათ; ამ საგნებს ეკუთვნოდნენ ასევე სული, სამყარო და ღმერთი, რომელთა არსებობასაც წინამძღვრად იღებდნენ. როგორც მოცემულს, და მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ აეყვანათ ისინი რაციონალური შეშენების საგნის რანგში. ეს ხდებოდა უკვე ხელთყოლილი ცნებების უბრალო მიყენებით ამ საგნებისადმი. ასეთი ცნებები იყო არსება, ყოფიერება, სუბსტანცია, მიზეზი ამ აბსტრაქტულ პრედიკატებში, როგორცაა სიმარტივე, სასრულობა, უსასრულობა და ა. შ. და საქმე მხოლოდ იმაზე მიდგა, რომ წინამძღვრად დაშვებული ცნებები წინამძღვრად დაშვებულ საგნებთან გარეგან კავშირში მოეყვანათ, რასაც შემდეგ დასაბუთებას უწოდებდნენ. ამ ფილოსოფიაში დამტკიცება (Beweis) არასოდეს ყოფილა საგნის თვითდამტკიცება; საგანი კი არ აჩვენა თავისთვის საკუთარი წინამძღვრობით (Fortbewegung) ანუ შინაგანი განვითარებით. როგორც ეს ან ის, იგი შინაგანად ანუ თავისში კი არ ვითარდებოდა, მაგ, იმ წერტილამდე, სადაც იგი თავს გამოთქვამდა, როგორც ადამიანური სუთი, არამედ ცნობილ და წინამძღვრად დაშვებულ ნივთთა შორის აღმოჩნდებოდა ერთი, რომელსაც ადამიანურ სულს დაარქმევდნენ და რომელთანაც ისევ და ისევ ცნობილი პრედიკა-

ტის — სიმარტივის ან არამატერიალობის — დაევეშირებას ცდილობდნენ. ამგვარად, აქ არც ყველა საგანში განმწილი ერთიანი სისტემა იყო, არამედ ყოველ საგანთან ეს მეტაფიზიკა თავის საქმეს თავიდან იწყებდა და მას მოხერხებულად შექმნილი სხვადასხვა მატერიები სხვადასხვა თავებად განეხილა. არ არსებობდა ერთი და იგივე ცნება, რომელიც მთელს განმსჯელებად და რომელიც, მიადწევდა რა განვითარების ყოველ ახალ საფეხვს, თავისთავს სხვაგვარად, ახლებურად განსაზღვრავდა, მაგ., განსაზღვრავდა მას ხან როგორც მატერიას ანუ, უფრო გარკვეულად, როგორც მეცნიერს, ცხოველს, ხან — როგორც ადამიანურ სულს. საქმე ეხებოდა არა თვით სუბიექტს და პრედიატს, — რადგან ორივე უკვე წინამძღვრად იყო აღებული, — არამედ მხოლოდ მათ შეკავშირებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე ეხებოდა იმ დადგენილი დებულებების ფორმებს, რომლებშიც ექცეოდა სუბიექტი და პრედიატი; ამგვარი დებულებები იყო, მაგ.: „სული აბსოლუტურად მარტივია“, „სამყარო სივრცეში და ღრმში ან შემოსაზღვრულია, ან უსაზღვრო“ (რადგან აქ, კოსმოლოგიურ ცნებებში ხსენებულ მეტაფიზიკა უშვებდა გარკვეულ თავისუფლებას). შემდეგში კანტმა უკეთეს რასმე დაუწყო ძენა ამ დებულებებში — სახელდობრ, იმას, რომ ეს საწინააღმდეგო მტკიცებები მხოლოდ კოსმოლოგიურ იდეებში იხენენ თავს. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის ასე. მოჩვენებითი წინააღმდეგობა კოსმოლოგიურ იდეებს შორის ვრცელდება თეოლოგიაში და ფსიქოლოგიაში. საიხიბი, სამყარო უსაზღვროა თუ სასრული, იგი ღრმში დაიწყო თუ უსაწყისო, უსასრულობაში ჩამავალი მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვია, — ეს საკითხი თეოლოგიური იდეებისთვისაცაა გავლენის მქონე და შეხედულებას, რომ სამყაროს საწყისი ჰქონდა, აუცილებლად შეესაბამება ლეტის სხვა წარმოდგენას, ვიდრე მის საწინააღმდეგო შეხედულებას. გარდა ამისა, შეხედულება, რომ სამყაროში ყოველივე აუცილებელია, დაურღვეველია კაუზალური მიმდევრობითაა განსაზღვრული, რომელსაც, მამასადამე, ვერავითარი თავისუფალი მოქმედება ვერ გააჩვენებს, აუცილებლად გავლენის მქონეა რაციონალურ ფსიქოლოგიაზე, ისევე როგორც თეოლოგიაზე. თეოლოგიაში ზუსტად იგივე წინააღმდეგობაა. ორი მტკიცება, — „ღმერთი ბრძობს ანუ მხოლოდ თავისი ბუნების შინაგანი აუცილებლობის საფუძველზე მოქმედებს არსებობა“ და „ღმერთი თავისუფალია და ქმედების უფალია, რომელიც არაფერთანაა დაკავშირებული“ — ეს ორი მტკიცება იმდენადვე პირდაპირ წინააღმდეგობაშია, რამდენადაც ზემოხსენებული ორი — სამყაროს დასაწყისი აქვსო ან იგი უსაწყისოაო. იმის საფუძველი, თუ რატომ არ გამოიძღვანდა ეს წინააღმდეგობა თეოლოგიური იდეებშიც, ის იყო, რომ აქ, საერთოდ, სიფრთხილე იყო საჭირო და რომ, კერძოდ, მოჩვენებითი საშუალება იყო მონახული ღმერთში თავისუფლებისა და აუცილებლობის შეერთებისა ოდენ მორალური აუცილებლობის ზემოხსენებული ცნების სახით. მაგრამ მიაჩნდათ, რომ სამყაროსთან უფრო თავისუფლად მოპყრობა შეიძლებოდა; და შეხედულება, რომელსაც ხშირად გავიგონებთ თვით თეოლოგებისაგანაც კი, — რომ გუნებს არაფერი ესაქმება იმასთან და, თუ საფუძველში ჩაეხედავთ, მნიშვნელობაც არ აქვს იმას, ცნობთ თუ არა, რომ ღმერთი მარადიულობიდანვე ქმნიდა, — სწორედ ხსენებული ლაიბნიცი-ვოლფისეული რაციონალიზმიდან მოდის.

ამ მეტაფიზიკის ერთი დიდი ნაკლი ისაა, რომ მან ეგრეთწოდებული ფორმალური ლოგიკა თავის ვარჯიშ და უგულებელყო. შემდეგში კანტ უსაყვედურეს, რომ მან თავისი კატეგორიების ანუ განსჯისეული ცნებების ჩამოთვლისათვის ლოგიკური მსჯელობების ცხრილიდან გადმოიღო გამოყენების პრინციპი (ასევე, გონებისეული იდეებისთვის (როგორც იგი მათ უწოდებს) — დასკვნებიდან). მაგრამ ის მაინც მართალია, რომ აზროვნების, მსჯელობის და დასკვნის ფორმალურ-ლოგიკური ვარჯიშა და მეტაფიზიკური ცნებების მატერიალური ვარჯიშა ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობენ. კიდევ სხვა საფუძველიც აქვს იმას — ესეც აქვე შევნიშოთ — რომ კანტის ეს მოქმედება (რომ კატეგორიების ცხრილი პირდაპირ გამოიყვანა მსჯელობათა ცხრილიდან, რომელიც ცნობილად ჩაივალა) გონიერულად მივიჩნიოთ. რადგან, მას რომ ვანერხაზა ან თითქოსდა ადამიანური გონის ფორმები გენეტურად გამოიყვანა, მაშინ იგი იძულებული იქნებოდა, მათ ვასცდენოდა და სწორედ ამით ისინი ეთანობინა როგორც არა ადამიანისგან განუყოფელი, არა მასში აბსოლუტურად ინპერენტული რამ.

თავისი სპეციფიკური შინაარსის მიხედვით, სხვათა შორის, მეტაფიზიკა რამდენიმე ურთიერთმომდევნო მეცნიერებად დაიყო. პირველი იყო **ონტოლოგია**, რომელმაც თავისი სახელწოდება იქიდან მიიღო, რომ იგი, როგორც ფიქრობდნენ, ყოფიერის პირველსა და უზოგადესს განსაზღვრავდა — ბუნებში შეიცავდა, ძირითადად და პირველსაწყის ცნებებს, რომლებიც, ამგვარად, ყველა მომდევნო მტკიცებებში აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ გაბატონებული. ამგვარად, იგი განიხილავდა არსებას და ყოფიერებას საერთოდ, შესაძლებელს, შემთხვევითს და აუცილებელს, მიზეზის სხვადასხვაგვარ ცნებებს, იმრავლეს და ერთობას, სასრულობას და უსასრულობას და ა. შ. ადვილად შე-

გვიძლია ეს ჩამოთვლა და ა. შ. -ით დავსრულოთ, რამდენადაც ეს ონტოლოგია თავისი შინაარსის სისტულის გარანტიას ისევე ნაკლებად იძლეოდა, როგორც ნამდვილი სისტემობისას, ამ ცნებების ურთიერთგამომდინარეობისას. ასე, მის სხვადასხვა დალაგებებში ადვილად ვერ შევხვდებით ცნებათა ერთსა და იმავე რიგს და თანმიმდევრობას. [თუ] საფუძველში ჩავხედავთ, ეს განსაზღვრება (Definition) იყო კოლექტია განსაზღვრებებისა, რომლითაც გეომეტრიულ მეთოდს ბაძადნენ, თავის დასაბუთებებს რომ აგრეთვე განსაზღვრებებს უწანამძღვრებს; კიდევ უფრო სწორი იქნებოდა, ეს ონტოლოგია განგვეხილა როგორც შემდგომი ვაგების ვალდებულებისათვის წინასწარ წამძღვრებული განმარტებითი უქსიონი სხვადასხვა გამომტკიცებისა და ცნებებისა, რომლებსაც ფილოსოფიაში ვხვდებით. ამ მეცნიერებისთვის სარგეთ იყო წანამძღვარი, რომ შესაძლებელია ამ ცნებებს საგნებისაგან დამოუკიდებლად და თავისთავად ვფლობდეთ, რის გამოც მათ უპირატესად აპრიორული ცნებები ეწოდებათ, ისევე, როგორც მთელ მომდევნო პერიოდში აპრიორულ ცნებებში და შემეტყნებებში (Erkenntnis) ისეთებს გულისხმობდნენ, რომლებიც საგნებამდე და მათგან ცალკე წარმოიქმნებიან, თითქოს ტემპარატად საქმის თავიდან დამწყები მეცნიერებისათვის საგნები იმდენადვე აპრიორულნი არ უნდა იყვნენ, რამდენადაც ცნებები.

შეორე მეცნიერებად კი ხან რაციონალური ფიქოლოგია იყო, ხან რაციონალური კოსმოლოგია. პირველში უპირატესად დასამტკიცებელი იყო 1. სულის აბსოლუტური სიმარტივე — ცნება, რომელიც სავეებით დამყარებული იყო ატომისტურ შეხედულებაზე მატერიის შესახებ; თუ საფუძველში ჩავხედავთ, აქ მხოლოდ ის მტკიცდებოდა, რომ სული იმ აზრით არ ყოფილა რთული (შედგენილი), რა აზრითაც შედგენილობას ხედავდნენ მატერიაში. მაგრამ როგორ მოიქცეოდნენ, თუ თვითონ მატერია იმგვარად არ აღმოჩნდებოდა შედგენილი, როგორც ამას სრულებით უმარტებულ იურ დასკვნა გვეუბნება, „მატერია გაყოფადია, მაშასადამე, ისიც ნაწილებისაგან შედგება“.

სულის სიმარტივის (Einfachheit) დამტკიცების შემდეგ აქედან გმოჰყავდათ 2. სულის აბსოლუტური გაუნადგურებალობა. მაგრამ მალე ექვის თვლით დაუწეს ყურება ამ საბუთის სარწმუნოებას. შესაძლოა, შეიგრძნეს კიდევ სიკარგიულ და აბსტრაქტულუბა უკვდავების ცნებისა, რომელიც ამის მინიმუმია, რაც შესაძლებელია გამოითქვას სულის განგრძობალობაზე სიყდილის შემდეგ; მოკლედ, ამისთვის უდავებელი იქნა ყველა მტკიცება — სხვათა შორის ემპირიულიც, როგორც, მაგ., მტკიცება ადამიანური გონის სრულყოფადობიდან — მაგრამ, ამასთან, აუცილებელი შეიქნა კვლავ ღმერთის შესახებ მოძღვრების მოშველიება, რომელიც ამის პომდევნო უნდა ყოფილიყო.

რაციონალურ კოსმოლოგიაში კი განიხილებოდა სამყაროს შექმნა, რამოვსაც, ტრადიციიდან გამომდინარე, წანამძღვრად უნდა დგინდნენ; ამასთან, განსაკუთრებით მკაფიოდ დგებოდა ხოლმე საკითხი, ღმერთი მარადიულობიდანე ქმნის თუ რალაც გარკვეულ დროს დაიწყო ქმნა, შემდგმ საკითხი სამყაროს სასრულობა - უსასრულობისა სივრცეში, ბუნების მექანიზმისა და იმისა, შეუძლია თუ არა მისი გარდევვა სასწაულს, და საკითხი ბუნების ზოგადი კანონისა, როგორცაა ამოქონიერების კანონი, სტაბილობის კანონი და ა. შ., აგრეთვე მოძრაობის ზოგადი კანონებისა.

უკანასკნელი მეცნიერება და ყოველივეს გვირგვინი, საბოლოოდ, ეგერეთოფდებული რაციონალური თეოლოგია იყო, თუმცა აქ, როცა საქმე ეხებოდა ღვთის მხოლოდ არსებობას, აუცილებელ კომპონენტებად სამ ურთიერთმომდევნო საბუთს მიიხნევდნენ საჭირობა — ონტოლოგიურს, კოსმოლოგიურს და ფიზიკოთეოლოგიურს. საბუთების ეს თანამიმდევრობა მოწმობდა, რომ არც ერთი ამ საბუთიდან, თავისთავად აღებული, საკმარისად არ ითვლებოდა. პირველზე, ონტოლოგიურზე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი დეკარტზე მსჯელობისას. ამიტომ მის შინაარსს მოკლედღა გავიმეორებ იმ ფორმით, რომელიც მან შემდგომში მიიღო.

ყოველივე, რაც მხოლოდ ერთერთი ყოფიერია, — რასაც, მაშასადამე, მხოლოდ წილი უღვევს ყოფიერებაში, — შეიძლება განხილულ იქნეს ამ ყოფიერებისაგან განყენებულადაც, მის გარეშეც, ასე ვთქვათ, შიშვლად, როგორც ისეთი რამ, რამაც ყოფიერება მხოლოდ გადაიფარა, მისით შეიშისა. მაგრამ რამდენადაც ყოველივე, რაც ოდენ ერთერთი ყოფიერია, შეიძლება განხილულ იქნეს ისეთად, რასაც ყოფიერება მოუღის (advent, accedit), ამდენად იგი, თავისთავად, არაყოფიერიცაა, ოდენ შესაძლებლობაა ყოფიერებით შემოსვისა. ანუ, იგივე რომ სხვაგვარად ვთქვათ: ყოველივე, რაც მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრულია ყოფიერებისთვის, სწორედ ამიტომ გადადის არაყოფიერებდან ყოფიერებაში. იგი პირველად მხოლოდ თავის პოტენციაში ანუ შესაძლებლობაში არსებობს, ნამდვილად ყოფიერი იგი მხოლოდ a potentia ad actum* გადასვლით ხდება. მაგრამ ეს კი — მასში ასეთი გადასვლის მოზრება — სავეებით ეწინააღმდეგება ღმერთის იდეას (ამ მცირე წანამძღვარს ვერ შეველევი, რაკი ეს მეტაფიზიკა

* პოტენციიდან აქტიში (ლათ.).

წმინდალ (უპოტენციოდ) ყოფიერის ცნებიდან **ამოსვლით** კი არ მიდის ღმერთის ცნებამდე, არამედ, პირიქით, ღმერთის ცნებიდან ამოდის, რათა მასთან წმინდალ ყოფიერის პრედიკატი დააკავშიროს. მაგრამ თვით სხენებელი მცირე წანამძღვარი, რომლის მიხედვითაც ღმერთის იდეას ეწინააღმდეგება მასში პოტენციის მოაზრება, თუ საფუძველში ჩაეხედავთ, აღებულია ოდენ ალიარებული ცნებებიდან, არსებული მოძღვრებიდან და, დასასრულ, ტრადიციიდან). მაგრამ რა მოსდევს ამ ორ წანამძღვარს? მხოლოდ ეს: ღმერთი არის არსება, რომელიც შეიძლება მოაზრებულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ როგორც ყოფიერი და არანაირად — როგორც არაყოფიერი. მაგრამ სწორედ აქ ვხვდებით, რომ ეს მხოლოდ ღმერთის ბუნების განსაზღვრებაა, რომელიც, მაშასადამე, არაფერს გვეუბნება ღმერთის **არსებობის** შესახებ. ეს სხე და ისევე ცნებაა ლეტისა, წმინდა ყოფიერად ყოფნა, რაც თვით ჩვეულებრივ ლათინურ გამოთქმაც შეიძლება ჩანს. *Deus est id, quodnon cogitari potest nisi existens** — ღმერთი შეიძლება **მოაზრებულ** იქნეს მხოლოდ როგორც ყოფიერი; მაშასადამე, ეს ნიშნავს, რომ, თუ იგი არსებობს, მაშინ იგი შეგვიძლია მოვიზაროთ მხოლოდ როგორც წმინდალ ყოფიერი, — არა როგორც პოტენციოდან აქტივად გადასული, არამედ სწორედ რომ უპოტენციო. ამ ცნების საზრისის ის კი არაა, რომ ღმერთი აუცილებლად არსებობს ან რომ იგი აუცილებლად ყოფიერი არსებაა, არამედ ის, რომ იგი აუცილებლადაა ყოფიერი (*das Seiende*) — სახელდობრ, ოდენ ყოფიერი ანუ თვით წმინდალ ყოფიერი. რა თქმა უნდა, გამოთქმები: „ღმერთი აუცილებლად ყოფიერია“ და „ღმერთი აუცილებლადაა ყოფიერი“ ერთმანეთთან ისე ახლოა, რომ გაუგებრობა, რამაც ოტოლოგიური არგუმენტის საბაბი შექმნა, ძალიან ბუნებრივი ხანს.

ეს გაუგებრობა დღემდე არაა ახსნილი (მაგალითისათვის საქმარისია ვნახოთ, რა არეულად ლაპარაკობს ჰეგელი ოტოლოგიური არგუმენტის შესახებ). მაგრამ თვით მეტაფიზიკის სკოლებშიც არსებობდა გარკვეული უნდობლობა ამ არგუმენტის მიმართ. ამიტომაც დამდუნე ნაბიჯს შემდგომი, ეგერტორული კოსმოლოგიური არგუმენტისაკენ. ეს არგუმენტი სხვაგვარაა: მიმდებელი (*konkulent*) უნდა ყოფიერი, რადგან აქ გამოდიოდნენ არა ოდენ ცნებიდან, არამედ უკვე თვით არსებობიდან, სახელდობრ, სამყაროს არსებობიდან და მხოლოდ ამგვარად ხდებოდა შესაძლებელი არსებობაზე დასკვნა, მაშინ როცა შეუძლებელი იყო დანასკვნი არსებობამდე მისვლა იქ, სადაც ოდენ ცნებიდან გამოდიოდნენ.

